# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 8 აპრილი, 2006 წელი.

№ 70 (5408)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# მეჩვიდმეტე ცხრა აპრილი

იხ. მე-2 გვ.






## ილია მეორემ ხარების სახელობის ახალი ტაძარი აკურთხა

სამების საკათედრო ტაძრის მიწისქვეშა კომპლექსში გუშინ ხარების დღესასწაულთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ხარების სახელობის ახალი ტაძარი აკურთხა.

სამების საკათედრო ტაძარში სადღესასწაულო ლიტურგია კათალიკოს-პატრიარქმა აღავლინა.

ეკლესიის კურთხევას დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, პირველი ლედი სანდრა რულოვსი და მისი მშობლები, ასევე წმინდა სინოდის მთელი შემადგენლობა, ეკლესიის მრევლი, ჩოხოსნები.

აღნიშნული დღესასწაული მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ წმინდა მარიამისთვის იესო ქრისტეს ჩასახვისა და დაბადების წინასწარ ხარებას ასახავს.

ინტერპრესნიუსი



## ცეკვა ხანჯლებით – „გადადექი, გადადექის“ აკომპანემენტით

იხ. მე-3 გვ.

## გაგაფხული სააკაშვილისა და გიორგაძის მომხრეებს აჩუქეს

იხ. მე-2 გვ.

## თუ ევროპელებს არ სურთ, ჩვენც რად არ უნდა ვთქვათ უარი გენმოდიფიცირებულ საკვებზე?

იხ. მე-4 გვ.

## ციხე ლიტერატურული პარალელებით

იხ. მე-9 გვ.

## როგორც ხედავდა ჰიტლერს სტალინი

იხ. მე-11 გვ.

## ბრძოლა ღვინისთვის

## ღია წერილი რეზო ჭეიშვილს, ანუ ბნელა?!

იხ. მე-5 გვ.

◎ პრეზიდენტი

## მიხეილ სააკაშვილი: ჩვენი მთავარი მიზანი აფხაზეთია

**კოსმოსიდან გადაღებული მასალე-ბის საფუძველზე, აფხაზეთიდან დევ-ნილთა ქონების სრული აღწერისთ-ვის საქართველოს პრეზიდენტი რამ-დენიმე მილიონ ლარს გამოყოფს. პრეზიდენტი სააკაშვილი კვლავ ადასტურებს მზადყოფნას აფხაზთა ლიდერს ყოველგვარი წინაპირობის გარეშე შეხვდეს.**

ამის შესახებ, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო კანცელა-რიაში ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ გია ხევიაშვილთან და აფხა-ზეთიდან დევნილთა ჯგუფთან ერთად, კოსმოსიდან გადაღებული აფხაზეთის ფოტოების დაათვალიერებისას გა-ნაცხადა.

პრეზიდენტის თქმით, აფხაზეთის ტერიტორიისთვის სატელიტიდან გა-დაღების იდეა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფ-ლებამ ქართველებისა და სხვა ეროვ-ნებების წარმომადგენლების ქონების გასხვისება დაიწყო. მისივე თქმით, გა-დაღებული მასალების დამუშავების შემდეგ, თითოეულ დევნილ მოქალა-ქეს საშუალება ექნება ინტერნეტში იპოვოს აფხაზეთში დარჩენილი თავი-სი საკუთრება, რის შემდეგაც, მას აღ-ნიშნული ქონების ფლობის დამადას-ტურებელი საბუთები გადაეცემა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ამ დოკუმენტაციის საფუძველზე, თი-



თოეულ დევნილს ექნება საშუალება, საჭიროების შემთხვევაში საერთაშო-რისო ინსტანციებს მიმართოს.

„ოპოზიციის წევრების მიერ აფხა-ზეთის თემით ხშირი სპეკულაციების მიუხედავად, ჩემი და ჩემი თანა-მებრძოლების ცხოვრების მთავარი მი-ზანი აფხაზეთია“, — აღნიშნა პრეზი-დენტმა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, მისთვის მიუღებელია ქართველ პო-ლიტიკოსთა ნაწილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ქართველებმა აფხაზე-ბის წინაშე ბოდიში უნდა მოიხადონ.“

„ჩვენ გვსურს კონფლიქტის მშვიდო-ბიანი მოგვარება დემოკრატიული პროცესების ფარგლებში. კოსოვოზე საუბრისას, ჩვენს ოპონენტებს ხშირად ავიწყდებათ, რომ ალბანელთა უმრავ-ლესობამ კოსოვოდან განდევნა სერ-ბი უმცირესობა, აფხაზეთში კი აფხაზ-მა უმცირესობამ ქართველი უმრავლე-სობა იძულებული გახადა დაეტოვე-ბინა მშობლიური კუთხე და სახლ-კა-რი“, — აღნიშნა სააკაშვილმა. მისივე თქმით, ქართული მხარის აფხაზ ოპო-ნენტებსა და მათ გულშემატკივრებს უნდა ესმოდეთ, რომ იმას, რაც აფხა-ზეთში 1992-1993 წლებში მოხდა, „არც ერთი დემოკრატიული სახელმწიფო უპასუხოდ არ დატოვებდა“.

„აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარე-ბის საკითხზე მზად ვარ, წინასწარი პი-რობების გარეშე შევხვდე ყველას, მაგ-რამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ზო-გადი საუბრების დრო წარსულს ჩა-ბარდა და საუბარი იქნება აფხაზე-თიდან დევნილებისთვის ქონების დაბრუნებაზე, აფხაზეთში უსაფრ-თხო ცხოვრების პირობების შექმნა-ზე და ადამიანის უფლებების დაც-ვაზე“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. მან იმედი გამოთქვა, რომ „აფხაზეთიდან დევნილი ქართ-ველები თავის ახლობლებთან, აფხაზ მეზობლებთან და მეგობრებთან ერ-თად, სატელიტიდან გადაღებულ ეზოებში მალე ფოტოსურათებს გა-დაიღებენ“.

**ინტერპრესნიუსი**

◎ თარიღი

## მეჩვიდმეტე ცხრა აპრილი

**მეჩვიდმეტე სევდიანი და გმირული ცხრა აპრილი გათენდება ხვალ.** ვინც 1989 წლის იმ ჟამიან ღამეს, რუსეთის იმპერიის კაპიჭამია სპეცრაზმელებთან შეტაკები-სას დაიღუპა, ჩვენმა ერმა გმირებად შე-რაცხა. საქართველოს თავისუფლების-თვის, ქართული სულის და ქრისტეს რჯულის აღორძინებისთვის ძირითადად უმანკო ახალგაზრდები, 16-20 წლის ჭა-ბუკები და ქალიშვილები დაიღუპნენ. ცხრა აპრილის ტრაგედია, რომელმაც სა-თავე დაუდო საქართველოს ჭეშმარიტ





თავისუფლებას, არ ამოდის ქართველ-თა გულიდან. 9 აპრილმა მამულისთვის თავდადებული და თავგანწირული, ორი საუკუნის განმავლობაში უფუნქციო ერი გააერთიანა. ერის წინამძღოლები იყვნენ ნამდვილი წმინდანები, ეროვნული გმი-რები და საქართველოს ხსნისთვის დაბა-დებული რაინდები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

9 აპრილი მრავალჭირგადანახადი სა-ქართველოს სიყვარულის, მამულისთ-ვის თავდადების უებრო გაკვეთილია. 9 აპრილი ზუსტად ის არის, რაზეც ასე ზუსტად წერდა მირზა გელოვანი — „გა-უმარჯოს სიკვდილშიაც არდანებებას!“ ოცი უმანკო სიცოცხლე შეეწირა მაშინ რუსულ ნიჩბებს, მაგრამ არც ერთ მათ-განს არ უფიქრია „ბრძოლის ველიდან“, მთავრობის სახლის წინ გამართული მშვიდობიანი მიტინგიდან გაქცევა.

**„ახლოა ჟამი შუაღამისა, ცაზე ვარ-სკვლავი უფლისა კრთება... კვდება სრულიად საქართველოსთვის, ლოც-ვით, გალობით, ახლა ვინც კვდება! ახ-ლოა ჟამი, ჟამი ცისკრისა, იწვიმებს სის-ხლი, დადგება ტბებად... კვდება სრუ-ლიად საქართველოსთვის, მამულზე ფიქრით ვინც ახლა კვდება! არა გაქრო-ბა — აღდგომა მკვდრეთით! არა დალევა — მრავლობა შვილთა, რომ გამოვუს-ხლტეთ ისევ ყორანთა და ფრთებს უფ-როსე ძლიერად ვშლიდეთ...“** რა ზუს-ტად და ლამაზად თქვა ანა კალანდაძემ. უკეთესი რწმენა, იმედი, შეძახილი ძნე-ლი საპოვნელია.

9 აპრილი დიდი გაკვეთილია, ერთობის, ქართველთა ერთად ყოფნის გაკვეთილი.

წლები გადის. საქართველო ძალიან მძიმედ „სწავლობს“ ისტორიის გაკვეთი-ლებს. შესაბამისად, შედეგიც მძიმე გვაქვს. საქართველო ისევ ტერიტორი-ებმორღვეული და გათითოკაცებულია.

ღმერთო, 9 აპრილის დარად, სამუდა-მოდ შეაყვარე ქართველს საქართველო!

**სპარტაკ ქობულია**

◎ ინფორმაცია

## ფართო რეზონანსი მოჰყვება

**საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე სა-ქართველოში რუსეთის ფედე-რაციის საგანგებო და სრუ-ლუფლებიან ელჩს ვლადიმირ ჩხიკვიშვილს შეხვდა. მათ გა-ნიხილეს ორმხრივი ურთიერ-თობების ფართო სპექტრი, მათ შორის საქართველოში წარმო-ებული ღვინისა და ღვინო-მა-სალების რუსეთში შეტანაზე აკრძალვის საკითხი.**

**მერაბ ანთაძემ რუს დიპლო-მატს განუმარტა, რომ ქართუ-ლი მხარე მაქსიმალურად ინარჩუნებს კორექტულობას და ცდილობს, თავი შეიკავოს ხმამაღალი განცხადებებისგან. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ რუ-სეთი უარს იტყვის შეხვედრე-ბის გამართვასა და საკითხის კონსტრუქციულად მოგვარე-ბაზე, ამას საქართველოს მხრი-დან ფართო რეზონანსი მოჰ ყვება.**

**საქართველოში რუსეთის ელჩის ინფორმაციით, შვებუ-ლებიდან იქნა გამოძახებული მომხმარებელთა დაცვის სფე-როში რუსეთის ფედერაციის ზედამხედველობის ფედერა-ლური სამსახურის ხელმძღვა-ნელი გენადი ონიშენკო, რო-მელმაც 5 აპრილს ჟურნალის-ტებისთვის მიცემულ ინტერვი-უში გამოხატა მზადყოფნა, შეხვდეს ქართულ მხარეს არ-სებული პრობლემების მოგვა-რების მიზნით. ვლადიმირ ჩხიკ-ვიშვილის თქმით, აღნიშნული შეხვედრა უახლოეს დღეებში გაიმართება.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ ოპოზიციის „ოპოზიცია“

## გაზაფხული ხალხისთვის და ხელისუფლების მოძრაობისაც,

## — ამბობს ირაკლი წერეთელი

**მარტში, მთავრობის სახლის წინ სალარო აპარატების გაუქმების მოთხოვნით გამართული აქციები, რომელთაც მოგვიანებით პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა, შეიძლება ითქვას, წარუმატებელი აღმოჩნდა ოპოზიციისთვის. ამ დღეებმა ცხადყო მრავალფეროვანი ოპოზიციური სპექტრის დაქსაქსულობა, მათ შორის თანხმობის არარსებობა. ერთ-ერთ აქციაზე საპარლამენტო ფრაქ-ცია „კონსერვატორების“ ლიდერმა კოზა დავითაშვილმა და ეროვნული და-მოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი წერეთელმა ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფაც კი მიაყენეს...**

**ვითარებაში უკეთ გასარკვევად, მიტინგების ციებ-ცხელების გასაანალი-ზებლად ვესაუბრეთ ირაკლი წერეთელს. აი, რა გვითხრა მან:**

— ვიდრე აქციები სალარო აპარატე-ბის გაუქმებისა და ფიქსირებული გა-დასახადების მოთხოვნით მიმდინარე-ობდა, მომიტინგეებთან არ მივსულვარ. როდესაც 9 მარტს უამრავი ჩვენი მო-ქალაქე გამოვიდა ხელისუფლების წი-ნააღმდეგ, თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში სოლიდარობის აქციები და-იწყო, ეს მოთხოვნა ათასობით ადამი-ანმა აიტაცა, მეგონა, მათ ხელისუფლე-ბა ანგარიშს გაუწევდა, შეძლებდა ამ სამართლიანი, კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და ვითარების გა-ნეიტრალებას. მაგრამ უცხვირპირო-ბით განთქმულმა პრემიერ-მინისტრმა თავხედური, გამომწვევი პასუხით გა-მოისტუმრა მასთან სალაპარაკოდ მი-სული ოპოზიციის წარმომადგენლე-ბი. მან, ფაქტობრივად, ამ ძალზე არა-კონსტრუქციული დიალოგით ცივი წყალი გადაასხა ათასობით ადამიანს.

ამან ამაღელვა, სოლიდარობა გამო-ვუცხადე ოპოზიციას და 17 მარტს აქ-ციაზე სიტყვით გამოვედი. ჩემი გამოს-ვლით ყველა კმაყოფილი დარჩა, თუმ-ცა, შემდეგ გაირკვა, რომ ხელისუფ-ლება უკან დახევას არ აპირებდა, შე-საბამისად, არც ხალხს სურდა ამის გა-კეთება. ამიტომ თავად ოპოზიციამ და-აყენა საკითხი ამ აქციებისთვის პოლი-ტიკური ხასიათი მიგვეცა. სხვადასხ-ვა მოთხოვნა გაისმა. მთავარი მოთხოვ-ნა იყო ვანო მერაბიშვილის უპირობო გადადგომა. გამოცხადდა ეროვნული დაუმორჩილებლობა საყოველთაო წი-ნააღმდეგობით. 19 მარტს მრავალ-რიცხოვანი მხარდამჭერებით შევუერ-თდი მომიტინგეებს და ხალხს მოვუ-წოდე, მოეთხოვათ მიხეილ სააკაშვი-ლის გადადგომა. მოვითხოვდით ვა-დამდელ საპარლამენტო არჩევნებს, რათა მშვიდობიანი, უსისხლო გზით საქართველოში ქრისტიანული, დემოკ-რატიული, ეროვნული რევოლუცია განხორციელებულიყო.

ამან ოპოზიცია დიდად დაფრთხო, თანაც არ ესიამოვნათ გამოსვლებისას ჩემი მაღალი რეიტინგი. ზოგიერთებმა იგორ გიორგაძის თანამშრომლობაც კი დამაბრალეს. ხოლო ჩემსა და კო-ბა დავითაშვილს შორის სიტყვიერი შეხლა-შემოხლა მშვიდობიანად დას-რულდა. კობა დავითაშვილის თავხე-დობა იქამდეც კი მივიდა, განაცხადა, თითქოს მე სამიოდე წლის წინათ მი-ტინგიდან გავიპარე დარბევის საშიშ-როების გამო. მინდა ხმამაღლა ვთქვა: როდესაც საქართველოში მიტინგებს არბევდნენ, გაქცეული ირაკლი წერე-თელი მაშინაც არ უნახავთ და დარბე-ვის არანაირი საშიშროების დროს ამის დაბრალება როგორ შეიძლება?



ამის გამო კოგა დავითაშვილი დე-ბატებში გამოვიწვიე, მაგრამ არ მო-ყვება. იცის, რომ ცილისწამებისთვის სერიოზული პასუხის გაცემა მოუწევს აკადემიური, ყოველგვარი ემოციე-ბისა და არაკონსტრუქციული გამოხ-ტომების გარეშე.

**— ფაქტია, რომ მარტის აქციები თქვენთვის სასურველ სახალხო მღელვარებაში ვერ გადაიზარდა. ოპოზიციამ მიტინგი 26 მაისისთვის გადაავადა...**

— ე. წ. საპარლამენტო ოპოზიცია დამარცხდა. მათ 26 მაისამდე პერი-ოდში მიტინგებისა და დემონსტრა-ციებისთვის ყველაზე საუკეთესო პე-რიოდი — გაზაფხული მიხეილ საა-კაშვილს და იგორ გიორგაძის მომ-ხრეებს აჩუქეს. ისინი არ გაჩერდე-ბიან და აქციებს აუცილებლად გა-აგრძელებენ. შემდეგ იწყება ზაფხუ-ლი, მკვდარი სეზონი ოქტომბრამდე გასტანს. ამ ცრუ ოპოზიციამ, რომე-ლიც ვითომ ხელისუფლებას ებრძვის, საქართველოს პრეზიდენტს და მის მთავრობას არსებობა გაუხანგრძ-ლივა. დღევანდელის მსგავსად სა-ხელგატეხილი ხელისუფლება ხომ საქართველოს არასდროს ჰყოლია.

სამწუხაროდ, ოპოზიცია ერთიანი არ აღმოჩნდა. მით უფრო, საპარლა-მენტო ოპოზიციამ რაღაც სისულელე-ები დაგვაბრალა ჩვენ — ეროვნულ მოძ-რაობას. ეტყობა, მათ შეეშინდათ ქუ-ჩის აქციებისა. იცოდნენ, რომ ქუჩის აქ-ციებში გამოიკვეთებოდა ძველი ეროვ-ნული მოძრაობა, ეს ოპოზიციონერები კი ჩემთან შედარებით მშიშარა, ამბი-ციური ხალხი აღმოჩნდა, მოლაყბენი და უმაქნისები.

ეტყობა, შალიკოც დააშინეს და გამ-ყრელიძემაც სერიოზულად თავი შე-იკავა, რადგან კონტრრევოლუცია აფ-რთხობთ. თუმცა, ეს მათი პრობლემაა.

მათთან ვაპირებ დიალოგს და ცრუ ოპოზიციასაც მოვუწოდებ, თუ ჩემს წი-ნააღმდეგ წარმოშობილი სისულეების გამო ბოდიშს მომიხდიან და ჩადგებიან ჭეშმარიტი, ეროვნული, შეუვალი და მოუსყიდავი ოპოზიციის რიგებში, კო-ბა დავითაშვილის, ანდა სხვა ნებისმი-ერი საპარლამენტო ოპოზიციის მი-მართ ყოველგვარი წყენის დავიწყება შემიძლია. პირად წყენაზე მაღლა სა-ერთო-ეროვნული ინტერესები უნდა იდგეს. კონსტრუქციულ თანამშრომ-ლობაზე, შედეგიან და მიზანმიმართულ ბრძოლაში არავისთან ურთიერთობა-ზე უარს არ ვიტყვი, თუ დავინახავ კე-თილსინდისიერებას, საქმისადმი თავ-დადებას და ცოტა ლაყბობას.

**— ბატონო ირაკლი, კობა დავითაშ-ვილი ახსენეთ და როგორ შეაფასებ-დით მის სატელევიზიო გამოსვლას, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი პირადი ცხოვრების გამო გააკრიტიკა...**

— როდესაც პოლიტიკოსი თავს უფ-ლებას მისცემს, სხვა მამაკაცის, — იქ-ნება ეს პრეზიდენტი თუ რიგითი მო-ქალაქე, — პირად ურთიერთობაზე ტე-ლევიზიით ილაპარაკოს, და პრეზი-დენტს წაუყენებს პრეტენზიას ქალე-ბის მიმართ რაღაც გატაცებების გა-მო, ასეთი საქციელი საქართველოში ყველა ვაჟკაცის მიერ დიდ უზნეობად და არაკაცობად აღიქმება.

პრეზიდენტს მრავალი ნაკლი აქვს პოლიტიკურ მოღვაწეობაში და სჯობს ამაზე ილაპარაკონ. ახალგაზ-რდა, ენერგიული კაცის ქალებით გა-ტაცება მე დიდ უბედურებად არ მი-მაჩნია. მთავარია, კაცი კაცებით არ იყოს გატაცებული...

**— მთავრობის სახლის წინ გამარ-თულ აქციებზე ხალხის სიმცირე ზო-გიერთმა იმით ახსნა, რომ თავად ოპო-ზიციურმა პარტიებმა წევრთა სიმცი-რის გამო ვერ გამოიყენეს ხალხის სა-ჭირო რაოდენობა. ეთანხმებით ამ მო-საზრებას?**

— მინდა გითხრათ, რომ ამის მიზე-ზი ქართველი ხალხის დანაშაულებ-რივი ინდიფერენტულობაა, რაც ბო-ლო დროს მოხდა, სანდრო გირგვლი-ანის მკვლელობით დაწყებული ციხის ვანდალური დარბევით დამთავრებუ-ლი, ამის მოთმენა უკვე აღარ შეიძ-ლებოდა. მთელი ქართველი ერი პარ-ლამენტის შენობასთან უნდა მოსუ-ლიყო. მით უფრო, რომ არაერთხელ მოვუწოდე, 30 მარტის აქციაზე გა-მოსულიყვნენ. ტელევიზიით კი სის-ტემატურად აჩვენებდნენ და რეკლა-მას უკეთებდნენ ე. წ. საკოორდინაციო საბჭოს შეკრებებს.

ასეა თუ ისე, ვერავინ იტყვის, რომ სააკაშვილი საყოველთაო ეროვნუ-ლი მხარდაჭერით არ მოსულა. ის გა-დადგება მხოლოდ მაშინ, თუ დაინა-ხავს, რომ ქართველი ერის აქტიური საყოველთაო უკმაყოფილება და-იწყო. შინ ჯდომით, ტელეკომპანი-ებში მესიჯების გზავნით, სააკაშვი-ლი, ბუნებრივია, არ გადადგება.

საჭიროა ოპოზიციური ძალების გა-ერთიანება, არსებული ბარიერების დაძლევა, წამდაუწუმ წამოძახილის „შენ იმასთან ხარ შეკრული“ აღკვეთა და სხვ. ხოლო ვისაც გაერთიანება არ ენდომება, ის თავად იქნება სააკაშვილ-თან და ამ ხელისუფლებასთან შეკრუ-ლი. ქართველობა ეროვნული, ქრისტი-ანული, ღვთაებრივად სათნო იდეების გარშემო უნდა დაირაზმოს. ერთმანეთ-თან დიალოგს მივაღწიოთ და მშვიდო-ბიანი გრანდიოზული აქციები და-ვიწყოთ.

**ესაუბრა**
**თამარ შაიშმელაშვილი**

კვირის თვალსაწიერი

# ცეკვა ხანჯლებით — „გადადექი, გადადექის“ აკომპანემენტით

**ისტორია ხშირად მეორდება ხოლმე. სახელშეცვლილად, სხვა გარემოში, სხვა მოქმედი პირებით, მაგრამ ერთი შინაარსით.**

1865 წლის 27 ივნისს, კვირა დილას, ერევნის (დღევანდელი თავისუფლების) მოედანზე დიდი ხალხმრავლობა დახვდური იყო. ათი ათასამდე კაცს მოეყარა თავი: ამქრებად გაერთიანებული ხელოსნები და წვრილი ვაჭრები, მუშები, სოფლიდან სამუშაოს საძებრად ჩამოსული ლეკები, საეროდ, ქალაქის ღარიბი მოსახლეობა. უკმაყოფილების მთავარი ცენტრები იყო ამქრები, ყველაზე აქტიური — ქარგლები და მეწვრილმანეები („მთელ ქალაქში დაიკეტა დუქნები, მეღორეებმა დახურეს ბაზრები, მეპურეებმა დაიმალნენ, თუ ღლერიბული წყლის ზიდვა“ — იგონებს იონა მეუნარგია).

მღელვარება ქალაქში ახალი გადასახადების შემოღების შესახებ მთავრობის გადაწყვეტილებამ გამოიწვია. ხალხმა უარი განაცხადა გადასახადის გადახდაზე და ერევნის მოედანზე — პოლიცმაისტერის სამმართველოსთან მიიჭრა.

ვერც პოლიციამ და ვერც თბილისის გუბერნატორმა ვერ შეძლეს აღშფოთებული ხალხის დაშოშმინება. მოედანზე კავკასიაში მეფის ნაცვლის მოვალეობის აღმსრულებელი, ცნობილი პოეტი, გენერალი გრიგოლ ორბელიანიც კი გამოვიდა, გონს მოდით, დამშვიდდით, კანონი ყველასთვის ერთია, კაცი მთავარმართებელი ვარ და ცხენის ხარჯს მეც ვიხდიო. ეხ, კნიაზო, თქვენ ცხენს აჭმევთ, ჩვენ კი ცხენი გვაჭმევსო, უპასუხეს და სტვენითა და ქვის სროლით გააქციეს. მღელვარების მონაწილეებმა დალეწეს ქალაქის თავის სასახლე, მოკლეს გადასახადების ამკრეფი, მისი სახლი კი მიწასთან გაასწორეს.

ეს თბილისის მოქალაქეთა პირველი ორგანიზებული გამოსვლა იყო მთავრობის საგადასახადო პოლიტიკის წინააღმდეგ. იგი ტრაგიკულად დასრულდა: მეორე დღეს სხვადასხვა ადგილიდან გამოწვეულმა ჯარმა ქალაქს ალყა შემოარტყა, ქუჩის შეტაკებებში რამდენიმე ათეული კაცი მოკლეს, 80-მდე აქტიურ მონაწილეს ციხე და კატორღა მიუსაჯეს. მაგრამ აჯანყებას დადებითი შედეგიც მოჰყვა: მთავრობა იძულებული გახდა, ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო, განხორციელდა ცვლილებები ქალაქის მმართველობაში.

„ამქართა ბუნტისგან“ 141 წელი გვაშორებს. იგი იმ ადგილიდან სულ რაღაც 250-300 მეტრში მოხდა, სადაც ამჟამად საქართველოს პარლამენტია და ამ რამდენიმე დღის წინათ „სალარო აპარატების დროშით“ ხალხმრავალი გამოსვლები მიმდინარეობდა, იმ პირველის ალიკვალი ხასიათითა და შინაარსით.

ეს გამოსვლებიც დასრულდა. ისევე უსახელოდ და უშედეგოდ. ოღონდ, მადლობა ღმერთს, სისხლი არ დაღვრილა, არც არავინ გამოუმწყვდევიათ გისოსებში. სამაგიეროდ, არც არავითარ დათმობაზე არ წასულა ხელისუფლება.

არადა, ბევრი ელოდა, არიქა, ერთი შებერვალა უნდა და რეჟიმი ხუხულასავით დაინგრევაო.

ასე არ იყო და არც იყო საჭირო!

ახალი რევოლუცია მხოლოდ ზოგიერთი მომეტებულად მგზნებარე პოლიტიკოსის წარმოსახვაში ჩნდებოდა და არავითარი რეალური საფუძველი ამნათელ ხილვებს არ ჰქონდა.

„ვარდების რევოლუციის“ გამარჯვებიდან „სიოლოდ“ ჩვენს ოპოზიციონერებს შეუძლიათ ლოცვას, რომლის ... ვებში. შეიძლება ცოტა უხერხული (იქნებ შეურაცხმყოფელიც) შედარებაა, სამაგიეროდ ზუსტია.

რატომღაც გვერდს დაიჭერია — „ქიდობაარაუზღვლო“: „ვარდოლაც დაიკავე პარლამენტის წინა მოედანი, დიდი მიტინგები დაუს შემოკრებასაც მოახერხებ, აცხადებდი, „გადადექი, გადადექიო“.

მაგრამ არ ყოფილა ისე იოლი რევოლუციის მოხდენა, როგორც სულხან-საბას იგავში ძაღლი და მამალი სოფლის აშენებას რომ აპირებდნენ, მე ვიყეფებ, შენ იყივლე და აშენდებაო.

ნუთუ ჩვენს ოპოზიციას არაფერს ეუბნება ის, რომ დიდი ძალისხმევის მიუხედავად, 5 ათასზე მეტი კაცის მოგროვება ვერ შეძლო?

„ვარდების რევოლუცია“, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უხვად იყო დაფინანსებული გარედან (სოროსის და, სავარაუდოდ, კიდევ სხვათა მიერ), და, რაც მთავარია, ქარიზმული ლიდერიც ჰყავდა, ისეთი, რომელიც სწორედ ზედგამოჭრილი იყო რევოლუციის ბელადად. მიხეილ სააკაშვილმა მარჯვედ შეასრულა დავალება, დაამხო რეჟიმი და ხალხმა ის ხელში აყვანილი დასვა პრეზიდენტის სავარძელში.

სხვა საქმეა, თუ რატომ გაუხუნდა ძალზე სწრაფად პრეზიდენტად მირონცხებულ მიხეილ სააკაშვილს შარავანდედი. რევოლუციის ცეცხლოვანი ბელადები, როგორც წესი, შემდეგ ქვეყნის სათავეში ვეღარ გამოიჩენენ ხოლმე თავს — ისინი რევოლუციური ტალღების რიტმით აჰურადებენ ქვეყნის მაჯისცემას და როცა ეს ტალღები ჩაცხრება, ვერ უძლებენ ყოველდღიურ რუტინას — სახელმწიფოს მართვას, რასაც დიდი შრომა, დიდი მოთმინება, სხვისი გამოცდილების გაზიარება, სხვისი მოსმენის უნარი და საკუთარი სურვილების მოთოკვა სჭირდება. ისინი ან ისტორიის ავანსცენიდან უსახოდ ჩამოდიან და დავიწყების ბურუსში იძირებიან, ან კბილებითა და ფრჩხილებით ებღაუჭებიან ტახტს და ძალზე ჩვეულებრივ დიქტატორებად მეტამორფოზდებიან ხოლმე. ვინ — როგორ: ზოგი დიდ დიქტატორად, ზოგი — პატარად.

მაგალითად, მახსოვს, რა ინტერესით ვათვალიერებდით ხოლმე რუსულ ენაზე გამომავალ ჟურნალ „კორეას“. „კორეა“ მხოლოდ სახელად ჰქონდა, თორემ, ფაქტობრივად, მთლიანად ბელად კიმ ირ სენს ეძღვნებოდა. რიგითი ეპითეტები იყო: „ციით მოვლენილი, დაუმარცხებელი სარდალი“, „ყველა დროისა და ყველა ხალხის უდიდესი გენია“ და ა.შ. არაკორეელი მკითხველი გრძნობდა თავს უხერხულად, თვით კიმ ირ სენს კი, ეტყობა რეალობის გრძნობა დაკარგული ჰქონდა და სულ ხალას სიმართლედ მიითვლიდა ყველაფერს.

ან უგანდის სამხედრო დიქტატორის იდი ამინ დადას ტიტული ნახეთ: „მისი უდიდებულესობა, მარადიული პრეზიდენტი, ხაჯა, ხმელეთზე სულიერისა და ზღვაში თევზთა მბრძანებელი, ბრიტანეთის იმპერიის აფრიკის ტერიტორიაზე დამპყრობი და უგანდის ღმერთი!..“

ერთი სიტყვით, რაც უფრო უბადრუკია დიქტატორი, მით უფრო განადიდებენ მას.

ჩვენი პრეზიდენტის ხოტბა-დიდება ზეპირად კი ისმის, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით არ იბეჭდება. ეს ალბათ იმიტომ, რომ მისი კლასიკურ დიქტატორად ჩამოყალიბების პროცესი დასრულებული არ არის. თორემ ჩვენი მლიქვნელების ამბავი რომ ვიცი, სულაც არ გამიკვირდება, რომელიმე გაზეთში თუ წავიკითხავთ „ხმელეთზე სულიერებისა და ზღვაში თევზთა მბრძანებელი მიხეილ სააკაშვილიო“.

რაც შეეხება ჩვენს ოპოზიციას, ყოველ წუთში (არის საამისო დრო თუ არა!) „გადადექი, გადადექის“ ძახილის ნაცვლად, ალბათ უჯობს სიღრმისეულად მოამზადოს, მოამწიფოს ეს გადადგომა. თორემ, გახურებული „რევოლუციური კრიზისის“ დროს (სინამდვილეში ეს „კრიზისი“ არ ყოფილა, იგი უბრალოდ ემირაჟებოდა ზოგიერთ ოპოზიციონერს ისე, როგორც მელას რაც ესიზმრება, ის ეჩვენება ხოლმე), სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, სადაც შალვა ნათელაშვილია, იქ რა მესაქმებაო. ასეთი ანტაგონისტური განწყობა ერთმანეთის მიმართ სხვებსაც ჰქონდათ (და აქვთ).

რა თქმა უნდა, ყველა პარტია, არსებული ხელისუფლების მიმართ რაგინდ სიძულვილის ცეცხლით იწვოდეს, მხარდამხარ ვერ ჩადგება ერთ სანგარში. მაგრამ როცა რაღაც ზეიდეის გარშემო ძალთა გაერთიანებაზეა ლაპარაკი, თანამშრომლობა, ალბათ, აუცილებელია. ბოლოს და ბოლოს, სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი უჭახუნებდნენ ერთმანეთს ჭიქებს.

ახლა ახალი კრიზისია პარლამენტში. ოპოზიციამ სხდომებს ბოიკოტი გამოუცხადა. ამ ბოიკოტის მოხსნის პირობად ის ერთობ ხისტ მოთხოვნებს აყენებს, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარი შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის გადაყენებაა.

საპარლამენტო უმრავლესობა „გაგებით“ ხვდება ამ ბოიკოტს. ეს მსოფლიოში მიღებული პრაქტიკააო, ანუ ოპოზიციების სხვაგანაც მიმართავენ ბრძოლის ასეთ ხერხსო, ანუ უმრავლესობას მაინცდამაინც არ ეტყობა, რომ ამ ბოიკოტის გამო თრთის და კანკალებს. ამიტომ ოპოზიციას ტაქტიკის შეცვლა, ანუ თავისი მოთხოვნების იმგვარი საწებლით წარმოდგენა მოუწევს, რომ ღირსეულად გამოვიდეს შექმნილი მდგომარეობიდან, თორემ თუ ეს ბოიკოტი დიდხანს გაგრძელდა, შეიძლება თვითონვე დაზარალდეს. იმის იმედად, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა ხმას აღიმაღლებს, როგორ თუ საქართველოს პარლამენტი განმდგარი ოპოზიციის გარეშე ატარებს სხდომებსო, მტერი იყოს.

შიდაპოლიტიკური ბატალიები, ასე თუ ისე, დასრულდა (ან, როგორც გვპირდებიან, 26 მაისისთვის გადაიდო), სამაგიეროდ ჩრდილოეთიდან ახალი უბედურება მოგვაწვა. თუმცა ეს რიგითი უბედურება არ არის, გათვლილი ეკონომიკური სარმაა.

რუსეთმა ღვინო დაგვიწუნა — ქართული ღვინის თავის ბაზარზე შეტანას ტაბუ დაადო, აქაოდა, მასში პესტიციდები და მძიმე მეტალებია აღმოჩენილიო.

იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ასე არ არის, ჩვენმა მეღვინეებმა გენიალური სვლა გააკეთეს (ამ იდეის ავტორი ნობელის პრემიაზე იქნებოდა წარსადგენი, ეს პრემია ამ ნომინაციაში რომ გაიცემოდეს): ევროპის ლაბორატორიებში ხარისხის შესამოწმებლად რუსული მხარის მიერ ამოღებული ნიმუშები კი არ გადაგზავნეს, არამედ — თავიანთი ქარხნებიდან შერჩეული.

მე პირადად ეჭვი არ მეპარება, რომ რუსეთის სვლა წმინდა წყლის ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებით არის ნაკარნახევი — განდევნოს ქართული ღვინო რუსეთის ბაზრიდან და ეს სივრცე თავისი შესაძლებლობებით შეავსოს (მაგალითად ყუბანის ღვინით) და, შესაბამისად, მიწაზე დასცეს საქართველო, მაგრამ ასევე ძალიან დარწმუნებული სულაც არა ვარ, რომ იქ გაგზავნილი ქართული ღვინო ხარისხით მართლაც არ სცოდავს. იმ ნათითხნს, რასაც აქ, საქართველოში (სადაც, ყველა-ყველა, და კარგი ღვინის ფასი ვიცით) გვასმევდნენ და გვასმევენ, იქ ალბათ სულ თავანკარად ასაღებდნენ. რევოლუცია, უპირველეს ყოვლისა, მეღვინეობაში იყო მოსახდენი, და თუ ამას ბიძგს ეს რუსული დემარში მისცემს, იქნებ სატირლად არც გვქონდეს საქმე. ვიზარალებთ წლეულს, გაისად, მაგრამ მოვიგებთ შემდეგ, როცა ქართული ღვინო მართლა მოიპოვებს კუთვნილ ადგილს მსოფლიოს მასშტაბით. მაშინ, იქნებ, რუსეთი აქეთ შემოგვეხვეწოს.

მაგრამ, ჯერჯერობით, გამორიცხული არ არის, რომ ღვინის ბედი ეწიოს ქართულ კონიაკს, მერე — „ბორჯომს“, რომელთა ფალსიფიცირებაც ყოველგვარ საზღვარს აჭარბებს...

უკვე დაბეჯითებით არის ლაპარაკი, რომ „გაზპრომი“ ახალ ტარიფს შემოიღებს. თავის დროზე 110 დოლარამდე ფასის გაზრდის გამო ტანზე რომ შემოვიხიეთ, ეს 110 დოლარი შეიძლება წლეულსვე 260 დოლარი გახდეს. ეს კი ნიშნავს, რომ თუ პირველი მაისიდან კუბური მეტრი გაზი 34 თეთრი უნდა იყოს, ახალი ტარიფით ... 70 თეთრი გახდება. ძალზე აშკარად იკვეთება: ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ საქართველო გაზსადენის გაყიდვაზე დაითანხმონ.

ეს ერთი.

მეორე. სწორედ რუსეთის ზეგავლენით მიიღო გაერომ რეზოლუცია, რომელშიც პირველად მკაფიოდ არ არის დაფიქსირებული აფხაზეთის სტატუსზე მოლაპარაკების (საქართველოს ფარგლებში) გაგრძელების აუცილებლობა...

რუსეთი მთელი ძალით გვიტევს. გვაგრძნობინებს, თუ რა არის პრაქტიკულად რუსული წნეხი. პარალელურად, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში დიდი ხმაურია ატეხილი, საქართველო ამ ზაფხულს აფხაზეთში ომს იწყებსო. იმას სულაც არა აქვს მნიშვნელობა, რომ „ზაპევალა“ ცნობილი „ქორი“ მიტროფანოვია. „ზაპევალა“ იმისაა, მან დაიწყოს და სხვებმა დაასრულონ... ასრულებენ კიდეც: დუმა „საქართველოს საკითხზე“ დადგენილებას იღებს...

ასე რომ, შემოტევა მასირებული და მწვავეა. ეს ის შემთხვევაა, თუ შენ თვითონ არ უშველე თავს, სხვა ვერ გიშველის. პრეზიდენტი სააკაშვილი ამ დღეებში როგორც არასდროს, ისე კონსტრუქციულია რუსეთის მიმართ, რუსეთის მტრები არც ვყოფილვართ და არც ვართო, მოვილაპარაკოთო. მეორე მხრივ, ევროპაში ქართული ღვინის პრესტიჟის ამაღლების საქმეს თვითონ ჩაუდგა სათავეში...

ასე რომ, ბატონი მიხეილი საკმაოდ პროფესიულად ცეკვავს ხანჯლებით — „გადადექი, გადადექის“ აკომპანემენტით.

როგორც იტყვიან, დიდი ხანია, დროა!

**ალეკო ასლანიშვილი**

ინფორმაცია

## ქართულმა ღვინომ რუსეთის ბაზარი უნდა დაიბრუნოს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ქართულმა ღვინომ რუსეთის ბაზარი დაიბრუნოს.**

**პრემიერ-მინისტრი გუშინ რუსულ-ბრიტანული ინვესტიციებით შექმნილი ღვინის ქარხანა „ტფილისკი ვინნი პოგრები“ (თბილისის ღვინის მარანი) დაათვალიერა. მოგვიანებით კი, ამ ქარხნის მიერ ჩამოსხმულ ღვინოს გემო გაუსინჯა. „მართლაც, რომ ხარისხიანი ღვინოა“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.**

**როგორც ქარხნის დათვალიერების შემდეგ ზურაბ ნოღაიდელმა აღნიშნა, რუსეთის მიერ ქართული ღვინის იმპორტზე დადგენილი აკრძალვები საქართველოში რუსული კაპიტალით შექმნილ ღვინის კომპანიებსაც შეეხო.**

**„მინდოდა, რომ ჩვენ ერთად გვენახა დღეს ამ ერთი კონკრეტული საწარმოს მაგალითზე ღვინის დამზადების ტექნოლოგია და ქარხანაში დამონტაჟებული დანადგარები, რო-**



**მელიც მსოფლიოში საუკეთესო კომპანიებისგან არის შემოტანილი. მე დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რამდენად ხარისხიანი ღვინო მზადდება საქართველოში და ახლა უფრო ვრწმუნდები, რამდენად არასერიოზული გადაწყვეტილება მიიღო რუსეთმა, როდესაც ქართული ღვინის იმპორტი აკრძალა“, — განაცხადა მან.**

**ნოღაიდელის თქმით, ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები რუსეთის წარმომადგენლებთან, პარალელურად მიმდინარეობს კონსულტაციები რუსეთში მის ვიზიტთან დაკავშირებით.**

**გარდა ამისა, პრემიერის თქმით, საქართველოში მოწვეულნი არიან რუსეთის ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები და ჟურნალისტები, რათა მათ საქართველოში დაათვალიერონ ყველა ღვინის მწარმოებელი ქარხანა და თავად დარწმუნდნენ ქართული ღვინის ხარისხში.**

## ვინ იქნება ყველაზე თავდადებული ექიმი?

**ჯანდაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის ინიციატივით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ყველაზე თავდადებული ექიმის გამოსავლენად კონკურსს აცხადებს.**

**როგორც ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა გუშინ სამინისტროში ექიმებთან შეხვედრისას აღნიშნა, სამინისტროს ვებ-გვერდზე გაიხსნება სპეციალური პორტალი, რათა ყველა მოქალაქემ კონკურსში მიიღოს მონაწილეობა და საყვარელ ექიმს მისცეს ხმა.**

**გამარჯვებული ექიმები მაისში გამოვლინდებიან და ჯანდაცვის სამინისტროს ხარჯებით მსოფლიოში ცნობილ „მეიოს“ კლინიკაში სტაჟირებას გაივლიან.**

**ინტერპრესნიუსი**

აქტუალური თემა

# ოპოზიცია შემხვედრ ნაბიჯებს ელის

**გუშინ პარლამენტში ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ ოთახში ოპოზიციის მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალი გაიმართა. მემორანდუმის ტექსტი კობა დავითაშვილმა წაიკითხა. შემთხვევითი არ არის, რომ ეს ცერემონიალი „დემოკრატიული ფრონტის“ ოთახში შედგა, მოგეხსენებათ, მთელი ამ ვნებათაღელვის ავტორი სწორედ „დემოკრატიული ფრონტია“, სხვა ოპოზიციურმა ფრაქციებმა კი მას მხარი დაუჭირეს.**

ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ ოპოზიცია მემორანდუმის ისეთ ფორმატზე შეჯერდა, რომელზეც ხელის მოწერის საშუალება ეძლევა არა მარტო ფრაქციებს, არამედ ნებისმიერ დეპუტატს. ოპოზიცია ვარაუდობს, რომ მემორანდუმზე ხელს დამოუკიდებელი მაჟორიტარები და უმრავლესობის ზოგიერთი წევრებიც მოაწერენ. ასეთი ვარაუდის საფუძველს, როგორც თვითონ აღნიშნავენ, მათ ის ფაქტი აძლევთ, რომ ვალერი გელაშვილისთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტაზე დამოუკიდებელ მაჟორიტარებს და უმრავლესობის ზოგიერთ წევრებს ხელი არ მოუწერიათ.

მემორანდუმი არის სამგვერდიანი. აღსანიშნავია, რომ თავიდან ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მოთხოვნებს ულტიმატუმის ფორმა ექნებოდა, თუმცა, სიტყვა „ულტიმატუმი“ ამ დოკუმენტში საერთოდ ნახსენებიც არ არის. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ უბრალოდ აქ არის მოთხოვნები, რომლებიც საზოგადოებას აქვს და ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს. არის ძირითადად სამი მოთხოვნა — საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა, მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევა, შს მინისტრის გადადგომა და შს სამინისტროს რეორგანიზაცია და დეცენტრალიზაცია.

„ახლებისგან“ გამოყოფილმა მრეწველთა ფრაქციამ კი კონსულტაცია გოგი თოფაძესთან გაიარა და მემორანდუმს ხელი მხოლოდ მას შემდეგ მოაწერა, რაც



ტექსტს თავისი მკაცრი მოთხოვნები დაამატა: მთავრობის სრული შემადგენლობით გადადგომა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით შერეული კომისიის შექმნა, სადაც ბიზნესმენები და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები შევლენ.

**დავით ბერძენიშვილი, „დემოკრატიული ფრონტი“**: „მემორანდუმი ღიაა ნებისმიერი ფრაქციის წარმომადგენლებისთვის. ხელმოსაწერად არის რამდენიმე თემა. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საარჩევნო თემატიკა. ჩვენ გვჭირდება ახალი ტიპის საარჩევნო კომისიები, ახალი ბეიკერის ფორმულა არის შესათანხმებელი. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მოითხოვს მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევას. ხელისუფლებამ ეს უნდა გაიგოს.

ცნობილია უმრავლესობის პოზიცია. უმრავლესობაში აცხადებენ, რომ ოპოზიციის არც ერთ მოთხოვნას ისინი არ დააკმაყოფილებენ.

„დიალოგი გულისხმობს იმას, რომ ორივე მხარეს აქვს დიალოგის სურვილი და არა ულტიმატუმის ენით საუბრის სურვილი. თუ ვინმეს უნდა, რომ ულტიმატუმი წამოგვიყენოს და ულტიმატუმების ენაზე ისაუბროს, ეს საუბარი ნამდვილად არ შედგება არც ერთ შემთხვევაში და მაშინ საზოგადოება ნათლად დაინახავს, რომ ეს არის ულტიმატუმი მხოლოდ იმისთვის, რომ ოპოზიციამ ულტიმატუმი წამოყენოს და ეს არის, ასე ვთქვათ, წინასაარჩევნო კამპანია“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ოპოზიცია ფიქრობს, რომ პარლამენტის თავმჯდომარის ეს განცხადება, ამავე საკითხზე მის წინანდელ განცხადებაზე მკაცრია, რაშიც „დემოკრატიული ფრონტის“ წევრები გიგა ბოკერიას ადანაშაულებენ. მათი აზრით, გადაწყვეტილება პარლამენტის თავმჯდომარის ტონის გამკაცრების შესახებ უმრავლესობის ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაზე გადაწყდა.

**გიგი წერეთელი, „საპარლამენტო უმრავლესობა“**: „პარლამენტის თავმჯდომარის ეს განცხადება არაფრით არ განსხვავდება იმ განცხადებისგან, რაც მან ამ დღეებში თავად გააკეთა. მე მგონი, მისი მოსაზრება უმრავლესობის სხვა წევრების მოსაზრებებისგან არ უნდა განსხვავდებოდეს. ასეთ სიტუაციაში უმრავლესობას თავისი, ჩამოყალიბებული მოსაზრება აქვს“.

მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალზე „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარემ დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ ოპოზიცია უმრავლესობისგან შემხვედრ ნაბიჯებს ელის. ბოიკოტის ვადაზე ოპოზიციური ფრაქციები ჯერჯერობით არ შეთანხმებულან.

**მზია გელენავა**

◉ ინფორმაცია

## ახალი რექტორი წარუდგინეს

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი რექტორი მუშაობას შეუდგა. ახალ კაბინეტში გიორგი ხუბუა განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ალექსანდრე ლომაიასთან ერთად შევიდა.**

**მანამდე კი უნივერსიტეტის ახალი რექტორი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებს განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ პირადად წარუდგინა.**

**რექტორის მოვალეობის ახალმა შემსრულებელმა კი სამოქმედო გეგმა წარმოადგინა და განაცხადა, რომ მისი მუშაობის ძირითადი მიმართულებები განათლებისა და კვლევის ევროპულ სტანდარტებამდე აყვანა, ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრება და ზოგადად, იმ პრინციპების დაცვა იქნება, რომელსაც უნივერსიტეტის დამაარსებლები იცავდნენ.**



## საპყრობილე დაათვალიერეს

**დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა რუსთავის №6 საპყრობილე დაათვალიერეს.**

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრმა გია ქავთარაძემ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №6 საპყრობილე დაათვალიერებინა.**

**№6 საპყრობილეში 678 პატიმარი იმყოფება.**



**იუსტიციის მინისტრის განცხადებით, საპყრობილის გახსნა 2006 წლის 29 მარტს იყო დაგეგმილი, თუმცა, 27 მარტს თბილისის №5 საპყრობილეში განვითარებული მოვლენების გამო, საპატიმრო ორი დღით ადრე ამოქმედდა. საპყრობილეში არსებული პირობები საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. საპატიმროში 2, 4, 6 და 10-ადგილიანი საკნებია.**

**800 პატიმარზე გათვლილი რუსთავის ახალი საპყრობილის რეკონსტრუქციისთვის ევროკომისიამ 1.7 მილიონი ევრო გაიღო.**

**ინტერპრესნიუსი**

## ინდივიდუალური პარტნიორობა

**გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოში აკრედიტებული ნატოს წევრი სახელმწიფოების ელჩები მივიდნენ და ქართულ მხარესთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შესრულების დეტალები და თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.**

**უცხოელი დიპლომატების წინაშე ანგარიში საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ წარადგინეს. სწორედ ისინი დაესწრებიან 13 აპრილს ბრიუსელში დაგეგმილ შეხვედრას, სადაც ნატოს ექსპერტები ქართული მხარის მიერ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) პროგრამის შესრულების შესახებ შეფასებებს წარადგენენ.**

**მედიანიუსი**

◉ ქველმოქმედთა საყურადღებოდ

# აკი, შვილთა სიმრავლე ქვეყნის სიძლიერეაო?!

## რუსთავში მცხოვრები მრავალშვილიანი დედა დახმარებას ითხოვს

**რუსთაველმა ქალბატონმა ნაირა ბერძენიშვილმა სამშობლოს წინაშე სულ ცოტა 3 ქართველი დედის ვალი იტვირთა. ის ახლა 38 წლისაა და 7 შვილი ჰყავს. რომ არა ცხოვრების სიდუხჭირე, რვა ეყოლებოდა: უკიდურესი გაჭირვების გამო 10 თვის ტყუპისცალი გარდაეცვალა.**

არადა, ოჯახი რომ შექმნა, არც ბინა ჰქონდა. შარშან, ნაქირავები ბინიდან თანხის გადაუხდელობის გამო რომ გამოაგდეს, იძულებული გახდა, მერიის წინ შვილებიანად საშიმშილოდ დამჯდარიყო.

ქალაქის ხელმძღვანელობა გაისარჯა და სახელდახელო თავშესაფარი გამოუნახა – პროფტექნიკური სასწავლებლის საერთო საცხოვრებლის შენობაში ერთი ოთახი გამოუყვეს, კარ-ფანჯრებიც ჩაუსვეს, შუქიც გაუყვანეს, მაგრამ არც სამზარეულო აქვს, არც გაზი, არც საპირფარეშო და არიან ასე.

ნათქვამია, ერთ უბედურებას მეორეც ემატება ხოლმეო: ოჯახის მამამ ვერ გაუძლო მოზღვავებულ პრობლემებს, გამუდმებულ უმუშევრობას და განსაცდელში მიატოვა ცოლ-შვილი (იმედი აქვთ, იქნებ დაბრუნდესო და ვინაობასაც მათი თხოვნით არ ვამხელ).

არადა, ერთმანეთზე უკეთესი, უჭკვიანესი შვილები ჰყავს ქალბატონ ნაირას. უფროსი ქალიშვილი 15 წლისაა და დედას მხარში უდგას. როცა ნაირა ლუკმა პურისთვის ბაზარში ვაჭრობს, პატარებსაც ის უვლის.

ნაირა თსუ კურსდამთავრებულია.



პროფესიით თეოლოგია, უაღრესად ერუდირებული, მორწმუნე, შვილებზე თავგადაკლული დედაა. უმცროსი ქალიშვილის დაღუპვამ ლამის მორალურად მოსპო: ვინმე რომ წამშველებოდა, ეს უბედურება არ დამემართებოდაო.

**სახელმწიფო თითო შვილზე 5 ლარით ეხმარება. არიან მადლიანი ადამიანებიც. განსაკუთრებით ჟურნალისტები ნატო მოლოდინი და რუსუდან ლოლაძე. მათ გაზეთსა და ტელევიზიაში არაერთხელ აღწერეს მრავალშვილიანი დედის გასაჭირი, მაგრამ...**

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე ვიყავი. მაშინ რუსთავში 200-მდე მრავალშვილიანი ოჯახი იყო. მათ შორის ნოდიების ცამეტშვილიანი, ქებაძეების თერთმეტშვილიანი და ასე. მრავალშვილიანებად ხუთი და მეტ-შვილიანნი ითვლებოდნენ. ავადსახსენებელი კომუნისტური ხელისუფლება საზოგადოებას ფინანსურად ეხმარებოდა. ასევე მხარში გვედგნენ სამრეწველო საწარმოები და მრავალშვილიანებზე ნაწილდებოდა მსუბუქი ავტომანქანები, ავეჯი, სხვა სოციალური შემწეობანი.

დღეს, რამდენადაც ვიცი, ნაირა ბერძენიშვილი ერთადერთი მრავალშვილიანია, რომელიც უსწრაფეს და განსაკუთრებულ დახმარებას საჭიროებს. **ნაცვლად ამისა, ზოგიერთი არაკაცი თურმე იმასაც წამოაძახებს ხოლმე, – შენახვის თავი თუ არ გქონდა, რატომ აჩენდიო.** ის ხომ თავის დედურ ვალს იხდის და ძალზე ცოტას თხოულობს, დაეხმარონ სამსახურის პოვნაში (ნებისმიერ სამუშაოზე წავაძ და კიდევ ცოტა ადამიანური თავშესაფარი გაუჩინონ.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ პრეზიდენტის რწმუნებული ზურაბ მელიქიშვილი, რუსთავის მერის მოვალეობის შემსრულებელი დავით ნადაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჩიქოვანი, ბიზნესმენები და არა მარტო ისინი, ქალაქ რუსთავში ნიკოლაძის სამ ნომერში მცხოვრები მრავალშვილიანი დედის პრობლემებით დაინტერესდებიან, მიაკითხავენ და კაცურად, მამულიშვილურად გაუწვდიან დახმარების ხელს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ მათი სახელმწიფოებრივი მოვალეობაც არის.

იმედია, რუსთაველი სკოლის მოსწავლეები, ქალაქის საეკლესიო მოღვაწენი გულგრილნი არ დარჩებიან გაჭირვებული თანამოქალაქის მიმართ. მაჟორიტარი პარლამენტარი რუსთავიდან გოგი სალაყაია დაეხმარება 7 შვილის დედას, რომელიც ასე საჭიროებს ყურადღებას.

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ კი იმედს იტოვებს, რომ უახლოეს მომავალში ბერძენიშვილების ოჯახის გაუსაძლის სოციალურ ყოფაზე კი არა, მადლიერი ქართველებისაგან მათდამი გამოჩენილ გულისხმიერებაზე მოგითხრობთ.**

**გივი ჯახუა**

***P. S. დახმარების გაწევის მსურველთათვის მრავალშვილიანი დედის ამჟამინდელ მისამართსაც ვაქვეყნებთ: ქ. რუსთავი, ნიკოლაძის 3. პროფტექნიკური სასწავლებლის საერთო საცხოვრებელი.***

◉ ეს დამღუპველია!

# რას გვიქადის „მონსანტო?“

## თუ ევროპელებს არ სურთ, ჩვენც რად არ უნდა ვთქვათ უარი გენმოდიფიცირებულ საკვებზე?

***როგორც ეკონომიკური ექსპერტები მიუთითებენ, გენმოდიფიცირებული მცენარეების დანერგვის პირველი ათწლეული ბიოტექნოლოგიური ინდუსტრიისთვის წარმოუდგენელი მარცხით დამთავრდა. მართალია, პირველი გენმოდიფიცირებული მცენარე 1994 წელს გაიყიდა, მაგრამ ბიოტექნოლოგიური ინდუსტრიისა და მისი მხარდამჭერების დაპირებები ათი წლის შემდეგაც არ შესრულებულა. უფრო მეტიც, გენმოდიფიცირებული მცენარეებისადმი უკმაყოფილება მთელი მსოფლიოს მასშტაბით კიდევ უფრო გაიზარდა.***

***გენური ინჟინერიის პრობლემებზე სასაუბროდ რედაქციაში მოვიწვიე საქართველოს მწვანეთა მოძრაობის „დედამიწის მეგობრები – საქართველოს“ გენმოდიფიცირებული ორგანიზმების საწინააღმდეგო კამპანიის კოორდინატორი გიორგი მაღრაძე.***

**– ბატონო გიორგი, აშშ-ის ბიოტექნოლოგიური გიგანტი „მონსანტო“ მიზნად ისახავს მომდევნო 4 წელიწადში ევროპაში სიმინდის სრული გენეტიკური მოდიფიკაცია მოახდინოს. ეს ნათქვამია „დედამიწის მეგობრების“ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში. რა ორგანიზაციაა ეს და რა კომენტარს გაუკეთებდით მათ მიერ დასახულ ამოცანას?**

– როგორც ანგარიშში ვკითხულობთ, ევროპაში გენმოდიფიცირებული საკვების დანერგვის ათი წლის მანძილზე ბიოტექნოლოგიურმა ინდუსტრიამ ვერც მომხმარებლისთვის და ვერც გარემოსთვის ვერ შეძლო რაიმე სარგებლობის მოტანა, მით უმეტეს არავითარი როლი არ უთამაშია მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში შიმშილისა და სიღარიბის დაძლევაში.

**– ეს სიმინდი, რომელზეც მათ პროგრამაშია საუბარი, ადამიანის საკვებად გამოიყენება?**

– არა, ის ძირითადად ცხოველთა კვებისთვისაა გათვალისწინებული, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ დამტვერვის შედეგად ჩვეულებრივ სიმინდსაც აღმოაჩინეს გმ ნიშნები, რაც ძირითად გენოფონდს დაღუპვისკენ მიაქანებს.

მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ფაქტობრივად ყველა გმ-მცენარე ცხოველთა საკვების (ფურაჟის) წარმოებისთვისაა განსაზღვრული, თავად ფურაჟის ინდუსტრიას არანაირი სარგებელი არ უნახავს ამ გენეტიკური მოდიფიცირებისგან. 2005 წლის ნოემბერში ევროპის საფურაჟე ინდუსტრიამ (FEFAC), რომელიც ევროპის ფურაჟის წარმოებისთვის სოიის ძირითადი იმპორტიორია, განაცხადა, რომ **მას არ უნახავს რაიმე პირდაპირი სარგებელი მის მიერ შეძენილ პროდუქტში ჰერბიციდებისადმი მდგრადი გენების არსებობიდან, და, აქედან გამომდინარე, არ სურს გადაიხადოს დამატებითი გადასახადი ამ ტექნოლოგიის დანერგვისთვის.**

**– ევროპაში როგორ მიმდინარეობს გმ კულტურების განვითარება?**

– ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვი, სადაც გმ კულტურები აკრძალულია, ასევე გაიზარდა მსგავსი რეგიონების ჩამონათვალი ევროპაში, ამჟამად მათი რაოდენობა 165-ს აღწევს. სექტემბერში შვეიცარიამ რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა ხუთწლიან აკრძალვას.

**– გამოდის, რომ ევროპელებს არ სურთ გმ საკვების მიღება?**



– დიახ, ევროპული გამოკითხვები უჩვენებს, რომ მოსახლეობის 70 პროცენტს არ სურს ასეთი საკვების მიღება, ამასთან ყველა ძირითადი მწარმოებელი კრძალავს თავის პროდუქტებში „მონსანტოს“ გმ სოიის გამოყენებას, რადგან დღეისათვის დანერგილი გმ მცენარეების უმრავლესობა განკუთვნილია საფურაჟედ და არა ადამიანის საკვებად. ამიტომ ასეთ კულტურებს არ შეეძლოთ მოეგვარებინათ შიმშილისა და სიღარიბის პრობლემა და დაეცვათ მოსახლეობა. განვითარებად ქვეყნებში გმ მცენარეები ძირითადად საექსპორტო მიზნებისათვის ინერგებოდა და ხშირად ადგილობრივი პროდუქციის ხარჯზე. მრავალ განვითარებად ქვეყანას, მაგალითად, ინდონეზიასა და ინდოეთს დიდი პრობლემები შეექმნათ „მონსანტოს“ გმ მცენარეების გამო, ვინაიდან მათი ფერმერები ხშირად კონტროლდებოდნენ.

**ბატონი გიორგი მაღრაძე აცხადებს, რომ „მონსანტოს“ გეგმები განსაკუთრებით საშიშია საქართველოსთვის, ვინაიდან ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ არა აქვს ამ მიმართულებით საკანონმდებლო ბაზა და მაკონტროლებელი სისტემები. „მონსანტოს“ გენმოდიფიცირებული მარცვლეულით ჩვენი სიმინდისა და სოიის დაბინძურება სრული კატასტროფა იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის და ქართველი მეწარმეებისთვის. ამით ჩვენ დავკარგავთ საკმაოდ სერიოზულ ბაზარს ევროპის სახით, სადაც სუფთა საკვები პროდუქტები საკმაოდ ძვირად ფასობს, ამბობს იგი.**

საქართველოს აქვს ამ კულტურებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება. ამ 10 წლის წინათ საქართველოში პირველად შემოიტანეს „მონსანტოს“ გმ – კარტოფილი და მოხდა მისი კულტივაცია. ეს პროცესი, როგორც ცნობილია, სავალალოდ დასრულდა როგორც პროექტში მონაწილე ფერმერებისთვის, ისევე საქართველოს ბუნებისა და მეკარტოფილეობისათვისაც. ფერმერებმა სერიოზული ფინანსური ზარალი განიცადეს, ისევე მნიშვნელოვნად დაბინძურდა ჩვენი სათესლე კარტოფილის ფონდიც.

**თუმცა საქართველოს ჯერ კიდევ აქვს არჩევანის შესაძლებლობები და ჩვენ უნდა ავირჩიოთ სუფთა, არაგენმოდიფიცირებული კულტურების წარმოების გზა, ვინაიდან მხოლოდ ასე შევძლებთ საერთაშორისო ბაზარზე გასვლას და იქ დამკვიდრებას. საქართველოს მთავრობამ სწორად უნდა განსაზღვროს პრიორიტეტი და ქვეყნის ბიოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დროულად იზრუნოს – ასეთია ექსპერტის დასკვნა.**

**ნაზი იმნაიშვილი**

შაბათის სტუმარი

# ორი პოეტი, ორი მეფე

**შევნატრი ინესა მერაბიშვილს – ეს მშვენიერი ქალბატონი რახანია ლორდ ბაირონის სამყაროში ტრიალებს, ხელისგულზე უდევს უდიდესი ინგლისელი პოეტის ცხოვრება და შემოქმედება. ეს, ცხადია, განაპირობა ქალბატონ ინესას პოეტურმა, არტისტულმა ბუნებამ, ღრმა ფილოლოგიურმა განათლებამ, ინგლისური ენის ბრწყინვალე ცოდნამ.**

**ჩვენი საუბრისას ერთი კეთილშობილური, ადამიანური თვისებაც შევამჩნიე ქალბატონ ინესას: თუ იგი დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, ენებისა და თარგმნის კათედრის გამგეა, საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტია, ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრია, თბილისის ბაირონის სკოლის დირექტორია და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, ყოველივეს უმადლის პატარა გორს – ქართლის გულს, სადაც ის დაიბადა და აღიზარდა, უმადლის წინაპრებს – წიგნიერ ხალხს, რომელთა ყურადღებასა და მზრუნველობას ნიადაგ გრძნობდა, უმადლის მშობლებს, შესანიშნავ პედაგოგებს...**

– საოცარი გარემო იყო, – მიამბობს ქალბატონი ინესა, – 1901 წელს აშენებული პაპაჩემის სახლი თეატრის სიახლოვეს იდგა, ჩვენთან ხშირად სტუმრობდნენ იქაური დასის წევრები, ჩემი სათაყვანებელი მსახიობები. ისინი მე ქართულ სიტყვას მაყვარებდნენ.

***– იქნებ, მსახიობობაც გინდოდათ...***

– ამაზე ნამდვილად მიოცნებია, ძალიან მიყვარდა დეკლარაცია, სკოლაში საზეიმო საღამოების გაძღოლას მანდობდნენ, მაინც ვერ ვამხელდი, რომ მსახიობობა მინდოდა, არადა, უკვე ვამთავრებდი სკოლას. არქიტექტურაც მიტაცებდა, ჟურნალისტიკაც, წარმოიდგინეთ, მათემატიკაც... ამ დროისათვის ინგლისურსაც უკვე კარგად დაუფლებული ვიყავი ქალბატონ ლიანა ბახტაძის მეოხებით და ბოლოს ინგლისური ვარჩიე. ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მიხედმოხედვაც ვერ მოვასწარი, „ხელი მტაცა“ გორიდან წამოყოლილმა რჩეულმა და ოჯახიც შევქმენით... (სამწუხაროდ, შარშან მეუღლე დავკარგე. შვილებით, მისი სახელითაც ვხაროზ. ირინე გივიაშვილი ხელოვნებათმცოდნეა. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი – ერეკლე და თორნიკე კოპლატაძეები. ვაჟიშვილი, ირაკლი გივიაშვილი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია. სადოქტორო დისერტაცია შეასრულა დიდ ბრიტანეთში და მალე დაგვიბრუნდებაძ. უნივერსიტეტში ვარ მას შემდეგ, იქ დავიცავი დისერტაციები, თუმც ორივე დისერტაციაზე მუშაობა ჯერ რუსული, ხოლო შემდეგ ინგლისური და ევროპული კონტაქტებით, იქ მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით განვითარდა.






***– და გაგიტაცათ ბაირონმა...***

– საოცრად... მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ძირფესვიანი შესწავლა ოციოდე წლის წინათ დავიწყე. იმ ვეება სამყაროსთან ერთად, რომელსაც ბაირონის პოეზია და მისი განვლილი გზა გვთავაზობს, იმ შარავანდედით მოსილ დიდებასთან ერთად, რომელიც ჯერ კიდევ მისმა თანამედროვეობამ იხილა, თვალნათლივ დავინახე, თუ როგორ ცდილობდნენ ორი საუკუნის მანძილზე ადამიანები დაეფარათ და დაეკნინებინათ მისი დიდი მისიის სიმართლე, ხოლო პიროვნების სისპეტაკე ბილწი ავსიტყვაობით შეელახათ...

***– თქვენ ბაირონის ნახევარ დასთან „სხვაგვარი“ ურთიერთობის, სისხლის აღრევის ცილისწამებას გულისხმობთ, არა?..***

– დიახ... და მისი მემუარების განადგურებას, რითაც ჭორსა და ავსიტყვაობას ფრთები შეესხა... მე შევისწავლე ზღვა მასალა ბაირონის შესახებ, მოხსენებებით გამოვედი მრავალ საერთაშორისო კონფერენციაზე, შევხვდი მსოფლიოს წამყვან ბაირონოლოგებს, სტუმრად ვეწვიე მრავალ სახლს და ადგილს, სადაც ბაირონს უცხოვრია და ფეხი დაუდგამს, ვიყავი მის მამულში, გავიცანი მისი გვარისა და ოჯახის შთამომავლები, საკუთარი თვალით ვიხილე მისი ხელნაწერები და პირადი ნივთები...

***– და რა დასკვნამდე მიხვედით?***

– რომ ეს არის ცილისწამება... სხვათა შორის, ამასვე ამტკიცებს დღეს უამრავი ბაირონოლოგი... ასეთი ამბები, მოგეხსენებათ, დიდი ადამიანების თანამდევია. ნუთუ მაღალი ზნეობიდან არ მოდის მისი უფაქიზესი, უმშვენიერესი პოეზია, რომლის უდიდეს გავლენას განიცდიდა კაცობრიობის მრავალი გენიოსი.

***– მგონი, გალაკტიონიც?***

– მერის სახე ხომ ბაირონისეულია... როგორც პუშკინთან, ლერმონტოვთან, ბლოკთან... ეს ცხადყო ანალიზმა, თუმცა გალაკტიონთან ჩემი შეხვედრა მეორე მხრითაც მიმზიდველი იყო. საქმე ის არის, რომ ჩემი პირველი დისერტაცია ეხებოდა მეოცე საუკუნის ინგლისური და ამერიკული პოეზიის უჩვეულო შესიტყვებებს (ენიგმებისძ ლინგვისტურ ანალიზს. მე ასეთი შესიტყვებები მეგულებოდა გალაკტიონთან. დავიწყე კვლევა, რომელსაც, რატომღაც, აქამდე ტაბუ ედო ქართულ ფილოლოგიაში...

***– მაინც რატომ?...***

– მეთოდიკა არ იცოდნენ... ჩემი სათაყვანო ადამიანისა და პედაგოგის, ბატონ მიხეილ კვესელავას „პოეტურ ინტეგრალებშიც“ კი არ არის გალაკტიონის ენიგმებზე საუბარი... და აი, ორი წლის წინათ გამოვიდა ჩემი გამოკვლევა „გალაკტიონის ენიგმები“.

***– რომელიც ძალზე საინტერესო მონოგრაფიაა... მოდით, ქალბატონო ინესა, შევადაროთ ერთმანეთს გალაკტიონი და ბაირონი.***



– ისინი განსხვავებულნი არიან ბედით, პოეზიით... ერთი მცირე ერის შვილია, ჭყვიშში, ღარიბულ ოდასახლშია დაბადებული, მწერალთა კავშირს ფულს სთხოვს პალტოს შესაძენად, მეორე – დიდებული სასახლეების მფლობელია, ლორდთა პალატის წევრია, ნაპოლეონის ეტლის მსგავსი ეტლით მოგზაურობს ევროპაში... თუმცა ეს ყოველივე არარად მიაჩნია... ორივენი უდიდესი პოეტები არიან... და, მაინც ვიტყვი: მე ვეთაყვანები ამერიკულ და ინგლისურ პოეზიას, ვიცნობ მსოფლიო შედევრებს, მაგრამ გალაკტიონის მსგავსი პოეტი არ შემხვედრია, მე მას არავის ვაჯიბრებ, თუმცა, რასაც გალაკტიონი ჩემ სულს აძლევს, ის საზრდო არავის მოუცია... ბაირონი მსოფლიო პოეტი და მსოფლიო მოქალაქეა (ამას ესწრაფვოდაძ, გალაკტიონი მსოფლიო პოეტია...

***– თქვენ თარგმნეთ და გამოეცით ბაირონის ლექსები ქართულად, გალაკტიონისა – ინგლისურად... რაღა თქმა უნდა, უდიდესი შრომის ფასად...***

– თარგმნის დროს ჩემი ფორმულაა – ფილოლოგიურ გამოკვლევას პლუს არტისტული შესრულება.

***– ალბათ, ამიტომაც არის, რომ თქვენი გამოკვლევები თარგმანის თეორიაში კიდევ ორ ახალ მონოგრაფიაში აისახა: „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“ და „თარგმანი – კულტურა და დიალოგი“, ხოლო როგორც ინგლისელი და ამერიკელი ექსპერტები ამბობენ, ეს ყოველივე იგრძნობა გალაკტიონის თქვენეულ ინგლისურ თარგმანებში...***

– მე ბედნიერი ვარ... თუ ჩვენ არ ვეცადეთ, რომ სათანადო თარგმანების მეშვეობით საერთაშორისო ასპარეზზე გავიტანოთ ქართული პოეზია, როგორც ჩვენი უდიდესი სულიერი და ინტელექტუალური საგანძური, გარე სამყარო მხოლოდ ჩვენეულ შეფასებებს ვერ დასჯერდება.

***– ქალბატონო ინესა, ლეგენდასავით გამიგონია, თუ როგორ გააერთიანა საბერძნეთში ჩასულმა ბაირონმა ერთმანეთს წაკიდებული ბერძნები... მოდით, ვიოცნებოთ: დღეს რომ იგი ჩვენთან ჩამოსულიყო, გააერთიანებდა ქართველებს?***

– ჯერ ერთი, ლეგენდა კი არა, სიმართლეა. 1823 წელს ჩავიდა საბერძნეთში და 1824-ში იქვე, პატარა ქალაქ მისოლუნგში, უბრალო ნაქირავებ ბინაში აღესრულა. ფრიად საგულისხმოა, მისი ჩასვლის მიზანი და მისიაც ბერძენთა დაქსაქსული პარტიების გაერთიანება იყო. სამწუხაროდ, სიკვდილმა მას იქ ნაადრევად, 36 წლის ასაკში მოუსწრო, და მან ეს ვერ განახორციელა. ბერძენმა ხალხმა აიტაცა მისი დიდი მიზანი და ნაანდერძევი და ისინი მისი სიკვდილის შემდეგ გაერთიანდნენ, რადგან მათ იპოვეს ძლიერი შინაგანი მუხტი. ქართველებმა თუ ასეთი მუხტი არ ვიპოვეთ, ბაირონის ჩამოსვლა კი არა, ვერაფერი გვიშველის.

* * *

**ქალბატონმა ინესა მერაბიშვილმა ამ რამდენიმე წლის წინათ, ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის (ქ. ლონდონიძ საქართველოს ბაირონის საზოგადოებასთან დააარსა თბილისის ბაირონის სკოლა, როგორც ინგლისური ენისა და ინგლისურენოვანი ქვეყნების კულტურათა შემსწავლელი დამატებითი სასწავლებელი. სკოლის მიზანია ქართველი ახალგაზრდების სათანადო მომზადება საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად. ამ სასწავლებლის წარჩინებული სტუდენტები გადასახადს არ იხდიან. სწავლების პროცესი ითვალისწინებს ინგლისურ ენაში საერთაშორისო სერტიფიკატის მიღებას, საზაფხულო სკოლას დიდ ბრიტანეთში და წარჩინებულ მოსწავლეთა უფასო მომზადებას.**

**ესეც ხომ ინესა მერაბიშვილის გამორჩეული ქალობის ნათელი ნიმუშია.**

**ვილენ მარდალეიშვილი**

**სურათებზე: ინესა მერაბიშვილი; ინესა მერაბიშვილის მიერ თარგმნილი და გამოცემული ბაირონი – ქართულად, გალაკტიონი – ინგლისურად.**

მოყვარეს პირში უძრახეო

# სადაც არ გიხნავს, ძმობილო...

## ღია წერილი რეზო ჭეიშვილს, ანუ ბნელა?!

**რეზო, წავიკითხე შენი საკუთარი გაზეთის სცენარი - ინტერვიუ და გაოცებული დავრჩი. რაოდენ უფერულია შენ მიერ მოტანილი დეკორაციები იმ სცენისათვის, რომელზეც „საქართველოს მწერალთა კავშირისა“ და დღევანდელ საქართველოს მთავრობას შორის ფრიად საძრახისი სპექტაკლი თამაშდება. ვფიქრობ: შენ, - მწერალ რეზო ჭეიშვილს, ამ ბინძურ თამაშში მონაწილეობა არ უნდა მიგეღო, რადგან შენი დონის მწერლისაგან ასეთი არავაჟკაცური და გასაქირდი თვისებების საჯაროდ გამომზეურება არ ეგების თავისი თანამოკალმეების მიმართ! იგი ერის მოსისხლე მტრისგან მოსეული კაცის წაქეზებაა თვისტომელებზე, - მისცხე წაქცეულსო! – თუ, რა თქმა უნდა, შიგ ტოლმასავით არ არის გახვეული პირადი ანგარიშსწორება!**

ახლა, მე შენ ისე კი არ განგსჯი, შენს წერილსა თუ ინტერვიუში მტყუანი ხარ თუ მართალი, არამედ, როგორც თავისი ერის ჭირისუფალს, მწერალს, რომელმაც მხატვრულ შემოქმედებასა და საკუთარ „მე“-ში, საკმაო სიმაღლეზე უნდა აზიდოს ადამიანის ადამიანურობა! მე კარგად ვიცი: კაცს იმაზე მეტი არ უნდა მოსთხოვო, რისი ქმნაც ძალუძს, მაგრამ ამასთანავე, ისიც ვიცი, რომ, რაც იუპიტერს ეპატიება - ის ხარს არ ეპატიება! ისეთი შთაბეჭდილება რჩება, შენ, როგორც მწერალმა, დღევანდელი ყოფის ქაოსში დაჰკარგე ორიენტაცია და, როგორც ყოველ ნაპარლამენტარს, შეგიძლია პირადი ინტერესებისათვის საერთო საქმის საზიანოდ გაისარჯო!...

პარლამენტში გატარებული დღეები ფრიად დიდი ასპარეზია ადამიანის შინაგანი ბუნებისა და სულიერი სამყაროს გამოსავლენად. იქიდან ან კაცად - ნაქცევი გამოდიხარ, ან ნაკაცარი!... შენ დაგაბნია შენში პიროვნულისა და ეროვნულის ჭიდილმა, სადაც ეროვნულზე პიროვნულის გამარჯვებამ იზეიმა!... ერის კულტურა, ერის ზნეობრიობა, ერის ისტორია, – ეს ხომ ყოველი გონიერი ქართველისათვის საკუთარ „მეზე“ ყოველთვის მაღლა უნდა იდგეს, რათა გადარჩეს ხელისუფლებაში მოსულ ყველა მეთავისეთა, ყველა სულგაყიდულთა ხელყოფისაგან!.. მათი უგუნური ქმედება სახელმწიფო ღალატის რანგში უნდა იქნეს განხილული მამულიშვილთა არეოპაგში!...

ინტერვიუს მიცემა ყველა მწერალს შეუძლია, – ინტერვიუს აღება ყველა ჟურნალისტს, მაგრამ სიმართლე და სამართლიანობა რომ შევიცნოთ, ორი ჭეშმარიტება უნდა დაუპირისპირდეს ერთმანეთს და შემდეგ გონიერ, მიუდგომელ კაცთაგან განისაჯოს... ორი ძმა ეყრებოდა ერთმანეთს. ერთხელ ერთი ძმის ცოლი ეახლა მეზობელს და განუცხადა: წუხელ მე და ჩემმა ქმარმა დავიანგარიშეთ და ჩემ მაზლს არაფერი შეჰხვდაო!... ყოველ კაცს შეიძლება შეეშალოს რამე, მაგრამ, როდესაც გონიერი კაცი წინასწარი განზრახვით იდენს საუგოს, ეს უკვე უპატიებელია!

დავიწყოთ თავიდან.

ჟურნალისტი გეკითხება: ართმევენ თუ არა მწერლებს სახლს? შენ პასუხობ: მწერალთა კავშირს და არა მწერლებს... მე ამ პასუხში ვერც იუმორს და ვერც ენამოსწრებულობას ვხედავ! – პირიქით, – აქ სხვა რამ ჟონავს: რის მწერალთა კავშირი, რა მწერალთა კავშირი, – იქ მწერლებს რა უნდათ?!. ჰოი, ჩემო „მიამიტო“ ძმობილო, როგორა სცდები, როგორა სცდები!.. შემდეგ კი, თანდათან რომ შეხურდები და დაუკრეფავშიც გადაალაჯებ, დაბოლმილი ამბობ: მოერგნენ კაბინეტებს და სარაჯიშვილის ნაშენები და ხოშტარიასგან ნაყიდი სახლი ბაბუამისის ნაყიდი ჰგონიათ!...

ერთი ეს მითხარი, ვეფხვო, შენ რომ კაბინეტსა ხარ მორგებული, ის „ბაბუაშენის“ ნაყიდია?.. შენ რომ არა მარტო კაბინეტს მოერგე, არამედ მწერალთა კავშირის კუთვნილ ლიტფონდსაც მოექეც ქეჩოზე, ის რა, – „პაპაშენმა“ გიანდერძა?.. ჟურნალისტი იმაშიაც დაგიჯერებია, რომ მწერალთა კავშირის არა მარტო პირველი მდივანი, არამედ თავმჯდომარეც შენ უნდა ყოფილიყავი, რადგან თავმჯდომარეობაზე თურმე შენ იყარე კენჭი! – და ამის მოწმედ საინიციატივო ჯგუფი მოგყავს... ნუთუ ვერ ამჩნევ როგორ ცდილობ, რომ მწერალთა კავშირს როგორმე სახელი გაუტეხო?! – იმ საინიციატივო ჯგუფში მეც ვიყავ და ასეთი რამ წინა საყრილობოდ არ მომხდარა... ყველაზე მეტი ხმა მაყვალა გონაშვილმა მიიღო და თავმჯდომარეც ის გახდა. დანარჩენი სამი კი მოადგილეებად გახვედით!..

რაც შეეხება გამგეობას, არავის ყალბი ოქმები არ უდგენია და არც რამე დავიწყებია, – უბრალოდ: საქართველოს ყველა კუთხის ცალკეული განყოფილებების მდივნები და სხვა სამწერლობო ჯგუფების თავკაცები ვინც იყვნენ, ისინი გამოცხადდნენ გამგეობის წევრებად. (რა თქმა უნდა, – ყრილობასთან შეთანხმებითძ...

მაგრამ, ბატონო რეზო, ერთი ეს მიბრძანეთ: თქვენს კორესპონდენტს, – ჟურნალისტს, ვინ დაახვია თავბრუ და ვინ ჩააგონა, რომ ჩვენი მაშინდელი რიგგარეშე ყრილობა „ექსტრემალურ“ კი არა, – ქაოტურ ვითარებაში ჩატარდა? ამ შენს ნაუკუღმართალ წერილს ასე რომ არ გავებრაზებინე, ხომ არ გავიხსენებდი ამ „რიგგარეშე“ ყრილობის წინ, – გამგეობის ზურგს უკან, მწერალთა კავშირის წევრებისთვის შეუტყობინებლად, მაშინდელმა მდივნებმა სამდივნო რომ მოიწვიეთ და, კაცმა არ იცის რატომ, მაინც და მაინც შენ ლიტფონდისა და მაჩაბლის ქუჩის №11-ის შენობის, – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნაჩუქარ ლიტერატორთა სახლის დირექტორის „სახელიც“ რომ გაირთყი; მერე, მწერალთა კავშირის კუთვნილი „მერანი“ ხუთიოდე კაცმა მწერალთა კავშირის გამგეობის დაუკითხავად რომ დაითრიეთ, განა ერთ-ერთი მოწილე შენ არ იყავი?.. გინდა გითხრა, რატომ არ აგირჩიეს თავმჯდომარედ? – შენ შეჰპირდი მწერლობას და, გაზეთშიაც გამოაქვეყნე, რომ შენს წილს მწერალთა კავშირს დაუბრუნებდი, მაგრამ დანაპირები არ შეასრულე! – ახლა რატომ გიკვირს, რომ ხმა არ მოგცეს?.. კაცს, რომელიც მწერლობას ერთადერთ გამომცემლობას წაღლეტს, – თავმჯდომარედ როგორ აირჩევენ?!. მაგ საცოდავ ჟურნალისტს რომ არწმუნებ: ბევრი გავიდა მწერალთა კავშირიდანო, რატომ არ უხსნი რისთვის გავიდნენ?! – რომელი სულმოკლე დადგებოდა თქვენს შემდეგ კავშირში, როდესაც უკანმოუხედავად კუდის რიკამდე გაჰფცქვენით იგი?! – აღარ იყვნენ კომუნისტები და აღარც ბინებს იძლეოდნენ, აღარც მანქანებს, აღარც ჰონორარს, ველარც წიგნებს სცემდნენ და აქ რაღა უნდა ეკეთებინათ?

იხ. მე-6 გვ.

მოყვარეს პირში უქრახეო

# სადაც არ გიხნავს, ძმობილო...

(მეხუთე გვერდიდან)

მაგრამ დარჩნენ გაჭირვებაში გამობრძმედილნი და მწერალთა კავშირი არ დაუშლიათ! აბა, თუნდაც ერთს თუ დამისახელებ, შენიანად, ერთხელ თუ მაინც დაფიქრებულა იმაზე, რომ თავისი გასვლით როგორ ასუსტებდა ქართულ მწერლობას, მწერალთა კავშირს და ამით თავის საკუთარ ერს უსუსტებდა ზურგის მისაყრდნობს, მის დამცველსა და მოჭირნახულეს!... შენ, საკმაოდ ცხოვრებანანახი და გამოცდილი კაცი, როგორ დამაჯერებ, რომ ვერ ამჩნევ, მთავრობასა და პარლამენტსაც კბილები როგორ უკაწკაწებთ მწერალთა კავშირის ორივე სახლზე! — ერთი სული აქვთ, როდის წაგვგლეჯენ და, კაცმა არ იცის, თურქთა რომელ ტომსა და მოდგმას მიჰყიდიან დაბენდუქიძებულნი! ქართველი ერის ღვრიტასა და მოამაგე მწერლობას როდის გადაუმსხვრევენ ხერხემალს, რათა ველარ შესძლოს წელში გამართვა?!. შენ და შენისთანანი კი ცეცხლზე ნავთსასხამთ და საჯაროდ აბეზღებთ მთავრობასა და პარლამენტთან! იცი თუ არა შენ, რომ, რასაც აკეთებ შენი ინტერვიუთი თუ წერილით, „ჩაშვებას" ნიშნავს?!. რომ ეგ „ბიჭურ" ენაზე „ბოზობად" არის მონათლული?!. ფრთხილად იყავი, რეზო, მწერლის სახელს კუპრში ნუ ამოსვრი. ის, რაც ახლა ერთი მწერლის ოჯახისთვის აუცილებელია, იმაზე მეტი გაქვს და ნუ გეცოტავება. მაგაზე მეტის ქონის სურვილს — სიხარბე ჰქვია და იქიდან იწყება, როცა აუცილებლის ქონა არასაკმარისი გეჩვენება. დღეს სიმდიდრის დაგროვების გზა უეჭველ დანაშაულზე გადის და, როცა ხალხი სიდუხჭირ-სილატაკეში ცხოვრობს, მაშინ ერთეულთა სიმდიდრე ბოროტებად მოიაზრება... იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო ჩამოუყალიბებელია, კანონებიც ადამიანთა დასათრგუნად უფრო იქმნება, ვიდრე უზნეოთაგან მათი ზნეობის დასაცავად! სახელმწიფოში, სადაც კანონთა შემქმნელნი პირველნი არ სცემენ პატივს ამ კანონებს, საზოგადოება სასიკვდილოდ არის განწირული! ქვეყანას, სადაც მთავრობა და პარლამენტი, უპირველესად, დანაშაულში მხილებულ თავის მომხრეებს სამაგალითოდ კი არ სჯის, არამედ პარტიულ მოწინააღმდეგეებს უგებს მახეს, რათა თავისიანს მხილება აარიდოს, განა შეიძლება მწერალმა თავის ხალხს უგანოს და კანონთა ფეხქვეშ გამთელველებს მიეტმასნოს?!. გირჩევ ამ საქმეს ცოტა ფილოსოფიურად მიუდგე და სძლიო სიხარბესა შენსა! ერთ რამეს დაუკვირდი: როცა აუცილებელი ძნელად მისაწვდომად იქცევა, მაშინ ძნელად მისაწვდომი აუცილებლად აღარ მოგეჩვენება. ერიდე იმ ხალხს, რომელნიც ჩვენს, ე. ი. ხალხის ბრბოდ გადაქცევას ცდილობს, რათა მერე ის ადვილად მართოს! — მაგრამ, მაგათ ის არ იციან, რომ მერე, ძალიან მალე, თავადვე გახდებიან ბრბოს სამართავი!!!

ახლა ისევ შენს ინტერვიუს მივუბრუნდეთ, რომელშიც ცდილობ შენი მრავალგვარი ცოდნით იმ საცოდავ ჟურნალისტს თავბრუ დაახვიო: კეისარს იხსენებ, რომელსაც თურმე უთქვამს: მივედი. ვნახე. დავიპყარი... აქ კეისრის მესამე სიტყვა — „დავიპყარი" კი არა, — „დავამარცხე" უნდა იყოს!.. კეისრის ენაზე (ლათინურადძ ასე გამოითქმის Veni. Vidi. Vici. — მაშასადამე, — დავიპყარი კი არა, — დავამარცხეო!.. მითრიდატე პონტოელის შვილი — უფლისწული ფარნაკე რომაელთა დაპყრობილ ბითვინიასა და კაპადოკიაში შეიჭრა და მერე მცირე სომხეთის დალაშქვრაც განიზრახა. კეისარი სამი ლეგიონით სირიიდან გავიდა და, როგორც კი მიუახლოვდა ფარნაკეს ვეება მხედრობას, ელვისუმალ ეკვეთა და სასტიკ ბრძოლაში დაამარცხა!.. მაშინ მისწერა რომის სენატს ის სამი სიტყვა.

ეს სხარტული გამოთქმა ლათინურში საანდაზოდ იქცა და მისი დამახინჯება ყოვლად დაუშვებელია! — თანაც, ქართულადაც რომ სხარტული იყოს, — სიტყვა „მივედი" ცოტა გაჭიანურებულია და დანარჩენი მომდევნო სიტყვების სიცქაფეს არ ესადაგება! — „მივედი" კი არა, — მიველ. ვნახე. დავამარცხე. (!ძ რაც შეეხება, სიტყვა „დაპყრობას", — იპყრობენ დაუპყრობელ ქვეყნებს; იღებენ: ციხე-ქალაქებს, გამაგრებულ „პუნქტებს" — ბარიკადებს... ხოლო ლაშქარს, არმიას, მხედრიონს, — ამარცხებენ!.. ორჯონიკიძის „სხარტულაზე" კი (პრივეტ იზ არლა!ძ მე სუვოროვის „სხარტულას" ვამჯობინებდი, რომელმაც რუშინეთში თურქთა ყველაზე გამაგრებული ციხე-ქალაქი ტურტუკაი აიღო და თავის იმპერატრიცა ეკატერინე ‖-ს მისწერა: Слава богу, слава вам, Туртукай взял и я там!.. — ჰა, როგორია? — ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, მაგრამ სერიოზულად კი ჩემთვის, როგორც ამ ინტერვიუს და წერილის მკითხველისთვის, იმ დონის მწერლისგან, როგორიც შენა ხარ, დაუშვებლად მიმაჩნია აურაცხელი „იმერიზმებით" გავსება და ამით მშობლიური ენის წარყვნა-დანაგვიანება.



დიალექტი მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც მწერალს თავის ნაწარმოებში საქართველოს ამა თუ იმ კუთხის მცხოვრები შემოჰყავს გმირად. ხოლო, სადაც ავტორი თავად ჰყვება ამბავს, დიალექტი ყოვლად დაუშვებელია, აუცილებლობით გამოწვეულს გარდა!.. რა მაგალითებსაც აქ მოვიტან, ყველაფერ ამას, — ქართული ენის გრამატიკის წიგნით მეხუთე კლასში ასწავლიდნენ ჩემ დროს!.. ზმნის პირის ნიშნების — **ჰ**-ს და **ს**-ს ვერ ხმარობ სადაც საჭიროა, ზოგჯერ კი იქ ხმარობ, სადაც საჭირო არ არის, და ამდენად, სრულიად სხვა სიტყვა გამოდის და არა ის, რომლის თქმაც გინდა! — მაგალითად: წყალობდნენ, — თუ ამას ს-ს დავუმატებთ, — სრულიად სხვა მნიშვნელობის სიტყვას მივიღებთ; ასევეა — ჭირდებოდა, — უნდა იყოს **სჭირდებოდა**, რადგან ჭირდებოდა ნიშნავს: ჭირად იქცეოდას, ხოლო **სჭირდებოდა** სრულიად სხვაა; მიყვებოდა სრულიად სხვა მნიშვნელობისაა, — მიჰყვებოდა სრულიად სხვაა! — მაგალითად: პაპა ზღაპარს მიყვებოდა; ძაღლი პატრონს მიჰყვებოდა; ცალია კი არა, — **სცალია**! მაგ: ეს ბიჭი ტყუპის ცალია; როცა პირის ნიშნად **ს** ემატება, მაშინ სიტყვა სრულიად სხვა მნიშვნელობისა ხდება — მაგ: ამ კაცს დღეს შენთვის არა **სცალია**!.. გაყვა კი არა, — გაჰყვა; ჭირთ კი არა, — **სჭირთ**; პასუხი-თქვა კი არა, — პასუხი-მეთქი; როდესაც შენ ამბობ, მაშინ უნდა „მეთქი", ხოლო როდესაც პასუხს სხვა ამბობს, მაშინ უნდა „თქვა"; ქვრებოდა კი არა (აქ **ვ** ზედმეტიაძ უნდა იყოს ქრებოდა; შევაგზავნე, გავაგზავნე, **ვაგზავნი**, — აქ ვ-ს შემდეგ ნახმარი ა ზედმეტია, — უნდა იყოს შევგზავნე, გავგზავნე, ვგზავნი; ჩაგიდევთ კი არა ჩაგიდვიათ; **თვარა** კი არა, — თორემ; **ჩაყვინება** და **ამოყვინება** კი არა, — ჩაყვინთვა და ამოყვინთვა; ამოჰყო კი არა, ამოყო (ამოჰყო სხვა სიტყვააა;ძ ან ეს „ვუთხარიყენ" — საიდან მოიტანე? — ეს მთლად შეუფერებელია შენთვის!..

სხვათა შორის, სახელთა ბრუნება, მათთან ერთად ნაცვალსახელისაც, მეხუთე კლასში ისწავლება! და, მათი დამახინჯება, არამც თუ მწერალს, — არამედ, უბირ წერა-კითხვის უცოდინარსაც არ ეპატიება!... **იმათმა გაავრცელეს; იმათმა თქვეს; ამათმა, — ჩვენებმა ქნეს;** ყოვლად დაუშვებელია!!! **„იმათმა"** და **„ამათმა"** წარამარა ისმის მთავრობიდან და პარლამენტიდან! აქედან — ჟურნალისტებმაც გადაიღეს და ლამის „ქათმის ჭირივით" მოედო სრულიად საქართველოს, რადგან ყოველ უბირს ჰგონია, რომ მთავრობასა და პარლამენტში ჭკუისკოლოფები სხედან და, თვითონაც რომ სხვათა თვალში სწავლულებად გამოჩნდნენ, დიდის რძესავით ითვისებენ იქიდან წამოსულ ყოველგვარ სიმახინჯეს!.. უნდა იყოს: იმათ თქვეს; იმათ ქნეს; იმათ გაავრცელეს; ამათ მოხნეს; ამათ დათესეს და სხვ. ნაცვალსახელი „იმათმა" მხოლოდ მაშინ ითქმება და იწერება, როდესაც ამ ნაცვალსახელს სხვა სახელი მოსდევს, — მაგალითად: იმათმა ძაღლმა მიკბინა; ამათმა ღორმა მოთხარა და სხვა ასეთები!..

ან ეს სადაური ქართულია, — ახლა რომ შემოიღეს მთავრობასა და პარლამენტში, — „კაცის" ნაცვლად „ადამიანი" რომ იხმარება (რა თქმა უნდა — რუსულის მიხედვით — ჩელოვეკ!ძ? მაგალითად: ამათმა, — „ჩვენებმა", 140 ადამიანი, ქალი, კაცი და ბაღანა გააწევრეს... რაო — კაცი, ქალი და ბაღანა ადამიანები არ არიან??? ადამიანი ცალკე ცხოველია და კაცი, ქალი და ბაღანა ცალკე ცხოველები?.. აი, რა ქნა სხვათა ენის მიბაძვამ! როდესაც გაწევრებაზეა ლაპარაკი, იქ **„ადამიანის"** ხსენებას რა უნდა? — როდის იყო, რომ ცხოველებს, ფრინველებს, ქვეწარმავლებს, — მწერალთა კავშირში აწევრებდნენ?.. აქ უნდა იყოს ქართული — **„კაცი"** და არა **„ადამიანი"!** — ამა და ამ კავშირში ამდენი **კაცი** გაწევრდა; ამ ქალაქში ამდენი **კაცი** ცხოვრობს; ამა და ამ ზეიმში ამდენმა **კაცმა** მიიღო მონაწილეობა, და არა **„ადამიანმა"!** — აქ **ადამიანი** მხოლოდ მაშინ შეიძლება თქვა, თუ შიგ სხვა პრიმატებიც არიან მოხსენიებულნი; — მაიმუნები, იხვნისკარტები, ზღარბები, ზვიგენები, ანდა პითონებიც მონაწილეობდნენ!.. არ უნდა დაგვავიწყდეს ქართული — **კაცი** და **დედა-კაცი** (დედაკაციძ...

მოდი, ახლა საამისოდ ეს ვიკმაროთ და შენი წერილის იმ ადგილს მივუბრუნდეთ, სადაც ვაჟა-ფშაველას ლექსის ერთ სტრიქონს წაიშველიებ.

**სადაც არ გიხნავს, ძმობილო, იქ მკა, ეგ სადაურია...**

კარგად დაჰკვირვებიხარ, რომ ეგ სტრიქონი სწორედ შენზეა გამოჭრილი, და არა მაყვალა გონაშვილზე? — რაში სჭირდება მწერალთა კავშირს სწრაფვა ჰეგემონობისთვის, როდესაც თავისთავად ჰეგემონია?! — ეს შენ ეპოტინები ლიტფონდის ჰეგემონობას, რათა თავად მწერალთა კავშირი დაუქვემდებარო ლიტფონდს!.. მაგრამ რომ არც ერთი გეკუთვნის შენ და არც მეორე, ეს თუ კარგადა გაქვს შეცნობილი?... რადგან ლიტფონდი შენი არ არის და, აქედან გამომდინარე, ვერც მისი დამფუძნებელი იქნები, რადგანაც შენ შიგ არავითარი წილი არ ჩაგიდვია!.. ან იმ კომკავშირის ცეკასეულ შენობას, ახლა უკვე მწერალთა კავშირის კუთვნილს, ასე ხელგაშლით რომ იძლევი: **მე, პირადად, აღარცა მაქვს პრეტენზიები იმ შენობაზე, წაილონო** და ან იმ ქვიშხეთის დასასვენებელ სახლში ვის ეპატიჟები: ან წაიღეთ, ან დაგვიტოვეთო? ეგ რა, — ბაბუაშენის აშენებულ-ნაანდერძევია, ასე რომ გულუხვობ? — შეეშვი ასეთ მოუთოკავ ამბიციებს, ჩემო რეზო... ახლა საანგლოდ მინდა ერთი რამ გკითხო: იმ „არარიგიან," ე.ი. „ურიგო" „რიგგარეშე" ყრილობას რომ გასწყრომოდა ღმერთი და შენ აერჩიე თავმჯდომარედ, — ე.ი. მაყვალა გონაშვილისთვის კი არა, — შენთვის რომ მოეცათ ხმა, — ვაჟკაცურად მითხარი: როგორ შეაფასებდი იმ ყრილობას? — იქნებოდა თუ არა რიგიანი?!.

ახლა უნდა კვლავ იმ „140 ადამიანს", ქალს, კაცს და ბაღანას მივუბრუნდე, რომელიც ერთბაშად გააწევრიანეს. მე ზოგიერთმა „ბაღანამ" მაჩუქა თავისი წიგნი. ამათგან — გოჩა ხარანაული, ნანა ცინცაძე და შოთა ტოგონიძე ზოგიერთ რუსთაველის პრემიამინიჭებულთ სჯობიან, ხოლო სხვებზე, — მინდა ერთი ასეთი რამ გკითხო: ეკლესიაში თუ შესულხარ როდისმე?.. თუ შესულხარ, უთუოდ შეამჩნევდი: საშუალო ზომის სანთლებს გარდა რამდენიმე კელაპტარიც ანთია და დანარჩენი სხვა უამრავი წვრილ-წვრილი სანთელი, რომელთა სინათლეც იმ წმინდა ტაძრის ერთნაირ სურნელსა და შუქის გამას ქმნის!.. შენ ნაპარლამენტარი კაცი ხარ და ალბათ შეიცნობდი: იქ, გარდა გონიერი ხალხისა, როგორებიც არიან: გურამ შარაძე, დავით გამყრელიძე, ფიქრია ჩიხრაძე, კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური, ლევან ბერძენიშვილი, ხომ არიან სხვა უამრავი სულგაყიდულნი და უგუნურნი, რომელნიც ავსებენ დარბაზს! მაშასადამე — ფონი აუცილებელია, თორემ უგუნურნი რომ არ გაეჩინა გამჩენს, — გონიერნი შეუმჩნეველნი დარჩებოდნენ!..

რაც შეეხება ახლანდელ მწერალთა კავშირს, როგორც არ უნდა გძულდეს იგი, შენ თავადაც იქ გაიზარდე და გაზრდილისაგან გამზრდელს არავითარ შემთხვევაში არ ეგების ლაფის სროლა! — ეს თავად შენთვისვეა სააუგო, თორემ, ძველ ინდოელთ აქვთ ბრწყინვალე ნათქვამი თავიანთ დედა-მდინარეზე: ნასროლი ტალახით განგის სიწმინდე არ შეილახებაო.

ახლა კი, სანამ დაგემშვიდობები, უნდა ერთი რამ გირჩიო: შენ შეიძლება დღევანდელ მწერალთა კავშირში ზოგიერთი ვინმე თვალში არ გეჯდეს, მაგრამ ჩემგან ერთი დაიხსომე: ნაფოტისთვის მთელ ხეს არც ერთი გონიერი კაცი არა სჭრის!..

**ლადო მრელაშვილი**

28. 03. 2006.

ინფორმაცია

## ფრინველის გრიპის შემთხვევება იკლო

ფრინველის ვირუსით ადამიანთა დასნებოვნების შემთხვევები თანდათან კლებულობს — ამის შესახებ გაეროს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ახალი მოხსენების ავტორები იტყობინებიან.

გაეროს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მთავარი ვეტერინარის თქმით, ზემოხსენებული დადებითი შედეგი ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლის მკაცრმა ზომებმა განაპირობა. მათ შორის ვიეტნამში, ჩინეთსა და ტაილანდში ჩატარებულმა მასობრივმა ვაქცინაციამ.

მოხსენების ავტორები ხაზგასმულად აღნიშნავენ განადგურებული შინაური ფრინველის საფასურად ფულადი კომპენსაციების გაცემის ეფექტურობასაც, რადგან ამ აქციის წყალობით ფერმერები დაინტერესებულნი არიან ვირუსის ახალი შემთხვევების ხმამაღლა განცხადებით.

გაეროს სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია სახელმწიფოებს მოუწოდებს, მკაცრად გააკონტროლონ ფრინველის ხორცით ვაჭრობის პროცესი და კვლავ მაქსიმალურად აირიდონ თავიდან გარეულ ფრინველებთან კონტაქტი.

ჯი-ეიჩ-ენი

## გაცემული პასპორტების რაოდენობა გაიზარდა

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულმა სამსახურებმა 2006 წლის 3 თვეში საქართველოს მოქალაქის 221 669 პირადობის მოწმობა და მოქალაქის 53 550 პასპორტი გასცეს. მათ შორის, მარტის თვეში — 101 083 პირადობის მოწმობა და 24 984 პასპორტი.

ბოლო წლების ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, გაცემული პირადობის მოწმობისა და პასპორტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც ხელი შეუწყო სამოქალაქო რეესტრის სისტემაში განხორციელებულმა, მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესებაზე ორიენტირებულმა რეფორმამ.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემებით, 2004 წლის პირველ კვარტალში გაცემულია 74 241 პირადობის მოწმობა და 19 258 პასპორტი, ხოლო 2005 წლის პირველ კვარტალში — 150 335 პირადობის მოწმობა და 43 662 პასპორტი.

## უსახური ფარდულები აიღეს

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური ცენტრალური ქუჩების უსახური ფარდულებისგან გაწმენდას განაგრძობს.

გუშინ ფარდულები ვაჟა-ფშაველას გამზირიდან აიღეს. ძველ ფარდულებს, სავარაუდოდ, „კოკა-კოლას" ახალი საფირმო ჯიხურები შეცვლის. ამ საკითხთან დაკავშირებით ქალაქის მერია კომპანია „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასთან" მოლაპარაკებებს მართავს.

ზედამხედველობის სამსახურის ინფორმაციით, მოვაჭრეებს პრობლემები არ შეექმნებათ და ყოველთვიური გადასახადის გადახდის შემთხვევაში ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ მუშაობას.

## ბათუმში თურქული ხომალდი შემოვიდა

გუშინ ბათუმის პორტში მეგობრული ვიზიტით თურქული ხომალდი „თურგო კრეისი" შემოვიდა. მეზობელი ქვეყნის გემი საქართველოში 9 აპრილამდე დარჩება.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოსა და თურქეთის საზღვაო ძალების მეთაურები რამდენიმე ღონისძიების ჩატარებას აპირებენ. თურქული ეკიპაჟი და საქართველოს საზღვაო ძალები ერთობლივ წვრთნებს გაივლიან, რის შემდეგაც სამხედროები ერთობლივ საკოორდინაციო თათბირს გამართავენ. თურქი სამხედროების ვიზიტის ფარგლებში საზღვაო ძალებს სპეციალური საზღვაო და სახმელეთო წვრთნები ჩაუტარდებათ. გაიმართება აგრეთვე საავიაციო, საზღვაო და საარტილერიო სწავლებებიც.

მედიანიუსი

დავფიქრდეთ!

# მასპინძლის ჭიცლაყი

**მთა და ბარი ჯერ არ გასწორებულა, არც მდიდარი და ღარიბი გათანაბრებულა. არადა, არსებობა, ცხოვრება ყველას უნდა. ამიტომ გაჭირვებულმა ადამიანებმა გუდანაბადი აიკრეს და ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებს მიაშურეს. სადღეისოდ დაახლებით 1,5 მილიონი კაცი საქართველოდანაც არის გადახვეწილი უცხოეთში, ძირითადად, ლუკმა-პურის საშოვნელად, ოჯახის სარჩენად.**

ის ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები აქამდე, ასე თუ ისე, კარს უღებდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს, ხელს უმართავდნენ, სამუშაოს აძლევდნენ... მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, ზღვარი ყველაფერსა აქვს. გაიტენა მასპინძელი სახელმწიფოები, ველარ აკონტროლებენ ჩასულებს, ველარ ათვინიერებენ სხვა რჯულის, სხვა კულტურის, სხვა ტრადიციების ადამიანებს. აირია მონასტერი, ერთმანეთს წაეკიდა ერი და ბერი.

გახსოვთ, რა მოჰყვა საფრანგეთში ორი შავკანიანის ცემას, ან დანიაში რელიგიური კარიკატურების გამოქვეყნებას? თუმცა, რას ჰქვია გახსოვთ, — ეს აჟიოტაჟი ჯერაც არ ჩამცხრალა. პარიზშიც და კოპენჰაგენშიც სპეციალური მუსულმანური კვარტლებია სკოლებით, მეჩეთებით, რაც მთავარია, ცხოვრების გამორჩეული პრინციპებით. ჩამოსულები არ ითქვიფებიან აბორიგენ მოსახლეობაში, არ დადიან ქრისტიან ექიმებთან, ავტომანქანის შემკეთებლებთან. თანაც, იმატებენ და იმატებენ თავისიანებს. დანიაში, მაგალითად, ყოველ ოფიციალურად ჩასულ, უკვე ინტეგრირებულ უცხოელზე მოდის 100 ფარული იმიგრანტი. რომელი საზოგადოება გაუძლებს ამას!



წადით, წადით!

აშშ-ში უკვე 11 მილიონი არალეგალი იმიგრანტია, რუსეთში — 15 მილიონი. კი, ამ ქვეყნებს მუშახელი სჭირდება (თანაც იაფიძ, მაგრამ ძნელდება ჩამოსულთა „შეწოვა", ადგილობრივ ყაიდაზე მოქცევა, კანონებში ჩაჯდომა. ახლა მეორე ფაქტორი ნახეთ: ბოლო 15 წლის მანძილზე მოსკოვში რუსების რაოდენობა შემცირდა 5 პროცენტით, ამავე პერიოდში იქ სომეხთა რაოდენობა გაიზარდა 2,4-ჯერ, ქართველებისა — 2,7-ჯერ, აზერბაიჯანელებისა — 4,6-ჯერ, კორეელებისა — 15-ჯერ, ჩინელებისა — 35-ჯერ! სად წავა ეგრე? მოსკოველთა 60 პროცენტი თვლის, რომ მალე ისინი დედაქალაქის სტუმრებად იქცევიან, მასპინძლებად კი იმიგრანტები დასხდებიან...

ასეთი პროგნოზი აშინებს არა მარტო რუსეთს. ამიტომაც ტეხენ განგაშს ამერიკაშიც და ევროპაშიც. აშშ-ში ახლა მწვავე დებატებია იმიგრანტთათვის იქაური მოქალაქეობის მიღების, მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის და სხვა საკითხებზე. ხელისუფლება თითქოს პრობლემას აიოლებს, მაგრამ მოსახლეობა მას მხარს არ უჭერს. იმართება არნახული აქციები, სადაც აპროტესტებენ უცხოელთა ასეთ შემოსევას, საკუთარი სამუშაო ადგილების მიტაცებას.

იტალიაში თვით ქვეყნის პრემიერი სილვიო ბერლუსკონი წავიდა უცხოელთათვის კარის თავისუფლად გაღების წინააღმდეგ. აქეთ მოდის ყველა, ვისაც დევნიან, შემოაღწიეს კრიმინალებმა, ტერორისტებმა. ასეთი ჯურის ხალხის ფარულად შემოყვანა მაფიოზურ ბიზნესადაც კი იქცა. არ მსურს ასეთი მრავალეროვნულობა, — დასძენს ბერლუსკონი.

იაპონიამ უკვე მიიღო ახალი კანონი იმიგრანტთა შესახებ. ამიერიდან იქ ჩასულ უცხოელებს აუღებენ თითის ანაბეჭდებს, გააკონტროლებენ მათი მოძრაობის მარშრუტებს. იქ წინასწარ გულდასმით შეამოწმებენ თვითმფრინავებისა და გემების მგზავრთა ბიოგრაფიულ მონაცემებს და სხვა ცხოვრებისეულ ეპიზოდებს. სხვათა შორის, თითის ანაბეჭდების აღებასთან დაკავშირებით იაპონიას გამოეხმაურა ინგლისიც და უკრაინაც.

როგორც უკვე ვიცით, ცუდი დღე ადგათ უცხოეთში გადახვეწილ ქართველებსაც. ბევრი მათგანი დააპატიმრეს ესპანეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში... ქართველებს ფულს აძლევენ (3-3 ათას გირვანქა სტერლინგსძ, ოღონდაც წამოვიდნენ დიდი ბრიტანეთიდან, ასევე შვეიცარიიდან, ჩეხეთიდან... ძმურად გვეუბნებიან, მოკრძალებულად, — წადით, თავი დაგვანებეთო, გუგულივით კვერცხს სხვის ბუდეში ნუ დებთო...

რა ვუთხრათ, არა, თქვენთან გვინდა ცხოვრებაო? იმათ არ უნდათ და... ძალით ვეჭრებით შინ? არადა, რა წყალში გადავვარდეთ? საქართველოს მოსახლეობის 60-65 პროცენტი უმუშევარია. 1 ივლისიდან ის 20-ლარიანი დახმარებაც მოისპობა. ამოქმედდება სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩენილთა სპეციალური პროგრამა, მაგრამ 330 ათასი ოჯახიდან ჯერჯერობით შეეხება მხოლოდ 40 ათასს. დანარჩენმა ქვა კვნიტოს?

უფასო სასადილოები კი არა, ქარხნები გვინდა, ფაბრიკები, მსხვილი კომპანიები, ჰოლდინგები, ფირმები, სადაც დასაქმდება მამულის მოყვარე ახალგაზრდობა და არა უცხოეთის მოტრფიალე გოგო-ბიჭობა. სხვაგვარად, არც გადაშენება აგვცდება და არც გადაგვარება!

**ბონდო გულიაშვილი**

ქალის ტვირთი





დრომ მოიტანა?

# სისასტიკე სისხლში გვიჯდება

**ეს ამბავი მარტვილის რაიონში მოხდა. ძველმა მეგობრებმა — ხვიჩა დგებუაძემ, გია ფაცაციამ და გურგენ ჯანაშიამ პირუტყვის დაკარგვის შემდეგ ეჭვი ნერონ კირთავაზე მიიტანეს, შინ მიუხტნენ და სასტიკად სცემეს. მერე ფაცაციას ბაბუასთან წავიდნენ და მთელი ღამე ქეიფში გაატარეს. მეორე დღეს ნერონ კირთავას ისევ შეუარეს და ისევ სასტიკად სცემეს. ორიოდე საათში კირთავა გარდაიცვალა. ახლახან საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თითოეულ მათგანს 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა ამით კირთავას არაფერი ეშველა.**

წინა კვირას კასპის რაიონში მოზარდმა თანაკლასელი დანით აჩეხა; ჩოხატაურის რაიონში ქმარმა ცოლი წალდით აკუწა; საჩხერის რაიონში კი მოგვარემ მეზობელი დედა-შვილი ცულით დაანაწევრა და სხეულის ნაწილები ტყეში ცალ-ცალკე ჩამარხა... მსგავსი ფაქტები ისე მოგვიმრავლდა, რომ განგაშის ზარია შემოსაკვრელი. თუმცა ისე ვიქცევით, თითქოს ჩვენს ირგვლივ არაფერი ხდებოდეს, ადამიანი მხეცს არ ემსგავსებოდეს, სისასტიკე ძვალსა და რბილში არ გვიჯდებოდეს...

დიახ, სისასტიკე!

შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში რომის პაპმა გრიგორი პირველმა შეადგინა. მაშინ რიგითობა ასე გამოიყურებოდა: ვნება, რისხვა, შურიანობა, გემოთმოყვარეობა, სასოწარკვეთა, ამპარტავნობა და სიხარბე. დრო გავიდა და ბრიტანელ სოციოლოგთა აზრით, რომლებიც კვლევებს ეყრდნობიან, ბევრი რამ შეიცვალა. ახლა პირველ ადგილზეა სისასტიკე. ამას ასახელებს გამოკითხულთა 40 პროცენტი. მერე მოდის ავხორცობა, ფანატიკოსობა, უსამართლობა, პირფერობა, სიხარბე და ბოლოს, პატივმოყვარეობა. კომპეტენტურ მეცნიერთა დასკვნით, ეს ყოველივე ძალზე შემაშფოთებელია მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი — ქრისტიანული სამყაროსთვის.

რა ვიცი, — აღარც ღვთის მოშიშობა, აღარც მოყვასის პატივისცემა... ნუთუ ისე უნდა შეიცვალოს დრო, რომ ადამიანმა საკუთარი სახე დაკარგოს?

**ბადრი ღვინიაშვილი**

ვითარება

# სიკვდილი გვეპარება

**ყოველწლიურად ტუბერკულოზით 3 მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება, მათ შორის, — 100 ათასზე მეტი ბავშვი. მოსახლეობის ერთი მესამედი ინფიცირებულია ამ მავნე სენით. ეს საგანგაშო ციფრია.**

1993 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმოძ გამოაცხადა ტუბერკულოზის გლობალური საფრთხე, რაც დღემდე გრძელდება. ჯანმო-სა და ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა საერთაშორისო კავშირის რეკომენდაციებით შექმნილია ტუბერკულოზთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მიმართულია მისი გავრცელების შემცირებისა და აღკვეთის, როგორც სოციალური პრობლემის გადაწყვეტისკენ.

საქართველოშიც, სადაც ცუდი სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაა, ტუბერკულოზის შემთხვევებმა მკვეთრად მოიმატა. ჩვენთან ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმით დაავადებულთა რიცხვი წელიწადში 6000-მდე აღწევს, აქედან 500-ზე მეტი ბავშვია. დაავადებულთა 80 პროცენტს ფილტვის ტუბერკულოზი აღენიშნება, დანარჩენი 20 პროცენტი ძვალსახსრების, თირკმელებისა და ტუბერკულოზის სხვა ფორმით დაავადებულებზე მოდის.

ჯანმო-ს რეკომენდაციით ტუბერკულოზის დაავადების, სიკვდილიანობის, საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირებისა და მისი საწინააღმდეგო პრეპარატებისადმი გამძლე ფორმების (რეზისტენტობის) შემცირების მიზნით საქართველოშიც დაინერგა DOTS სტრატეგია, ამ პროგრამით პაციენტებს გარკვეული სქემით




უფასოდ ეძლევათ პირველი რიგის ანტიტუბერკულოზური პრეპარატები, რომლებსაც ისინი ექიმის, მღვდლის, ან სოციალური მუშაკის მეთვალყურეობით იღებენ მკურნალობის ვადის დამთავრებამდე, რის შემდეგაც პაციენტი 8-9 თვეში იკურნება. ტუბერკულოზის, როგორც დიაგნოსტიკა, ისე მკურნალობა, ჩვენს ქვეყანაში უფასოა.

მიხედეთ საკუთარ ჯანმრთელობას, თორემ სიკვდილი კარს მოგვადგომია. ისედაც განადგურებულ ქვეყანას კიდევ ავი სენის ეპიდემია გვინდა?

**ანა ლომთაძე**

ქრუანტელი

### შვიდგზის სამუდამო პატიმრობა?

**ამერიკაში გაასამართლეს ექიმი ჩარლზ კულენი, რომელმაც 16 წლის მანძილზე 40 ადამიანი მოკლა. დასტაქრის განცხადებით, იგი მძიმე ავადმყოფებს ყოფას უმსუბუქებდა და გულის არითმიის სამკურნალო პრეპარატის უზარმაზარ დოზას უკეთებდა. უნებლიე მიქელ-გაბრიელს შვიდგზის უვადო პატიმრობა მიუსაჯეს. არ მოეწონა, აყვირდა. მას პირი „სკოტჩით" აუკრეს და სასამართლო დარბაზიდან ისე გაიყვანეს.**

### ლაყუჩები გავიკეთოთ?

**გრენლანდიისა და არქტიკის ყინულების თანდათანობითი დნობის გამო ზღვებსა და ოკეანეებში წყლის დონე კატასტროფულად მატულობს. მეცნიერთა განცხადებით, 2100 წლისთვის შეიძლება წყლის ქვეშ მოექცნენ ნიუ-იორკი, ლონდონი, ტოკიო, ბომბეი... საფრთხე ელის ნიდერლანდების და ბანგლადეშის უდიდეს ნაწილსაც. თუ ქათმის გრიპის ჟამს როგორმე რესპირატორებმა გვიხსნეს, მერე, ეტყობა, ლაყუჩების გაკეთება მოგვიწევს.**

### მართლაც მონა-პოვარი

**ინდოეთში გაანთავისუფლეს ერთი ქალბატონი, რომელიც ქმარს ოთახში გამოკეტილი ჰყავდა მთელი 16 წლის მანძილზე. ყოფილი ტყე 30 წლისაა. იგი 14 წლის გათხოვდა და მას შემდეგ უშუქო და უჰაერო სადგომში ცხოვრების საუკეთესო ხანა გაატარა. მასთან შედიოდნენ მხოლოდ დედა და შემდგომში შეძენილი ვაჟი. ალბათ, ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, — ბნელაო!**

### ფული არ გაიმეტეს

**თითქოს მთელი მსოფლიო ებრძვის ადამიანებით ვაჭრობას. ამავე დროს ყველას თვალწინ ურცხვად მიმდინარეობს ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვა. გინდა ტრეფიკინგი უწოდე, გინდა ტრანსფერი, — ადამიანებით ვაჭრობაა, აბა, სხვა რაა! თანაც ზოგჯერ გამაოგნებელი. ახლახან რუმინეთში მეორე დივიზიონის გუნდმა „არადმა" კლუბ „რეგალ ხორიას" დამცველი მარიუშ ჩიონარუ მიჰყიდა... 15 კილოგრამ ღორის ძეხვად. და ამისთანა ღორობაზე ჯერ ფიფას კრინტიც არ დაუძრავს.**

### რა დააშავეს ასეთი...

**ბოლო 10 წლის განმავლობაში უცხოეთში მოკლეს რუსეთში ნაშვილები 15 ბავშვი. შარშან მაისში, აშშ-ში 12 წლით თავისუფლება აღუკვეთეს ირმა პავლისს, რომელმაც იმსხვერპლა კრასნოდარელი ალიოშა გეიკო. ახლა ასამართლებენ პეგი ჰილტს. ამ ქალბატონმა პირდაპირ წიხლებით გასრისა ირკუტსკელი ვიკა ბაჟანოვა. ამჯერად მკვლელს, მონანიების გამო, ელის პატიმრობა მხოლოდ 4 წლით. სხვათა შორის, თვით რუსეთში ყოველწლიურად იღუპება დაახლოებით 2 ათასი ბავშვი.**

### იარა ქალის მკერდზე

**ოკეანიის კუნძულებზე სექსუალურად მომწიფებულ ქალებს, ტემპერამენტისდა მიხედვით, ცივი იარაღით ნაჭდევებს უკეთებენ მკერდზე, კისერზე, მუცელზე, თეძოებზე და დუნდულებზე. როგორც ამტკიცებენ, შხოროგრაული ნაჭდევი ძალზე მიმზიდველია და პირდაპირ „ცეცხლს უკიდებს" ვნებაში ჩაძირულ პარტნიორებს. ბევრ ქალს ნაჭდევების ნაცვლად უკეთებენ სპირალებს.**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №51

# დროის ჩანაწერები...



**ისტორია თავისი გზით მიდის და განსხვავებით ევროპელი სწავლულებისგან, რომლებიც ისეთ აკადემიურ გამოცემაშიც კი, როგორიც ვთქვათ, „ენციკლოპედია ბრიტანიკაა", გამოტოვებულ პერსონალიებს ეძებენ, ჩვენს ქვეყანაში გასაოცარი სისწრაფით ივიწყებენ ადამიანებს, რომლებიც ოდესღაც ტონის მიმცემებად ითვლებოდნენ... რომელთაც საკუთარი ნიჭიერებით და პასუხისმგებლობის გრძნობით გაარღვიეს საბჭოთა ოფიციოზის დახშული სივრცე, რათა ეროვნული საგანძური არ ჩაკარგულიყო ყოვლისმომცველი ინტერნაციონალიზმის განურჩევლობის ზღვაში.**

**იყო დრო, როცა ტელევიზიის ეკრანიდან აიკრძალა ისეთი სიტყვების ხმარება, როგორიც: „ერი", „სამშობლო", „სანთელი", „ეკლესია" და ა. შ. ქვეტექსტებზე ორიენტირებული ნამდვილი ქართული მწერლობა და ჟურნალისტიკა ძალიან რთული გზებით აღწევდა მკითხველამდე.**

* * *

ბატონ სოლომონ ლაფაურს მისივე სურვილის გათვალისწინებით, რეგალიების გარეშე მოვიხსენიებთ. — პიროვნება, რომელიც მთელი ცხოვრება ემსახურებოდა ქართულ კულტურას და რაც არ უნდა ბანალურად ჟღერდეს სიტყვები, მთავარია, რომ ოდნავაც არ გახლავთ აღმატებული.

*— ჩემი ცხოვრების გზაზე მხვდებოდნენ ადამიანები, რომლებიც უანგაროდ მიწვდიდნენ დახმარების ხელს, ადამიანები, რომლებიც ყველაზე კრიტიკულ პერიოდებში მხარში ამომიდგნენ...*

*ჩემს გარშემო იყვნენ პიროვნებები, რომლებიც თავიანთი ხიბლით, მოქალაქეობრიობით, ღვაწლით სხვებსაც შთააგონებდნენ. დიდი იყო მათი მაგალითის ძალა.*

*არ მინდა ისე წავიდე ამქვეყნიდან, მათდამი მადლიერება რომ არ გამოვხატო...*

*კონსერვატორიის სტუდენტი გახლდით... მამა ქერჩთან ბრძოლაში დამეღუპა, ობლად ვიზრდებოდი. მოულოდნელად ყოველთვიურად 100 მანეთი დამინიშნეს ეს სტიპენდია დირექტორის ფონდიდანააო, — მითხრეს.*

*მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გავიგე სინამდვილეში: ამ თანხას კონსერვატორიის მაშინდელი რექტორი, კომპოზიტორი იონა ტუსკია თურმე თავისი ჯიბიდან იხდიდა. უთქვამს: არ გამამხილოთ, თავმოყვარე ყმაწვილია და არ იუაროსო"... მერეც რამდენი სიკეთე გამიკეთა ამ კაცმა...*

* * *

ბატონ სოლომონ ლაფაურის არქივშია მრავალი დასტამბული თუ დაუსტამბავი ნაშრომი: მონოგრაფიები, ნარკვევები, სტატიები მუსიკალურ კულტურაზე, მომღერლებზე, კომპოზიტორებზე... მის სახელთანაა დაკავშირებული ეთნოგრაფიული გუნდების შექმნა, ქართული ხალხური სიმღერების აღმოჩენა, გახმოვანება და პროპაგანდა...

***ბატონი სოლომონი ამბობს: „ღმერთმა ნუ ქნას და თუ დაგვენგრევა სვეტიცხოველი ან სხვა რომელიმე ღირებულებით ისტორიული ძეგლი, ეს ტრაგედია იქნება, მაგრამ ამით ერი არ დაიღუპება. შეეცდება რომ აღადგინოს... მაგრამ თუკი ჩვენი სულიდან ამოიძირკვა საუკუნეების სიღრმეებიდან წამოსული ხმები ჩვენი წინაპრებისა, თუ დაიკარგა მათი შექმნილი სიმღერა, რომელიც თავისი მნიშვნელობით ტოლფასია ტრიადისა „ენა, მამული, სარწმუნოება" და რომლის ჰანგებსა და ტექსტებშიც დღემდე უხოვარი დროის ჰარმონია ინახება, მას ვეღარაფერი აღადგენს. დღესაც მათ წიაღში არსებობს სიტყვები და კოდები რისი მნიშვნელობაც უკვე აღარ გვესმის. მათ მნიშვნელობას თანამედროვენი ჯერჯერობით, ვერ შიფრავენ და წარსულის მეხსიერებაშიც დაკარგულია..."***

* * *

დროს თავისი აუხსნელი ლოგიკა ახლავს და ზოგჯერ მოულოდნელობებს გვთავაზობს. ყველასთვის მოულოდნელი იყო, რომ იგი, ყოველდღიურ შრომაში ჩაფლული პიროვნება, მომავლის დიდ გეგმებზე ორიენტირებული მოღვაწე, არც ერთი წუთი რომ არ ჰქონდა თავისუფალი, ტოვებს სამსახურს — სახელმწიფო ტელევიზიას, ტოვებს საკუთარ მაგიდას — პარნასს... საერთოდ თბილისსაც ტოვებს და სამუდამოდ, მშობლიურ სოფელ კისისხევში გადადის საცხოვრებლად... უვლის ვენახს, მოჰყავს სიმინდი, რგავს, თესავს... უშუქოდ და უპატრონოდ დარჩენილი კახეთის სოფლების ერთი ჩვეულებრივი მკვიდრი ხდება...

მის ყოველდღიურობას აღარ ახლავს ტაში და ოვაციები, მადლობის წერილები, სატელეფონო ზარები, მუდმივი თათბირები, გადაღებები, დისკუსიები, ცხოვრების აჩქარებული ტემპი... მისმა საიუბილეო თარიღმაც სრულიად უხმაუროდ ჩაიარა... როცა ცარგვალზე მზე ჩასასვლელად გადაიხრება, ის სახლში ბრუნდება და უმეტესად სანთლის შუქზე მოგონებებს წერს, რომელთაც ყოველთვის არსებითი ანალიზები ახლავს.

გთავაზობთ ამონარიდებს საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიისა და რადიოკომიტეტის მუსიკალურ გადაცემათა ყოფილი მთავარი რედაქტორის სოლომონ ლაფაურის მემუარებიდან, როგორც დარგობრივი პატრიოტიზმის ნიმუშს, იმ სულისკვეთების გამოხატულებას, რაც სამწუხაროდ, ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის წარსულად იქცა...

* * *

*„აუცილებელია ითქვას პირველ ნაბიჯებზე, რომლებმაც საქართველოს ტელევიზია დაბადების დღიდანვე ერთბაშად საკავშირო ტელევიზიებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. მაშინ სულ რამდენიმე ადამიანი ვიყავით... ახლა, როდესაც პროგრამების მომზადებას ასეულობით ადამიანი ემსახურება, ზოგჯერ კურიოზებამდეც მიდიან. ახლადმოვლენილ თანამშრომელს მიაჩნიათ, რომ მხოლოდ მისით და მის მიერ მომზადებული გადაცემით იწყება ქართული ტელევიზიის ისტორია.*

*საქართველოს ტელევიზიამ პირველი გადაცემა 1956 წლის 30 დეკემბერს მოაწყო. მუსიკალურ ქუდად ჟღერდა **არჩილ კერესელიძის** სიმღერა „ყელსაბამო ლალიანო" კინოფილმიდან „ბედნიერი შეხვედრა". ტელევიზიის დაბადება ქვეყანას მიულოცეს აკადემიკოსმა **ვიქტორ კუპრაძემ**, პოეტმა **სოსო გრიშაშვილმა** და სხვებმა... ტელემაყურებელთა თანადგომა იმთავითვე თბილი და უშუალო იყო... საოცარი ენთუზიაზმი, ენერგია, კოლექტიური შრომა, რწმენა ედო საფუძვლად ჩვენს მუშაობას. იყო შემთხვევები, როცა რაღაც მიზეზის გამო დიდი დროით ჩერდებოდა ფუნიკულიორის პლატოზე ამავალი ტრამვაი. მაშინ ჯერ არ იყო საბაგირო გზა. ზამთრობით კი დიდთოვლობისა თუ გზის გაყინვის გამო ვერც სამანქანო გზით ვსარგებლობდით. თოვლში და წვიმაში შევუდგებოდით მთაწმინდის ვიწრო ბილიკებს, ზურგით აგვქონდა მთელი დღის პროგრამა, ფილმები თუ გადაცემები...*

*ფუნიკულიორი... ზედა პლატო.... მაშინ იქ იყო ერთადერთი ორმოციოდე კვ. მეტრი სტუდია და ტელეცენტრი. იქიდან ეწყობოდა ტელეგადაცემები. სულ მალე პირველი სატელევიზიო დადგმებიც დაიწყო. პირველი სატელევიზიო დადგმა „ბებრები" განახორციელა რეჟისორმა **მერაბ ჯალიაშვილმა.** მასვე ეკუთვნის პირველი სატელევიზიო ფილმი „დედის ხელი". ჩვენი წარმატებები განპირობებული იყო შემოქმედებითი და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მეგობრული თანადგომით. იქ ვერ მოისმენდით „ეს მე არ მეხება", „ჩემი საქმე არ არის". ყველა ეძებდა და აკეთებდა მაქსიმუმს... ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ მხატვრები **თ. სამსონაძე, ი. ხუროშვილი, ნ. ხინველი...** დღეს თუ ჭირს ერთი სასურველი დიქტორის პოვნა, მაშინდელმა დრომ ოთხი დიქტორი წარმოაჩინა, **ჯულიეტა ვაშაყმაძე, ჟანეტა არჩვაძე, ლაქსანდრა მაჭავარიანი... ლია მიქაძე...** 1959 წლის შემოდგომაზე, ცოცხალი შესრულებით მცირე შემადგენლობით ვოკალური ანსამბლის პირველი სატელევიზიო დათვალიერებაც ჩავატარეთ; წარმოიდგინეთ სტუდია, სადაც შესაძლებელი იყო ერთი ან ორი კაცის საუბარი, რომლის ერთადერთი შესასვლელი კარები ყრუდ იკეტებოდა, რათა გარეშე ხმა ეთერში არ გაპარულიყო, გავაღეთ კარები, დერეფანში ერთ რიგად დავაწყვეთ კოლექტივები და ერთმანეთის მიყოლებით, დიქტორის მიერ მორიგი ნომრის გამოცხადებამდე, სწრაფად, უხმაუროდ ვაწყობდით ანსამბლებს მიკროფონთან. ისე ჩავატარეთ კონცერტი, ერთი ზედმეტი ჩქამი არ გასულა ეთერში.*

*რვა ანსამბლის ცოცხლად გამოსვლა მიკროფონთან იყო ხალხმრავალი ქართული ხალხური სიმღერების კონცერტის პირველი გადაცემა. დამთავრების შემდეგ ერთმანეთს ვეხვეოდით, ვულოცავდით, ვზეიმობდით...*

*თანამშრომელთა თანადგომით თითქოს ყველაფერი ესწრებოდა: ფუნიკულიორზე გადაცემების ატანაც, კინოგაქირავების კანტორიდან ფილმების მოტანაც, კინო-გადაღებებიც...*

* * *

*ტელეეკრანზე, 1962 წელს, **დები იშხნელების** შესახებ მომზადებული კონცერტი-საუბარი გადავეცი, ზოგი ვიმე უარყოფითად შეხვდება ამ ფაქტს. „ვის რად უნდა ნაფტალინიდან ამოღებული იშხნელების ეკრანზე დაბრუნებაო". სამაგიეროდ ხალხი, მასა, ტელემაყურებელი გულმხურვალედ გამოგვეხმაურა. ვაი კრიტიკოსებს ავიწყდებოდათ, რომ ქართველ ხალხს წმინდა, კლასიკურად ჩამოყალიბებული ხალხური სიმღერების პარალელურად ჰქონდა სისხლ-ხორცში გამჯდარი სულიერი ყოფის მეორე განშტოება ქალაქური მელოსის სახით. ძალიან ხშირად თბილისში შექმნილი და ტრადიციულად ქცეული მელოდია მეზობელი ერების მუსიკოსებს მიჰქონდათ და თავიანთად ასაღებდნენ.*

*1964 წ. რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში მიმდინარეობდა ქართველ კომპოზიტორთა პლენუმის შესახებ სჯა-ბაასი. ერთადერთი ქართველი მუსიკისმცოდნე „პროფესორი" გამოვიდა და ეროვნული კილო-ჰარმონიის სიწმინდის დაცვის ეჭვში შესულმა ქართული ქალაქური სიმღერის კილოჰარმონია, მათ შორის მსოფლიოში პოპულარული „სულიკოც" უცხო სხეულად მიიჩნია. ლენინგრადელმა ცნობილმა მუსიკისმცოდნემ, პროფ. ხუბოვმა არ გაიზიარა ქართველი პროფესორის მოსაზრებანი და იქვე დასძინა: „თუ ქართველებს მსოფლიოში პოპულარული სიმღერა „სულიკო", რომლის მელოდია მეორე მსოფლიო ომში თავის ჰიმნად ჰქონდათ იუგოსლაველ პარტიზანებს, თავისთად არ მიაჩნიათ, დაე, იგი რუსული სიმღერა იყოსო"...*

*ემოციური მელოდიები, დუდუკის ტკბილხმოვანება, სიმღერები, ცეკვები, ლამაზი კადრები, მხატვრის მიერ იმ პატარა სტუდიაში შექმნილი ძველი თბილისის ქუჩა სახლ-აივნებით, საინტერესო შთაბეჭდილებას სტოვებდა.*



ანდრია ბალანჩივაძე, სოლომონ ლაფაური, გრიგოლ ჩხიკვაძე. 1986 წ.

*თვით მოსკოვშიც მოეწყო ქ-ნ თამარ იშხნელის მონაწილეობით „ქალაქური რომანსების საღამო. საქართველოს ტელევიზიის ამ ინიციატივის დავიწყება მომავალ მკვლევარს არ ეგების.*

* * *

*ს ა ქ ტ ე ლ ე მ ა უ წ ყ ე ბ ლ ო ბ ი ს დაფუძნების პირველ წლებში გადაცემები აღმოსავლეთ საქართველოს იქით არ ვრცელდებოდა. მთელი დასავლეთ საქართველო მოქცეული იყო მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის არეალში. საქართველოს სატელევიზიო გადაცემების სიმძლავრე სუსტი იყო. მცხეთისა და სხვა ტელეანძები მაშინ არც იყო და არც ჩქარობდნენ მისი მშენებლობის დაწყების დაფინანსებას. დასავლეთ საქართველო ისმენდა და უყურებდა მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის მხოლოდ რუსულ გადაცემებს. მათთვის მოკლებული იყო ქართული სიტყვა. აი, სწორედ მაშინ დაგვებადა აზრი რაღაც ღონით მიგვეწვდინა ხმა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის. ამის გაკეთება შეიძლებოდა მხოლოდ მოსკოვის ნებართვით: სოჭის ტელევიზიით კვირაში ორჯერ მაინც მოგვეწყო ქართული გადაცემები. გამზადდა დასაბუთებული წერილი ცენტრალური ტელერადიო კომიტეტის ხელმძღვანელთა სახელზე. მე შევთავაზე აფხაზეთის, კერძოდ სოხუმის მხატვრული კოლექტივებიდან შეგვერჩია და მათი ცოცხალი მივლინებით მოგვეწყო საცდელი კონცერტის გადაცემა...*

*ღირს ცალკე საუბარი „მზიური აფხაზეთის ხმების" შესახებ. ეს მოხდა 1967 წ. 3 მარტს იგი პირდაპირ ეთერში მიდიოდა 2 საათის განმავლობაში სოხუმის ჭანბას სახ. სახელმწიფო თეატრიდან: მისი სცენა და სცენის მიმდებარე „ჰოლი" გამოყენებული იყო როგორც ერთიანი სტუდია.*

*და, აი მოახლოვდა დრო საქართველოს ღია ეთერში პირდაპირი გასვლისთვის. დარჩა 10 წუთი. ჩატარებულია რამდენიმე რეპეტიცია. ამდენად, ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივის სრული მზადყოფნით ვუცდით იმ ათიოდე წუთის გასვლას. ყველანი თავთავიანთ ადგილებს იკავებენ. სცენაზე აფხაზეთის კაპელა მოვიხმე. ჯულიეტა ვაშაყმაძე ლოჟაშია და მისთვის ჩვეული ყურადღებიანობით „იზუთხავს" სცენარს.*

*ამ დროს სცენაზე შემოდის კაპელის ადმინისტრატორი ა. ჯოპუა და გვიცხადებს: „კაპელამ სცენა უნდა დატოვოსო". საქმის გარკვევის დრო აღარ იყო: განკარგულება გავეცი ერთ წუთში კაპელას და მის ხელმძღვანელს სასწრაფოდ დაეტოვებინათ თეატრი. მე მათ ვაიძულებდი სირბილით გასცლოდნენ იქაუროებას. ამასთან, „ყოველშემთხვევისთვის" თეატრის ერთ-ერთ ოთახში „გადამალული" სოხუმში მოღვაწე, მასწავლებლის სახლთან არსებული სვანური ანსამბლი გამოვიხმე, **ვალერიან ჯაჭვლიანის** ხელმძღვანელობით და განვალაგე კაპელის ნაცვლად. მათთვის წინასწარ ოთხი ნომერი მქონდა შერჩეული. რევაზ ლაღიძის „სიმღერა მეგობრობაზე", აფხაზური „ურმული", შ. მილორავას სიმღერა საქართველოზე და „ლილე". ჯ. ვაშაყმაძეს გადავეცი ანსამბლის პროგრამა.*

*სცენა კარგად მომზადებულ რეჟისორის ასისტენტებს გადავაბარე და ფრთხილად გავედი თეატრიდან. იქვე იდგა კაპელის ხელმძღვანელი, ქართველი ახალგაზრდა დირიჟორი **ვეზდენ ოჯუჯავა.** მისი თქმით: „კაპელის დირექტორმა არ ისურვა ჩემი, როგორც, ქართველის დირიჟორობით აფხაზეთის ახლად ფორმირებული კაპელის პირველი გამოსვლაო. ისინი ყოველ დღე ურეკავდნენ მოსკოვში დირიჟორ ვინმე ივანოვს რათა ჩამოესწრო ტელეგადაცემისათვის და მისი ხელმძღვანელობით გამოსულიყვნენ. მე მას ვანუგეშე, „არაუშავს, ნიჭიერი ახალგაზრდა ხარ, ჩვენ სხვა დროსაც შევხვდებით ერთმანეთს-მეთქი"... და აკი ერთი წლის შემდეგ, გალის ანსამბლის კონცერტის გადაცემისას მართლაც შევხვდით მაშინ მის მიმართ არ დავიშურე კეთილი სიტყვები...*

*სხვათა შორის ბევრი აფხაზიც გვერდში გვედგა, იცავდა წესრიგს, მშვიდად უცდიდა საკუთარი გამოსვლის რიგს...*

*სოხუმი ზღვის ნისლიან ბინდ-ბუნდში ჩაიძირა. ეს ურთულესი ტექნიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დატვირთული მრავალჟანროვანი გადაცემა პოეტების ლექსებით, ინტერვიუებით, სიმფონიური, კამერული, საგუნდო სიმღერებით დასრულდა. ეს საღამო ეკრანზე წავიდა უზუსტესი ქრონომეტრაჟით, მაღალმხატვრული ხმოვანებით, ტექნიკური სრულყოფით. შეკრებილნი ერთმანეთს ვულოცავდით შემოქმედებით და ტექნიკურ გამარჯვებას. სატელეფონო ზარით, საქტელერადიო კომიტეტის ხელმძღვანელობაც გვილოცავდა.*

*საქართველოს ცენტრალური ტელევიზიის ზრუნვის შედეგად სოხუმში აშენდა და დამონტაჟდა ადგილობრივი ტელემაუწყებლობა...*

***აფხაზეთში დატრიალებულ მოვლენებს მივუძღვენი გულისტკივილით აღსავსე „წერილი აფხაზ მეგობრებს" და გაზეთში გამოვაქვეყნე... სიყრმის მეგობრებს მივმართავდი სვეტლანა ქეცბას, რაჟდენ გუმბას... განვლილი ურთიერთპატივისცემის, შემოქმედებითი ურთიერთობის, იმ საუკეთესო დღეებს შევახსენებდი...***

(გაგრძელება იქნება)




# ლიტერატურული პარალელებით



*„სასამართლო დარბაზში ამერიგო ბონასერას ყელში რაღაც მტკივნეულად გაეჩხირა... გულის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ტუჩებთან მიიტანა... მთელი ის წლები, რაც აქამდე ამერიკაში გაატარა, კანონიერების და სამართლის არსებობის სჯეროდა... ამ წუთში კი კეფა ერთადერთი სურვილით ეწვოდა, გარეთ გავარდნილიყო, იარაღი ეყიდა და მის წინ მდგომი ორი ნაძირალისთვის დაეხალა...*

*მერე სცადა გაოგნებული ცოლისთვის რაღაც აეხსნა:*

*– ჩვენ აქ დაგვცინეს... სამართალის აღსრულებისთვის დონ კორლეონესთან უნდა წავიდეთ და მის წინაშე ქედი მოვიხაროთ“...*

*(მ. პიეზო, „ნათლიმამა“)*

*დონ კარლეონეს მაფიოზური სამართალი სახელმწიფო სტრუქტურების უსამართლობაზეა დაფუძნებული: „თქვენ ისმენთ სასამართლო გადაწყვეტილებას. ეს მოსამართლე კი ბევრად უფრო გამყიდველური ბუნებისაა, ვიდრე პანელზე გამოსული უკანასკნელი მეძავი“... და აქ მაფიოზური კლანის ძალადობა გამართლებულია, უფრო მეტიც, აუცილებლობაცაა მაშინ, როცა სამართალდამცველი ორგანოები სამართალდამრღვევებთან ერთად თანამშრომლობენ. ასეთია იმ საზოგადოების განწყობაც, სადაც ფარისევლური მორალია გაბატონებული.*

*მხატვრული ლიტერატურა მრავალი ათეული წელია დანაშაულებრივი სამყაროს თითქმის შეუვალი ლაბირინთების ახსნას და გარკვევას ცდილობს.*



ვიქტორ ჰიუგოს სერიოზულად საყვედურობდნენ დამნაშავეთა სამყაროსადმი თანაგრძნობას. მისი **ჟან ვალჟანი** დღემდე მოქმედი ცოცხალი პერსონაჟია, გაბედულად რომ უპირისპირდება ოფიციოზის ფალსიფიცირებულ სამართლიანობას.

**ფეოდორ დოსტოევსკი** დამნაშავეთა სამყაროს თითქმის ზუსტ კლასიფიკაციას გვთავაზობს: ბინის ქურდები, ჯიბის ქურდები, ხულიგნები, ყაჩაღები... მაგრამ ჰიუგოსგან განსხვავებით, თავის „მკვდარი სახლის ჩანაწერებში“ მათ ერთგვაროვან შეფასებას განერიდა და როგორც გენიალურ მწერალს უნდა გაეკეთებინა, დამოკიდებულება მეტაფორებში გადაიტანა. დოსტოევსკი ფაქტობრივად არ იცნობდა დამნაშავეთა სახეებს, მწერლურმა ალღომ კი საკითხის ღიად დატოვება უკარნახა.

მწერალი, მღვდლის შვილი, 30-იან წლებში რეპრესირებული **ვარლამ შალამოვი,** რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი ურალში, სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ერთად გაატარა, თვლიდა, რომ დოსტოევსკიმ სათანადოდ ვერ გაიგო, აქედან გამომდინარე ვერ ახსნა, ამ საშიში სამყაროს ნიუანსები. შალამოვმა „ქურდული რომანტიკა“ კატეგორიულად არ გაიზიარა, ვინაიდან საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი და კარგად უწყოდა მისი არსი.

„ქურდული თემის“ ინტერპრეტაციებს მან „მხატვრული ლიტერატურის უდიდესი შეცდომა“ უწოდა.

* * *

„ქურდული ფოლკლორის“ ტერმინოლოგიის დიდი ნაწილი რუსულენოვანია და ჩვენ ვერ შევძელით ზუსტი შესატყვისებით გვეთარგმნა. მაგალითად: „.блотарь“, „вербовка, „асмолей, „фраера, „черти, „по мокрому, „уркаган, „волжский грузчик, „жулническая кровь“, „наседка“... და ა. შ.

იმავე ფოლკლორში ისმის ქალთა განზოგადებული სახეებიც: „Зойки, „Манки, „Верки“, რომელიც ციხის ინტერიერში სხვაგვარი „ლირიკით“ იწერება.

ე.წ. „ბლატნოი“ ენა, რომელიც იმთავითვე რუსულ გარემოში, რუსეთის წიაღშია შექმნილი („.Отец Ростов“, „Мать Одесса...“) დროთა განმავლობაში იცვლება. ალბათ იმიტომ, რომ ამ დაშიფრულმა სიტყვებმა მასში ჩადებული კოდები და საიდუმლოებანი ადვილად არ გაამჟღავნონ. დანაშაულებრივმა სამყარომ იცის, რომ პოლიცია თუ პროკურატურა მათ ლექსიკონს ბეჯითად სწავლობს. იქნებ ამიტომაცაა სხვაობა 20-30-იანი წლებისა და თანამედროვე ქურდულ ჟარგონს შორის, რაც ამ თემაზე შექმნილი მრავალფეროვანი და მწერლური ოსტატობის თვალსაზრისით, სრულიად განსხვავებული დონის ლიტერატურაშიც გამოიხატა.

30-იანი წლების „შავი“ სამყაროს და საბჭოთა ხელისუფლების ფარული ალიანსი იმ ამნისტიებითაც გაირკვა, სტალინის მმართველობის პერიოდში არაერთხელ რომ გამოცხადდა: ამნისტია ქურდებისთვის და არასდროს, არასდროს პოლიტპატიმრებისთვის... პოლიტპატიმრებთან „ნასედკებად“ შეგზავნილი სისხლის სამართლის დამნაშავენი განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდნენ, არსებობდა სტალინის ე.წ. „კლიჩკაც“ – „Усатый“, ვის ღალატსაც ზონაში „ხალხის მტრებსაც“ არ პატიობდნენ... მაგრამ ფაქტია: „შავი სამყარო“ უკლებლივ ყველა წარმომადგენელი ხელისუფლებამ თავის სამსახურში ვერაფერით ჩააყენა. იყვნენ ე.წ. **„ავტორიტეტები“,** რომლებიც პოლიტიკას პრინციპულად გაემიჯნენ, მაგრამ მათი მომავალი ბედი და იმ დამნაშავეთა ბედიც, ვისი „ვერბოვკაც“ განხორციელდა, ერთი სცენარით განვითარდა. ავანტიურისტ პოლიტიკოსებს საკუთარი ქმედებათა მოწმენი არ უყვართ და მალე მათ ქურდულ სამყაროს ოფიციალური ბრძოლა გამოუცხადეს.

მთავრობის 1947 წლის ბრძანებულებით, კალიმის და ვორკუტის ბანაკები სისხლის სამართლის დამნაშავეებით აივსო. საშინელი ყინვები („Двенадцать месяцев зима, остальное лето...“), უმკაცრესი და უშეღავათო პირობები ქურდულ სამყაროს განადგურებას უქადდა. უმთავრესი, რაც ზუსტი გათვლებით, საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო, „ქურდული ორდენის“ გათიშვა და დაპირისპირება იყო (ბელადის ბიოგრაფია ცხადყოფს, რომ შესანიშნავად იცნობდა ამ სამყაროს და ეს მრავალთათვის ძნელად მისაწვდომი ცოდნა, მან პრაქტიკულად გამოიყენა).

მალე ერთმანეთს დაუპირისპირდა სამამულო ომიდან დაბრუნებული, ნაომარი ქურდების კლანი და ისინი, რომელთაც სახელმწიფო სამსახურში ყოფნა, თუნდაც ომი და ბრძოლა „სვაბოდაზე“, თავიანთი კანონების ხელყოფად მიაჩნდათ!

სტალინმა ბრძანებულების შინაარსი სახელმწიფოთუ პირადი ქონების ხელშეუხებლობის მოტივით გაამყარა და საზოგადოებაც გულწრფელად ამოუდგა მხარში...

დღეს ჩვენს რეალობაში კი უპრეცედენტო ფაქტი დადასტურდა: **ქართული საზოგადოება არა სამართალდამცველებს, არამედ სწორედ ე. წ. დამნაშავეთა სამყაროს თანაუგრძნობდა...**

* * *

**ჩვენი დროების ლიტერატურა და ხელოვნება ალბათ გვერდს ვერ აუვლის ერთ-ერთ უმძაფრეს, სულისშემძვრელ სცენას ორთაჭალის ციხესთან სიკვდილმისჯილებივით მისული თავზარდაცემული ადამიანები, როგორ გაჰყვირიან თავიანთი ახლობელი პატიმრების ნომრებს და გამოხმაურებას სთხოვენ:„18“, „22“, „191“, „113“...**

**(„სახელი და გვარი წამართვეს და ნომერი დამაკრეს, რომ თუ ვინიცობა ნომრით გამომიცნონ... – მახსენდება ერთი ქართველი ჯარისკაცის წერილი...)**

**– „17“, „ 210“, „80“, „161“ ... გამოვეხმაურეთ, ვინ გადარჩით ცოცხალი! – ხმის ჩახლეჩამდე ძახილი...**

**სასოწარკვეთა და საშინელების მოლოდინი ჯალათის სისხლიანი წალაკივით ჰკიდია ჰაერში...**

**ეს სცენა თავისი დრამატიზაციით ფილმ „მონანიების“ კადრებს მოგვაგონებს, როცა წყალში მოტივტივე, ხის მორებზე ამოკაწრულ ასოებზე ახლობლების სახელებსა და გვარებს კითხულობენ... მაგრამ აქ არსებითი განსხვავებაა: მორებზე წარწერილი გვარები საბჭოთა ხელისუფლებამ თუ ე.წ. „სამეულმა“ ფორმალურად მაინც გაასამართლა, – ბრალი წაუყენა და სასჯელიც ოფიციალურად გამოუცხადა.**

2006 წლის 27 მარტს ჩვენს ციხეში გამომწყვდეული პატიმრები, რომელთაგან ბევრი გასამართლებულიც კი არ იყო, ანუ შესაძლოა სრულიად უდანაშაულოც, გაუგონარი სისასტიკით სცემეს და ადგილზე დახვრიტეს. (ერთ-ერთს 7 ტყვია ჰქონდა დახლილი...)

**ეს დაიწყო „რეზბალნიცა-ში“, ციხის საავადმყოფოში და ალბათ სწორედ ეს გახლავთ „ადგილზე ლიკვიდაციის“ ჩვენი დროების ესოდენ „დემოკრატიული“ პრეცედენტი... ეს გახლავთ საქართველოს ევროპეიზაციაც და „ნატოში“ გაწევრიანების პერსპექტივაც.**

– „125“, „12“, „51“, „19“ – ამ ადამიანების ბედთან დაკავშირებულ „წულოვან ტოლერანტიზმის“ თემას ციხის ადმინისტრაცია მრავალსართულიანი გინებით ახმოვანებს...

და მაინც... მოთხოვნის თანახმად, ტყვიების ზუზუნშიც კი რატომ არ შეაგინეს“ რიგითმა პატიმრებმა ე.წ. ქურდებს?

აქ ორი „სამართალი“ უპირისპირდება ერთმანეთს: სახელმწიფოებრივი და ქურდული. ქურდული მენტალიტეტი პოლიტიკაში და ქურდული მენტალიტეტი ციხეში.

საკუთარი სახელმწიფოს სამართალის დემონსტრირება პატიმრებმა არაერთხელ ნახეს „სვაბოდაზე“.

ახლა ისინი ციხის „სამართალს“ ემორჩილებიან, ეს არის სრულიად სხვა, სპეციფიკური გარემო, თავისი დაწერილი და დაუწერელი კანონებით. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი კი დამნაშავეობასთან ბრძოლის ასეთ სკანდალურობამდე გაუმართლებელ ხერხებს მიმართავს...

* * *

„ქურდული ავტორიტისადმი“ თუ მაფიისადმი დაპირისპირებას თუნდაც ძალიან შუბლშეკრული, მაგრამ „უბიოგრაფიო“ ბიჭუნები ვერ შესძლებენ. მით უმეტეს, თუ დამნაშავეთა სამყარო სახელმწიფო პოლიტიკაშიცაა გარეული, მას მრავალი ფარული თანამგრძნობი ჰყავს... და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში.

ისტორიულად ცნობილია, როგორც ირჩევდნენ მაფიური კლანები პრეზიდენტებს თუ სახელმწიფო მოხელეებს, თვით პოლიციის შეფსაც კი...

ონორე დე ბალზაკის სიტყვების თანახმად, დიდი ძალაუფლება და დიდი ფული ყოველთვის დამნაშავეობასთანაა კავშირში. იქნებ იმითაც დავინტერესდეთ, როგორ ჩანან ციხის საკნის გისოსებიდან ყველაზე დიდი დამნაშავეები „სვაბოდაზე?“

ცნობილმა ამერიკელმა სოციოლოგმა დ. კრესილმა თავის წიგნს იქ ჩასულ ემიგრანტ მაფიოზებზე „ნაციის მოტაცება“ და განადგურება უწოდა.

საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს ემიგრანტ დამნაშავეთა ტალღა, მაგრამ არსებობენ მილიონობით უმუშევარი ადამიანები, მაწანწალა ბავშვები, მათხოვრები... არსებობენ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი სწავლულები და ინტელიგენცია, რომლებიც თავიანთ უკანასკნელ განძს – პირად ბიბლიოთეკებს მშრალ ხიდზე, თუ პირდაპირ შუა ქუჩაში ჰყიდიან...

რომელია მოზარდის მომავლის რეალური იდეალი: სწავლული თუ მოძალადე? მუდამ მოკინკლავე პოლიტიკოსი თუ გასაიდუმლოებული, ძლევამოსილი „ავტორიტეტი“?

* * *

**ორიოდე თვის წინათ გერმანიაში გახლდით, როცა საქსონიის ერთ-ერთ ციხეში „ღია კარის დღე“ გამოცხადდა.**

მსურველებმა დაათვალიერეს ციხისთვის მართლაც არაჩვეულებრივი პირობებით, სისუფთავით, კომპიუტერებით, ბიბლიოთეკით, სავარჯიშო დარბაზებით აღჭურვილი გარემო. გააცნეს მენიუ, რასაც თავად პატიმრები უკვეთავენ. მაგალითად, მუსულმანებისთვის არ ამზადებენ კერძს ღორის ხორციით, ვეგეტარიანელებსაც მათთვის განკუთვნილ საჭმელს სთავაზობენ...



ციხის მესვეურთა პოზიცია ერთმნიშვნელოვანია: იქ შესული ადამიანი, იქიდან უკეთესი უნდა გავიდეს...

ჩვენ შორს ვართ ევროპის, ამერიკის და ქართული ციხეების პარალელებისგან, მაგრამ ჩვენივე ისტორია ბევრ საგულისხმო ცნობას გვაწვდის: **საქართველოში, ჯერ კიდევ თამარის ეპოქაში, აკრძალული იყო არა მარტო სიკვდილით დასჯა, არამედ ადამიანის დამასახიჩრებელი და დამამცირებელი ქმედებანი, რაც ზუსტად გამოხატავს რენესანსული საქართველოს იურიდიულ შეგნებას..**

დრო იცვლება, ბატონებო, ჩვენშიც და სხვაგანაც...

ერთი საუკუნის წინათ განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე, ცნობილი იტალიელი მაფიოზები ვიტო ჯენოვეზე და ლაკი ლუჩანო უკანასკნელ ბრძოლებს თანმიმდევრობით აგებენ და ამის შემდეგ შავი სამყაროს კოლორიტული ფიგურა, ბოსი დონ კორლეონე იტყვის: **„ტყვიების და თავდასხმების დრო გავიდა. მოწინაალმდეგეებს გონებით უნდა დავუპირისპირდეთ...“**

საინტერესოა, იციან თუ არა ამ განაცხადის შესახებ XXI საუკუნის ქართველმა სამართალდამცველებმა, რომლებიც დღემდე დამნაშავეთა სამყაროს სასტიკი მეთოდებით მოქმედებენ?

**მომავალი გვიჩვენებს, თუ რით დასრულდება წარუმატებლად დაწყებული ბრძოლა ჩვენს ახლადჩამოყალიბებული სახელმწიფოს ხელმძღვანელთა და დამნაშავეთა სამყაროს შორის. ვის მხარეს დადგება საზოგადოება და მოიპოვებენ თუ არა ოფიციოზის სტრუქტურები უპირატესობის მორალურ უფლებას, განხორციელდება თუ არა კანონის უზენაესობა. ვფიქრობთ, „ადგილზე ლიკვიდაციით“ და მოლოდ შიშველი მოლოდინით: „კართაგენი უნდა დაინგრას“, თავად ეს სახელისუფლებო აპარატია დასანგრევად განწირული.**

**ნინო ხოფერია.**



# წითელი წიგნი

## ქრისტიანული წყაროები ხაზართა საკითხის შესახებ



**ხაკანი**▽ – ხაზართა მთავარი. ხაზარული სახელმწიფოს თავქალაქი ითილი იყო, ხოლო ხაკანის საზაფხულო სატახტო კასპიის ზღვაზედ მდებარეობდა, სემენდერი ერქვა. ფიქრობენ, რომ ბერძენ მისიონერთა დარბაზობა ხაზართა კარზედ პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგი იყო. ერთ-ერთი ხაზარი ხაკანი ჯერ კიდევ 740 წელს სთხოვდა ცარგრადს, ქრისტიანულ სარწმუნოებაში ჩახედული მისიონერი გამომიგზავნეთო. IX საუკუნეში საერთო საფრთხის წინაშე ბერძენ-ხაზართა კავშირის განმტკიცების აუცილებლობა გაჩნდა: იმ დროს რუსებმა უკვე თავიანთი ფარი აღმართეს ცარგრადის ბჭეზედ და ხაზართ ბრძოლით დაატოვებინეს კიევი. იყო კიდევ ერთი საფრთხე. ხაკანს, რომელიც იმჟამად მართავდა, ტახტის მემკვიდრე არა ჰყავდა. ერთხელაც ამ უშვილძირო ტახტოსანს ბერძენი ვაჭრები ეახლნენ, მან გული აჩვენა და ტაბლასთან მიიწვია ისინი. სუყველანი ტანმორჩილნი, შავნი და დაფანჩულნი იყვნენ, ის კი არა, ბალანი გულ-მკერდზედაც შუაზედ გაყოფილი ჰქონდათ. ტაბლასთან იმათ გვერდით მჯდომი ხაკანი ბუმბერაზი ჩანდა. ამინდი ირეოდა, და ფრინველნი სარკმელს აწყდებოდნენ, როგორც რომ ბუზნი სარკეს. მოგზაურთ გზა რომ გაუთავაზა და ძღვენიც უსაგზლა, ხაკანი ისევ იქ მიბრუნდა, სადაც ისადილეს, და თვალი შემთხვევით ტაბლაზედ დარჩენილ ნახორხალს ჰკიდა. ბერძენთა მსხვილ-მსხვილი ნახორხალი დევების ნამუსრევსა ჰგავდა, ხაკანის წვრილ-წვრილი ნახორხალი კი უფრო ბავშვის ნატაბლი იყო. ხაკანმა უმალ კარისკაცთ უხმო, რასაც ის უცხოტომელნი უბნობდნენ, ერთხელ კიდევ გამიმეორეთო, მაგრამ არცვის არა ახსოვდა რა. ბერძენთ უმეტესად კრინტი არ დაუძრავთო, ასეთი იყო საერთო აზრი. მაშინ ხაკანს კარის ამალიდან ერთი ებრაელი წარუდგა და ხელის აპყრობა, შეწევნა აღუთქვა.

– ვნახოთ, რას მოახერხებ, – უპასუხა ხაკანმა და ცოტა წმინდა მარილი ალოკა. ებრაელმა სასწრაფოდ მონა მოჰგვარა, რომელსაც მკლავის გაშიშვლება უბრძანა. მონის მკლავი ხაკანის მარჯვენის ზუსტი ასლი იყო.

– დაუტევე ეგ, – უთხრა ხაკანმა. – დაუტევე და საქმე განაგრძე. სწორ გზაზედ დგახარ.

ამის თქმა იყო, და მთელ ხაზარეთის სამეფოში შიკრიკ-იქვრივისნი აფრინეს, და სამ თვეში ებრაელმა ხაკანს ჭაბუკი ვინმე მოჰგვარა, რომლის ფეხისგულებიც სავსებით ისეთივე იყო, როგორიც ხაკანსა ჰქონდა. მერმე მოიძიეს ორი მუხლი, ერთი ყური და მხარბეჭი – ყველაფერი ხაკანისას ზუსტად ედრებოდა. ნელა-ნელაობაში ხაკანის კარზედ ბევრი ჭაბუკი მოგროვდა, იმათ შორის იყვნენ ჯარისკაცებიც, მონებიც და მაზმანებიც, ანუ ბალნის მსთველნი, ებრაელები, ბერძნები, ხაზარები, არაბები, რომელთაც უკეთუ თითოეულს სხეულის განსაზღვრულ ნაწილს ანდა ასოს აართმევდნენ, – ახალგაზრდა ხაკანის შედგენა შეეძლოთ, ეს ახალი ხაკანი კი როგორც წყლის ორი წვეთი, ისე დაემგვანებოდა იმას, ითილში მთავრად რომ იჯდა. არა ჰყოფნიდათ მხოლოდ თავი. ბევრს ეძებდნენ, მაგრამ ვერა პოულობდნენ. და ის დღეც დადგა, როცა ხაკანმა თავისთან იხმო ებრაელი და თავი მოსთხოვა, ან შენი, ან ხაკანისაო. ებრაელი სულაც არ შეშინებულა, და გაკვირვებულმა ხაკანმა, ვითომ რად არ შეშინდიო, ჰკითხა.

– ამის მიზეზი ის არის, – მიუგო ებრაელმა, – რომ მე ჯერ კიდევ შარშან შევშინდი და არა დღეს. თავიც შარშანვე მოვიძიე. უკვე რამდენიმე თვე აქ ვინახავ, შენს კარზედ, ოღონდ ჩვენება ვერ გამიბედავს.

ხაკანმა თავის ჩვენება უბრძანა, და ებრაელმაც ყმაწვილქალი მოჰგვარა. ის ნორჩი და ხატკეთილი ასული იყო, თავი კი იმდენად უგავდა ხაკანის თავს, რომ ანარეკლის მაგივრობას გასწევდა. უკეთუ ვინმე იმას სარკეში დაინახავდა, უთუოდ იფიქრებდა, რომ ხაკანს ხედავდა, ოღონდ უფრო ახალგაზრდას. მაშინ ხაკანმა, ვინც კი ჩემს კარზედ თავმოყრილია, ყოველნი მომგვარეთო, და ებრაელს იმათგან კიდევ ერთი ხაკანის შექმნა უბრძანა. სანამ ცოცხლად დარჩენილი ხეიბრები აქეთ-იქით მიღოღ-მოღოღავდნენ, რომელ ხეიბართა ასო-ნასხამნიც მეორე ხაკანის შესაქმნელად მოივარგეს, ებრაელმა ახალ არსებას შუბლზედ რაღაც სიტყვები მიაწერა, და ხაკანის ქვეშაგებლიდან დღემოუჭმელი მემკვიდრე წამოდგა. აწ მემკვიდრის გამოცდაღა იყო საჭირო, და ებრაელმა ხაკანის მიჯნურის, სეფექალ ატეჰის განსასვენებელს აწვია. მეორე დილის კისკასზედ სეფექალმა ნამდვილი ხაკანისთვის შემდეგი სიტყვების გადაცემა ბრძანა:

– წუხელ სარეცელი ვისთანაც გამაზიარებინე, შენგან განსხვავებით, წინადაცვეთილია. მაშასადამე, ან ის ხაკანი კი არა, სხვა ვინმეა, ანდა ხაკანი ებრაულ რჯულზედ მოიქცა, დაიცვითა და ვიღაც სხვა გახდა. მოკლედ გადაწყვიტე, რა მოხდა.

მაშინ ხაკანმა ებრაელს ჰკითხა, ეს განსხვავება რას უნდა ნიშნავდესო. მან მიუგო:

– არცრა განსხვავება აღარ იქნება, როგორც კი თავად დაიცვითები.

ხაკანმა არ იცოდა, რა უნდა გადაეწყვიტა, და კვლავ სეფექალ ატეჰს დაეკითხა რჩევა. ატეჰმა ხაკანი თავისი სრა-სასახლის სარდაფში ჩაიყვანა და ორეული აჩვენა, რომლისთვისაც ჯაჭვის ბორკილი დაედებინებინა და დილეგში ჩაგდება მიესაჯა, მაგრამ ორეულს ის ჯაჭვის ბორკილი გაეწყვიტა და წარმოუდგენელი ძალით ანჯღრევდა დილეგის ლანძვს. ერთ ღამეში ისე გადევკაცებულიყო, რომ რამდვილი, დაუცვეთელი ხაკანი იმასთან შედარებით პატარა ბავშვი ჩანდა.

– გინდა, გამოვუშვა? – დაეკითხა სეფექალი. ხაკანი იმზომ შეშინდა, რომ წინადაცვეთილი ხაკანის მოკვლა ბრძანა. სეფექალმა ატეჰმა შუბლში მიაფურთხა დევკაცს, და იგი ეგრევე მკვდარი დაეცა ძირს.

მაშინ ხაკანი გულით მიადგა ბერძენთ, ერთპირობით შეეკრა და იმათი სარწმუნოება თავისად გამოაცხადა.

# მილორად პავიჩი



**ალ-ბექრი სპანიარდი** (XI საუკუნე) – ხაზარული პოლემიკის▽ მთავარი არაბი ქრონისტი, რომლის ტექსტიც მხოლოდ ახლახან გამოქვეყნდა (Kunik and Rosen, 44), ის არაბულიდან თარგმნა Marquart-მა (Osteuropiische und ostasiatische Streifzige, Leipzig, 1903, 3-8). ალ-ბექრის ტექსტის გარდა ხაზარულ პოლემიკაზედ, ესე იგი ხაზართაგან სხვა სარწმუნოების აღსარებაზედ, შემორჩენილია კიდევ ორი ცნობა, თუმცაღა ორივე არასრულია, და ყოველთვის ნათლად არ ჩანს, ეხება თუ არა რომელიმე ხაზართა მიერ იუდაიზმის, ქრისტიანობის ანდა ისლამის აღიარებას. ერთი ეს ცნობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იშთაქხარის ტექსტს, რომელსაც ამჟამად სწორედ ის ნაწილი აკლია, ხაზარულ პოლემიკას რომ ეხება, მასუდი უფროსისეულია, თხზულება „ოქროს მდელოთა“ ავტორისეული, რომელსაც უცილოდ მიაჩნია, რომ ხაზართ▽ თავიანთ რჯულზედ უარი თქვეს ჰარუნ ალ-რაშიდის (786-809) მმართველობის ჟამს, ოდეს ხაზართა სახელმწიფოში თავი მოიყარა ბიზანტიიდან და ხალიფატიდან გამოდევნილმა უამრავმა ებრაელმა, რომელთაც გულგაშლილად შეხვედრიან. პოლემიკის მეორე ქრონისტი იყო იბნ ალ-ათირი, ოღონდ ამის მოწმობა დედნისეულად არ შემონახულა, ჩვენთვის ის დიმასკის გადმოცემით არის ცნობილი. ერთი სიტყვით, ყველაზედ უფრო საიმედო და ამომწურავი წყაროა ხაზარული პოლემიკის ქრონისტი ალ-ბექრი, რომელიც უეჭველყოფს, რომ ხაზართ 731 წლის უკან და ხალიფებთან ომების შემდგომ არაბთაგან მშვიდობასთან ერთად ისლამიც მიიღეს. მართლაც, არაბი ქრონისტები იბნ რუსტე და იბნ ფადლანი ხაზართა სამეფოში ისლამის აღმსარებელ მრავალ პირს ახსენებენ. ისინი ლაპარაკობენ აგრეთვე „ორმაგ საბრძანისზედ“, რაც, ალბათ, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ განსაზღვრულ დროს ისლამს ხაზართა სახელმწიფოში ისეთივე უფლებები ჰქონდა, როგორიც რომელიღაც სხვა სარწმუნოებას, – კერძოდ, ხაკანს, შეეძლო მუჰამადის რჯულის აღიარება, ხოლო ხაზართა მეფეს იუდაიზმის აღსარება. ალ-ბექრის მოწმობით, ხაზარნი მერმე გაქრისტიანდნენ, პოლემიკის შემდგომ კი, რომელიც ხაკან სავრიელ-ოვადის ჟამს გაიმართა, 763 წელს, ხაზართ იუდაიზმი აღიარეს. ამასთან ისლამის წარმომადგენელი ისტორიულ დავაში არ მონაწილეობდა იმის გამო, რომ ხაზარებისკენ მიმავალი გზაში მოწამლეს.

ალ-ბექრის აზრით (როგორც დაუბმანუსი✡ ვარაუდობს), ყოვლის უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ის დრო იყო, როცა ხაზართ პირველად გამოიცვალეს რჯული და ისლამი აღიარეს. *ღვთაებრივი წიგნი* მრავალფენოვანიაო, წერდა იგი, და ამას მოწმობსო პირველი იმამი, როცა უბნობს: „ანგელოზთა ხელით გამოგზავნილი ამ წიგნის არც ერთი სიტყვა ცით ისე არ გარდმოსულა, რომ პირდაპირ კალამსა ჩემსა არ გამობმოდეს, და არც ერთი არ არის ისეთი, რომელიც რომ წინათვე ხმამაღლა არ წარმომეთქვას. სუყოველი სიტყვა მან რვაგზის განმიმარტა: ზუსტი მნიშვნელობა და სულიერი აზრი; წინა სტრიქონის აზრის შემცვლელი სტრიქონის აზრი და მომდევნო სტრიქონის აზრის შემცვლელი სტრიქონის აზრი; აზრი შემოკლებული და სულიერი; კერძო და საზოგადო“. ექიმ ზაქარია რაზის ზოგი რამ მიმანიშნებლის გათვალისწინებით, ალ-ბექრის შესაძლებლად მიაჩნდა სამი რჯულის – ისლამის, ქრისტიანობისა და იუდაიზმის – გაგება *ღვთაებრივი წიგნის* სამ დონედ. ყოველი ხალხი *ღვთაებრივ წიგნს* აღიქვამს თავისებურად, იმ წესითა და რიგით, რაც ყველაზედ უფრო მეტად უდგება და ამასთანავე თავის სიღრმისეულ ბუნებას ავლენინებს. მნიშვნელობათა პირველ ფენას ის არც კი განიხილავდა, რადგან ეს ზუსტი, სიტყვასიტყვითი ფენაა, „ავამად“ წოდებული, და, სარწმუნოებისდა მიუხედავად, სუყოველი კაცისთვის ხელმისაწვდომია. მეორე ფენა ალუზიათა, ანუ არაპირდაპირ მნიშვნელობათა ფენაა, რომელსაც „კავასი“ ეწოდება. და რომელსაც რჩეულნი იგებენ, წარმოადგენს ქრისტიანულ ეკლესიას და წიგნის აწმყო დროსა და ბგერას (ხმას) ფარავს. მესამე ფენას „ავლია“ ეწოდება და ოკულტურ მნიშვნელობებს მოიცავს, *ღვთაებრივი წიგნის* ებრაულ დონეს წარმოადგენს, ეს მისტიკურ სიღრმეთა და რიცხვთა ფენაა, წიგნის წერილობითი ნიშნების ფენა. ხოლო მეოთხე, „ანაბია“, წინასწარმეტყველური სინათლისა და მომავლის ფენაა, ისლამურ მოძღვრებას მთელი თავისი არსობრივი მნიშვნელობით წარმოადგენს, ეს წიგნის სულია, ანუ სიღრმის მეშვიდე სიღრმე. ამრიგად, ხაზართ თავდაპირველად *ღვთაებრივი წიგნის* ყოვლის უმაღლესი დონე („ანაბია“) მიიღეს და მხოლოდ შემდეგ დანარჩენი ფენები, თანაც არა თანმიმდევრობით, რითაც ცხადყვეს, რომ ყოვლის უფრო მეტად მუჰამადის მოძღვრება შეჰფეროდათ. ასე რომ, არსებითად, ისინი მერმე არცროდის ჩამოშორებიან ისლამს, თუმცა გარკვეულ დროს ქრისტიანობიდან იუდაიზმში კი გადავიდნენ.

ეს იმ ფაქტის დამადასტურებელია, რომ მანამ, სანამ ხაზართა სამეფო დაიღუპებოდა, უკანასკნელმა ხაკანმა კვლავ აღიარა თავდაპირველად არჩეული რჯული, ანუ ისლამი, რასაც არაორაზროვნად მოწმობს იბნ ალ-ათირის ჩანაწერი.

სპანიარდ ალ-ბექრის თხზულება დაწერილია დახვეწილი არაბული ენით, როგორი ენითაც თავად ანგელოზნი მეტყველებდნენ, თუმცა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ღრმა სიბერეში, სტილმა, ცოტა არ იყოს, უმტყუნა. ეს მაშინ მოხდა, როცა მან თავისი სამოცდამეშვიდე წელიწადის დაპურება დაიწყო. უკვე მელოტს, მარცხენა ხელისა და მარჯვენა ფეხის მხმარებელს, ერთადერთი, რაც წარსულისგან შემორჩენოდა, წყვილი ლამაზი დიდრონი თვალი იყო, ორი პატარა ცისფერი თევზის მსგავსი. ერთხელ ღამით ალ-ბექრის ესიზმრა, რომ ვიღაც ქალი კარს უკაკუნებდა. კარში მთვარის შუქისთვის დატანებული ჭუჭრუტანიდან ის ცხადად ხედავდა იმ ქალის სახეს, თევზის ფქვილით გაპუდრულს, როგორც ეს ქალწულთ სჩვეოდათ. როცა ის კართან ქალის შინ შემოსაშვებად მივიდა, დაინახა, რომ იგი ფეხზედ დგომელა კი არა, მიწაზედ მჯდომარე აკაკუნებდა, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში იგი ფეხზედ მდგარი ალ-ბექრის სიმაღლისა იყო, ხოლო როს მან წამოდგომა დაიწყო, ეს ისე დიდხანს გრძელდებოდა და თავით ისე მაღლა-მაღლა მიიწევდა, ალ-ბექრი შეშინდა და გამოეღვიძა, ოღონდ არა თავის ლოგინში, სადაც აღწერილი სიზმარი ნახა, არამედ წყალზედ დაკიდებულ რაღაც გალიაში.

# მწვანე წიგნი

## ისლამური წყაროები ხაზართა საკითხის შესახებ





თარგმნა
**გურამ გოგიაშვილმა**

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 51-69.**

# როგორს ხედავდა ჰიტლერს სტალინი

## სკკპ არქივებში დაკარგული „462 A“ დოსიე

**სტალინი ჰიტლერს დიდი უნდობლობით ეკიდებოდა. 1941 წელს სსრ კავშირში გერმანელთა ჯარების შემოჭრა იყო ორი წლით ადრე ამ ორ სახელმწიფოს შორის დადებული თავდაუსხმელობის შესახებ პაქტის აბსოლუტური დარღვევა. სტალინს ეჭვი ეპარებოდა იმაში, რომ ჰიტლერმა ნამდვილად მოიკლა თავი ბუნკერში 1945 წელს, და მიაჩნდა, რომ ამ ადამიანს შეეძლო მოკავშირეთა ძალებს ამოფარებულს გაეგრძელებინა ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ.**

და მაშინ, სტალინმა შეუკვეთა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს – სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წინამორბედს – შეექმნა დაწვრილებითი ანგარიში ჰიტლერის ცხოვრების ბოლო დღეების შესახებ, რომელშიც დოკუმენტურად იქნებოდა დამტკიცებული მისი სიკვდილი. საბჭოთა სამხედროებმა ბერლინში დააკავეს ჰიტლერის უახლოესი გარემოცვის ორი ოფიცერი: მისი ადიუტანტი ოტო გიუნშე და კამერდინერი ჰაინც ლინგე. ამ ადამიანების დაკითხვათა მონაცემები, რომლებიც ხორციელდებოდა ოთხი წლის განმავლობაში, აგრეთვე, მათი ჩანაწერები დაედო საფუძვლად „ჰიტლერის დოსიეს“.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დოსიეს ერთადერთი 413-გვერდიანი ეგზემპლარი გადაეცა პირადად სტალინს. ამ მოხსენებაში აღწერილი იყო ფიურერის ცხოვრება 1933-1945 წლების პერიოდში, თანაც, ხშირ შემთხვევაში, წვრილმანი დეტალების ჩათვლითაც კი.

მისი წაკითხვის შემდეგ სტალინმა დოსიე თავის პირად არქივში გაგზავნა. ითვლება, რომ ეს ეგზემპლარი დღემდე ინახება რუსეთის



ამჟამინდელი პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის არქივში.

### 2003 წელს აღმოჩენილი ასლი

**მაგრამ ნიკიტა ხრუშჩოვმა, რომელმაც სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაიკავა მისი პოსტი, დოსიეს ასლი გადაიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსთან არსებული იდეოლოგიური კომისიისთვის. ეს ასლი დაიკარგა არქივებში „462 A“ კოდით, და იგი აღმოაჩინეს მხოლოდ 2003 წლის ოქტომბერში, პარტიული არქივის საგეგმო გადარჩევის დროს. იგი იპოვა რუსეთის უახლესი ისტორიის დოკუმენტების დაცვისა და შენახვის ცენტრში გერმანელმა ისტორიკოსმა მატიას ულმა. სწორედ მან პირველმა გამოსცა ეს დოსიე, ხოლო გერმანელმა ისტორიკოსმა ჰენრიკ ებერლემ დაწერა მისი წინასიტყვაობა. ამ ცოტა ხნის**



**წინათ „ჰიტლერის დოსიე“ ფრანგულ ენაზე გამოიცა.**

უცნაური გრძნობაეუფლება ადამიანს ამ წიგნის წაკითხვისას: თითქოს ჩვენ ჰიტლერს მივაცილებთ ჯოჯოხეთის გზაზე, ნათლად ვხედავთ, თუ როგორ ძლიერდება დიქტატორის იზოლაცია, რომელიც თანდათანობით მხოლოდ კარგ ახალ ამბებს თუ იჯერებდა.

ომის პირველ წლებში ჰიტლერის ცხოვრებაში შეინიშნებოდა რაღაც ტრაგიკული ამჩატება. როცა ვკითხულობთ „ჰიტლერის დოსიეს“, ადვილად წარმოვიდგენთ, თუ როგორ მიირთმევდა იგი კონიაკს ევა ბრაუნთან ერთად და როგორ უმასპინძლდებოდა მას შოკოლადით, როგორ აწერდა ხელს იმ ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა ქორწინების ნებართვას, რომლებმაც მოახდინეს საფრანგეთის და ბელგიის ოკუპაცია.

როგორც ჩანს, ჰიტლერი გულდასმით შეისწავლიდა ამ სამხედროთა გულისსწორების ფოტოსურათებს და ადარებდა მათ ევა ბრაუნის მეგობარ ქალებს. იგი ცხოვრობდა რეალობისგან სრულიად მოწყვეტილი. ღამის სამის ნახევარზე ადრე არ იძინებდა.

მაგრამ სულ მალე გამოჩნდა ახალი ჰიტლერი, რომლის ბრძანებითაც უკრავენ სამგლოვიარო მარშებს, და რომელიც კილოგრამებით შოკოლადს მიირთმევდა. დადგა 1942 წლის შემოდგომა, საბჭოთა ჯარები გმირულად იცავენ სტალინგრადს.

### უკანასკნელი მიჯნა

**ასევე საინტერესოა ის ნაწილი, რომელიც ეხება ჰიტლერის ცხოვრების უკანასკნელ წუთებს. იქ აღწერილია ის შიში და განგაში, რომელიც დაეუფლა მთელ ბუნკერს. ჰიტლერს უკვე კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ბერლინის ასეთი ინტენსიური დაბომბვის პირობებში იგი თავის მოკვლას უკვე ველარ შეძლებდა ბუნკერის გარეთ. ამის გაკეთება მხოლოდ შესაძლებელი იყო იქ, რაიხსკანცელარიის ვიწრო ბუნკერის კედლებში.**

„ჰიტლერის დოსიე“ ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია ისტორიკოსებისა და ფართო აუდიტორიისთვის, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოდნავ მძიმეა ის სტილი, რომლითაც იგი შეადგინა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა. გარდა ამისა, აშკარად იგრძნობა, რომ დოკუმენტის ავტორები ცდილობდნენ თავი აერიდებინათ იმ თემებისთვის, რომელიც სტალინისთვის არასასიამოვნო იქნებოდა.

მაგალითად, მხოლოდ ორიოდე სიტყვით არის დოსიეში მოხსენიებული, რომ ჰიტლერი ძალზე გაიტაცა გაზის კამერების მშენებლობამ. საბჭოთა მზვერავები არ აპირებდნენ დაედგინათ, თუ რა ბრალი მიუძღოდა ჰიტლერს ებრაელთა გენოციდში, თუმცა, 1941-1945 წლების პერიოდში მარტო ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიებზე გაანადგურეს დაახლოებით 2,1 მილიონი ებრაელი. ამის ახსნა ძალზე ადვილია: სტალინი თვითონ იყო ანტისემიტი, და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ეს შესანიშნავად იცოდნენ.

**კრისტოფ ლამფალიუსი,**
**„La Libre Belgigue“ (ბელგია).**

# ბრძოლა ღვინისთვის

**ქართული ღვინოების იმპორტზე მოსკოვის მიერ დაწესებულმა ემბარგომ გაანაწყენა საქართველო, თუმცა, იგი ჩიხში არ მოუმწყვდევია: ქვეყნის მთავრობა და მეღვინეები დაუყოვნებლივ შეუდგნენ გასაღების ახალი ბაზრების ძებნას და შეიმუშავეს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ეროვნული პროდუქტის ექსპორტის მოკლევადიანი სტრატეგია.**

საქართველოში თითქმის არავის არ სწამს, რომ იმპორტზე აკრძალვა სამართლიანია და ეს განპირობებულია იმით, რომ ღვინოები ვერ აკმაყოფილებენ ფიტოსანიტარიულ სტანდარტებს. ასეთი პრეტენზია საქართველოში ჯერ კიდევ 1,5-2 წლის წინათ რომ წაეყენებინათ, ამას შეიძლება დათანხმებოდნენ: რუსეთის ბაზრებზე ხშირად შედიოდა ნამდვილად ფალსიფიცირებული პროდუქცია.

მაგრამ გასულ წელს საქართველოს ხელისუფლებამ შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ფალსიფიკაციას, შეუწყო ხელი ელიტურ საწარმოებში ღვინის წარმოების გაორმაგებას, და პროდუქტის ხარისხიც გაცილებით უკეთესი გახდა. ამას, სხვათა შორის, ამტკიცებენ მოსკოვში გამართული ყოველწლიური საერთაშორისო კონკურსები და გამოფენები, რომლებზეც ქართული ღვინოები გრან-პრის და სხვა პრიზებს იმსახურებენ.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ემბარგოს არაფერი საერთო არა აქვს ფიტოსანიტარიული სტანდარტების დარღვევასთან. „ცდილობენ საქართველო დასაჯონ იმისთვის, რომ მას ეფექტიანი მთავრობა ჰყავს“, – დარწმუნებულია სააკაშვილი.

მან მთავრობას და გუბერნატორებს დაავალა, სანიმუშოდ განახორციელონ რთველი და გაგზავნონ დელეგაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გასაღების ახალი ბაზრების გამონახვის მიზნით. გარდა ამისა, პრეზიდენტი პირადად აპირებს, მოჰკიდოს ხელი ღვინის ექსპორტის გეოგრაფიის გაფართოებას, კერძოდ, ჩინეთში მომავალი ვიზიტის დროს. თუმცა, დარწმუნებულია საქართველოს პრეზიდენტი, „ადრე თუ გვიან, საქართველო დაბრუნდება რუსეთის ბაზარზე, მაგრამ უკეთესი იქნება, რომ ეს ადრე მოხდეს“. „მტრებისა და არაკეთილმოსურნეთა გულის მოსაკლავად, ჩვენ გავართმევთ თავს წარმოქმნილ სირთულეებს“, – თქვა მან.

გასაღების ბაზრის გაფართოება უკვე დაისახა: საქართველოს დასახმარებლად მოვიდა უკრაინა. კიევში მყოფმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა ჟურნალისტებს აცნობა: „უკრაინის მხარემ დაადასტურა, რომ იგი მზად არის, შექმნას შესაბამისი პირობები ქართული ღვინოების იმპორტის გადიდებისთვის. ამ ქვეყანაში ქართული ღვინო უყვართ და დიდი ენთუზიაზმითაც შეხვდნენ საქართველოდან უკრაინაში ამ პროდუქციის ნაკადის გადიდების იდეას“, – აღნიშნა მან.

რა თქმა უნდა, მარტო უკრაინაში მიწოდების გადიდებით ეს საკითხი ვერ გადაწყდება, რადგან ემბარგოს შემოღებამდე, საქართველოს ყოველწლიურად რუსეთის ბაზარზე შეჰქონდა 50 მილიონი ლიტრი ღვინო, ამ პროდუქციის მთელი ექსპორტის 80 პროცენტი.

მაგრამ რუსეთის გარდა, საქართველოს ღვინოები საექსპორტოდ გააქვს მსოფლიოს კიდევ 30 ქვეყანაში, მათ შორის, შეერთებულ შტატებსა და ევროპის სახელმწიფოებში. ასე რომ, ამ ბაზრებზე ღვინის მიწოდების თვით უმნიშვნელო გადიდებამაც კი შეიძლება ნაწილობრივ აანაზღაუროს რუსეთის ბაზრებზე დანაკარგი.

თუმცა, ქართველი მეღვინეები და მთავრობის ეკონომიკური ბლოკი მაინც ცდილობენ რუსეთში პოზიციების აღდგენას. და ამ საქმეში მათ ხელს უწყობენ რუსი ღვინის იმპორტიორები, რომლებმაც უკვე განიცადეს დიდი ზარალი. 50 რუსმა ბიზნესმენმა, რომლებიც ღვინის ბიზნესს ეწევიან, მოსკოვში გამართეს შეხვედრა და დააფიქსირეს, რომ ძალზე უარყოფითად ეკიდებიან შემოღებულ ემბარგოს. მათ გაუგზავნეს შესაბამისი შინაარსის წერილი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს. რუსი ბიზნესმენების აზრით, „ქართულ ღვინოებზე შემოღებული ემბარგო კატასტროფის ტოლფასია, რადგან იგი სერიოზულ ზიანს მიაყენებს რუსეთის ეკონომიკას“. მათ „აზსურდული“ უწოდეს რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის რეკომენდაციას, ჰიგიენური სერტიფიკატების და ხარისხის სერტიფიკატების გაცემის შეჩერების შესახებ.

ჯერჯერობით კი, საქართველოს მთავრობამ და ქვეყნის მეღვინეებმა შეიმუშავეს ექსპორტის მოკლევადიანი სტრატეგია, რომლის თანახმადაც, რუსეთში, უკრაინასა და ყაზახეთში გაიმართება ქართული ღვინის კვირეული. საქართველოს ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ეს განამტკიცებს სტრატეგიული, ეროვნული პროდუქტის რეპუტაციას. გარდა ამისა, ღვინის სინჯები ექსპერტიზისთვის გაიგზავნა მსოფლიოს წამყვან ლაბორატორიებში, რომლებისგანაც პასუხს მიიღებენ 10 დღის შემდეგ. მთავრობამ ასევე გადაწყვიტა, რომ მეღვინეებს სამი თვით გადაუვადოს საბიუჯეტო გადასახადების გადახდა. დაზოგილი სახსრები მოხმარდება ახალი ბაზრების ათვისებას და რუსეთის ბაზრებზე დაბრუნებას.

როგორც სააკაშვილმა განაცხადა, უახლოეს მომავალში, საქართველოში გაიმართება ღვინის საერთაშორისო ფორუმი, და დაინტერესებულ პირებსა და კომპანიებს შეეძლებათ ადგილზე დარწმუნდნენ ქართული ღვინოების საუკეთესო ხარისხში.

ჯერჯერობით კი „საქართველოს ღვინის ასოციაცია“ მოლდაველ კოლეგებთან ერთად, რომლებიც ასევე დაზარალდნენ რუსეთის მიერ ემბარგოს დაწესების შედეგად, აპირებენ, აღძრან სარჩელი სასამართლოში, თანაც, რუსეთის სასამართლოში, თავიანთი უფლებებისა და პროდუქციის დასაცავად.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედებს ფალსიფიცირებული ქართული და მოლდავური ღვინოების ჩამომსხმელი ასობით იატაკქვეშა საწარმო. ამიტომაც, გამორიცხული არ არის, რომ რუსეთის მაღაზიებში მართლაც შეიძლება იყიდებოდეს ფალსიფიცირებული ღვინოები, რომლებიც არც საქართველოში და არც მოლდავეთში არ არის ჩამოსხმული.

**საინფორმაციო სააგენტო.**

## მოკლედ

**გერმანიის ზოგიერთ რაიონში მდინარე ელბის წყლის დონე რეკორდულ მაჩვენებელს აღწევს. ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდინარის სიღრმე უკვე აღემატება 2002 წლის აგვისტოს წყალდიდობის მაჩვენებელს, რომლებიც ითვლებოდა ყველაზე დიდად გერმანიის ისტორიაში. ადგილობრივ ხელისუფლებას ჯერჯერობით არა აქვს იმის იმედი, რომ ვითარება უახლოეს მომავალში გამოსწორდება. სტიქიის წინააღმდეგ საბრძოლველად მოიხმეს ბუნდესვერის სამხედრო მოსამსახურეები.**

* * *

**ინდონეზიაში იყიდება „პლეიბოი“. მაგრამ ჟურნალის შინაარსი შეიცვალა, რათა მან დააკმაყოფილოს მუსლიმანი მოსახლეობის მკაცრი მოთხოვნები. „პლეიბოიში“ ველარ ნახავთ შიშველი ქალების ფოტოებს, თუმცა, ამის მიუხედავად, ინდონეზიის საზოგადოებრივი ორგანიზაციები კვლავ აპირებენ განაგრძონ გამოსვლები ქვეყანაში ჟურნალის გამოცემის წინააღმდეგ.**

* * *

**შეერთებული შტატების კონგრესის რესპუბლიკელებმა და დემოკრატებმა მიაღწიეს თანხმობას ახალი კანონის შესახებ, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ტერიტორიაზე არალეგალური ყოფნა მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვლება, უპრობლემოდ ლეგალიზება კი შეეძლებათ მხოლოდ იმ ემიგრანტებს, რომლებმაც ქვეყანაში ხუთ წელზე მეტ ხანს იცხოვრეს. კანონპროექტი მოიწონა წარმომადგენელთა პალატამ, ახლა ბოლო სიტყვა სენატს ეკუთვნის.**

* * *

**ლატვიის პრემიერი დათანხმდა ექვსი მინისტრის გადადგომას, რომლებიც ყველა „ახალი დროის“ პარტიის წარმომადგენლები არიან. მინისტრებმა შესაბამისი განცხადებები შეიტანეს ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის მეთაურის აიგარ კალვიტისის სახელზე. ხუთშაბათს კი „ახალი დროის“ პარტიამ გადაწყვიტა მმართველი კოალიციიდან გამოსვლა.**

* * *

**შვედეთში გაათავისუფლეს რუსი მეცნიერი, რომელიც დაპატიმრებული იყო ჯაშუშობის ეჭვით. ახალგაზრდა რუსი მეცნიერი ანდრეი ზამიატინი, რომელიც კონტრაქტით მუშაობდა ქალაქ უფსალის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, შვედეთის სასამართლოს გადაწყვეტილებით დააკავეს 15 თებერვალს. მთელი ამ დროის განმავლობაში ზამიატინი იმყოფებოდა კრონობერგის საგამოძიებო იზოლატორში.**

* * *

**ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია განგაშს ტეხს: მსოფლიოში იგრძნობა 4 მილიონი მედიკოსის უკმარისობა. გაეროს ექსპერტების მიერ მომზადებული „2006 წელს მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“ მოხსენების ავტორთა მტკიცებით, მსოფლიოს 57 სახელმწიფოში შეინიშნება ექიმების, მედდების და სანიტრების სერიოზული უკმარისობა. ამ მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ცენტრალურ აფრიკაში.**

* * *

**დიდ ბრიტანეთში გამომავალ ჟურნალ „ნიუ ვუმენის“ მკითხველებმა გამოავლინეს მსოფლიოს ყველა დროის ასი ულამაზესი ქალის სია. პირველი ადგილი დაიკავა სახელგანთქმულმა მსახიობმა ოდრი ჰეპბერნმა. ერთადერთი რუსეთელი, რომელიც ამ რეიტინგში მოხვდა, არის ანა კურნიკოვა, რომელიც საპატიო მეასე ადგილზე გავიდა.**

* * *

**ბერლუსკონიმ პირველად აღიარა, რომ შეიძლება დამარცხდეს ამ არჩევნებში. იმის მიუხედავად, რომ აქამდე მემარცხენე ცენტრისტული ოპოზიცია გამოკითხვათა შედეგების მიხედვით 3,5-5 პროცენტით ლიდერობდა, ბერლუსკონი მაინც ატყდება, რომ გამორიცხული იყო მისი დამარცხება არჩევნებში.**

# ქრონოგრაფი

## 11 აპრილი, 1970 წელი



**მთვარისკენ სტარტი აიღო ამერიკულმა კოსმოსურმა ხომალდმა „აპოლონ-13“. ერთი წლით ადრე მთვარისკენ წარმატებით იფრინეს მისმა წინამორბედებმა „აპოლონ-11“-მა და „აპოლონ-12“-მა.**

რაც შეეხება „აპოლონ-13“, მას ამერიკის კოსმონავტიკის ისტორიაში ყველაზე მძიმე გამოცდა მოუწყო ბედმა. სტარტიდან მესამე დღეს, მთვარესთან მიახლოებისას ხომალდზე აფეთქდა ავზი და მწყობრიდან გამოვიდა საცხოვრებელი ნაკვეთური. მთვარეზე დაშვებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ოზიექტს ხომალდმა შემოუარა და ოთხი ასტრონავტი სასწაულებრივად დაბრუნდა 17 აპრილს დედამიწაზე.

## 12 აპრილი, 1703 წელი

**ცნობილმა არქიტექტორმა დომენიკო ტრეზინიმ (1670-1734ძ დანიაში ხელი მოაწერა ერთწლიან ხელშეკრულებას და გაემგზავრა რუსეთში.**

იგი იტალიელ დიდებულთა ოჯახის წარმომადგენელი იყო. სამხრეთ შვეიცარიაში გადასახლებული 10 წელი დანიის სამეფო კარზე ერთადერთ არქიტექტორად ითვლებოდა. რუსეთში ჩასვლისთანავე იგი პეტერბურგის მშენებლობის პირველი არქიტექტორი გახდა — 30 წელიწადი აშენებდა პეტრეს ქალაქს. ტრეზინიმ ააგო პეტრე-პავლეს ციხესიმაგრე და მას ქალაქის „ემბრიონი“ უწოდა. მისი პროექტით აშენდა ქალაქში პირველი ტაძარი, რომელიც რუსი იმპერატორების უკანასკნელ განსასვენებლად იქცა.

## 13 აპრილი, 1895 წელი



**პომპეის გათხრების დროს არქეოლოგები წააწყდნენ ვინმე „ანტიკური ხანის ქუწნი რაინდის“ ჩონჩხს.**

იგი ოქროულობასა და ძვირფასეულობას შორის ჩაწოლილი იყო. მის ირგვლივ ასობით ოქროს სამაჯური, ყელსაბამი, საყურე, თმის სამაგრი, ოქროსავე საოჯახო ნივთები და ოქროს ათასობით მონეტა ეყარა. ყველაფერი ისე ბზინავდა, თითქოს ახალი დამზადებულიაო. არქეოლოგებმა ნაპოვნი უნიკალური ნივთები ჩუმად მიჰყიდეს ფრანგ როტშილდებს. იტალიის მთავრობა უკვე უძლური იყო, ეს სიმდიდრე უკან დაებრუნებინა. პომპეიში „ქუწნის“ სახლში ნაპოვნი ძვირფასეულობის უმეტესობა ახლა ლუვრშია გამოფენილი.

## 14 აპრილი, 1908 წელი




**მოტყუებისა და იუმორის დღესთან დაკავშირებით (ძველი სტილით, 1 აპრილიძ პეტერბურგში გამოვიდა პირველი ნომერი იუმორისტული ყოველკვირეულისა „სატირიკონი“, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა ხალხში.**

მერვე ნომრიდან ჟურნალს, რომელიც ცხოვრების მანკიერი მხარეების სიცილითა და იუმორით აღმოფხვრას ცდილობდა, სათავეში ჩაუდგა არკადი ავერჩენკო. ყოველკვირეულში მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი ლიტერატორები, როგორებიც იყვნენ: საშა ჩორნი, ტეფი, მხატვრები: კუსტოდიევი, ბაკსტი და სხვები. ჟურნალის სახელწოდება შეარჩიეს იმპერატორ ნერონისდროინდელი მწერლის პეტრონიუს არბიტრუსის რომანიდან.

## 15 აპრილი, 1841 წელი



**იენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტმა ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა 23 წლის კარლ მარქსს თავისი ნაშრომისათვის „განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის“.**

სადისერტაციო ნაშრომში განხილული იყო ძველი ბერძენი ფილოსოფოსების წარმოდგენები ატომზე. მარქსი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჯერ ბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, შემდეგ ბერლინის უნივერსიტეტში. ასე რომ, „დიდ ეკონომისტს“ ეკონომიკის განხრით არავითარი განათლება არ მიუღია და ამ მეცნიერებაში იგი დილეტანტი გახლდათ.

**◎ სენსაციის ზღვარზე**

# ქალიშვილი – რენტგენი

***25 წლის ივანოვოელი ვალენტინა საპოჟნიკოვა ყველაზე რთულ დაავადებასაც კი ნებისმიერ რენტგენზე უკეთესად ადგენს. ექიმებს არასდროს უარუყვიათ მისი დიაგნოზები.***

***ვალენტინას ნებისმიერი დაავადების მკურნალობაც შეუძლია — თუ საბოლოოდ არა, ხანგრძლივი დროით მაინც უხსნის ავადმყოფს ტკივილს. მაგრამ ის ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც კი არ მკურნალობს, რადგან მიაჩნია, რომ ეს ნიჭი ღვთისაგან კი არა აქვს ბოძებული, არამედ სატანისგან.***



## „ძალიან მეშინია ჩემი ნიჭის“

**მისი დიდი ბებია ექიმბაში ყოფილა, შეეძლო გამოლოცვა, ფესვებითა და ბალახებით მკურნალობდა ხალხს. უმძიმესი ავადმყოფები მთელი რუსეთიდან ჩადიოდნენ მასთან. იგი სიზნელეში ხედავდა დაზიანებულ ორგანოებს და შეუცდომლად არჩევდა მკურნალობის საშუალებას. წამლის გარეშეც შეეძლო ავადმყოფის განკურნება — ხელებს თავზე შემოატარებდა და შვებას ანიჭებდა.**

რამდენიმე თაობის შემდეგ სიზნელეში ადამიანის დაავადებათა დანახვის უნარი საკუთარ თავს ვალენტინამაც შეატყო. მისი უმცროსი ძმა სერიოჟა, სუსტი, ავადმყოფი ბავშვი მძიმე დიაგნოზით იწვა საავადმყოფოში, როდესაც ვალიამ ჰაერში შენობის თავზე შავი ლაქა დაინახა. „დედა, დღეს სერიოჟა ძალიან ცუდად იქნება, შეიძლება მოკვდეს“, — თქვა გოგონამ. იმ საღამოს ბიჭი რეანიმაციაში გადაიყვანეს. ვალიამ ძმის ფილტვებში შავი კოლტი დაინახა და ითხოვა, მარტო დაეტოვებინათ მასთან. ცოტა ხანში იგი პალატიდან გამოვიდა და გამოაცხადა: „მე ის განვკურნე. ფილტვებში სიმსივნე აღარა აქვს. ნუ მკითხავთ, როგორ გავაკეთე ეს. მე თვითონაც არ ვიცი“. რამდენიმე საათის შემდეგ სერიოჟა ბევრად უკეთესად გახდა. ექიმებმა რენტგენი გაუკეთეს — ბიჭის ფილტვები აბსოლუტურად სუფთა აღმოაჩნდა. სერიოჟა იღიმებოდა, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ის მაინც მოკვდა. ვალიამ უარი თქვა მის დახმარებაზე: „ეს ღვთის ნებაა, მისი გადარჩენა კი ეშმაკს უნდა. ჯობია, ღმერთთან წავიდეს“. სერიოჟას პალატაში შესვლა ვერავინ აიძულა.

გამოხდა რაღაც დრო და ვალიას უმცროს დას ლენას კიდევ უფრო არაჩვეულებრივი უნარი აღმოაჩნდა: ის კიბოსგანაც კი კურნავდა ხალხს! მათ ბინასთან მუდმივად იდგა რიგები. ყოველი პაციენტის შემდეგ გოგონას ხელები საშინლად უხურდა და უმძიმდებოდა. ტკივილი მხოლოდ მას შემდეგ ეხსნებოდა, როცა ხელებს ყინულივით ცივ წყალში ყოფდა. უფროს კლასებში რომ იყო, ლენა თავის პირველ სიყვარულს შეხვდა. საქმე ქორწილისკენ მიდიოდა, მაგრამ მოულოდნელად გაურკვეველ ვითარებაში სასიძოს მატარებელი დაეჯახა. ლენა საშინელ დეპრესიაში ჩავარდა, ლოგინიდან აღარ დგებოდა, არაფერს ჭამდა. მერე კი მოულოდნელად გამოაცხადა: „მე მასთან წავალო“ და ცხრასართულიანი სახლის სახურავიდან გადაეშვა.

„საშინლად მეშინია ჩემი ნიჭის, — ამბობს ვალია, — ვისაც კი ჩვენს გვარში ასეთი ნიჭი ჰქონდა, ყველამ ცუდად დაამთავრა სიცოცხლე. მე ღმერთი მწამს. მღვდლები უშლიდნენ ლენას, შეეშვი ასეთ საქმეებსო, ის კი არ უჯერებდა და რა მოჰყვა ამას? დაავადებები ადამიანს ცოდვებისთვის ეძლევა, ან მისი მშობლების ცოდვებისთვის. მან აქ, დედამიწაზე, უნდა გამოისყიდოს ისინი, თორემ მომდევნო სიცოცხლეში მას ძალიან გაუჭირდება. მე ღვთის ნების წინააღმდეგ არ უნდა წავიდე. ესეც არ იყოს, სულერთია ეს დაავადებები მაინც დაუბრუნდება ადამიანს, ან მათ შვილებზე აისახება, თანაც — უფრო ძლიერად“.







ვალენტინას მსგავსი ადამიანები ყოველ დაავადებას საკუთარ თავში გაატარებენ, ამიტომ ფსიქიკასთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები გარდაუვალია. ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩიოდა ვალია, თავის ტკივილს რომ ვხსნი, თვითონ მტკივდება თავიო.

## ადამიანის ხასიათს მისი აურის ფერი განსაზღვრავს

**ვალია არც საკუთარ მშობლებს მკურნალობს და არც ქმარ-შვილს. როდესაც თვითონ გრძნობს თავს ცუდად აბებს ყლაპავს ან უბრალოდ ლოგინში წევს.**

ექიმები, რომლებიც ვალიას ფენომენს სწავლობენ, აცხადებენ: „მისი ნიჭი არც ჯადოქრობაა და არც მისტიკა. ამ მოვლენის ახსნა ფიზიკის თვალთახედვით შეიძლება. ვალია ხედავს ბიოველებს ადამიანის გარშემო, რომლებიც სხვადასხვა ფერად ანათებენ. XX საუკუნის მიწურულს დადგინდა: ყოველ საგანს გააჩნია ნათება. განსაკუთრებით კაშკაშად მცენარეები, ცხოველები და საკულტო საგნები ანათებს. ვალია შეუიარაღებელი თვალით ხედავს ამ ველებს“.

ვალია ადამიანთა ფსიქოლოგიურ თავისებურებებსაც ხედავს. შავი აურის მქონე ადამიანს შეუძლია მოკლას, ყვითელი, მწვანე და ცისფერაურიანი ადამიანი კი თითქმის წმინდანია. ასეთი ნათებით გარემოსილი ადამიანები სულით ძლიერები, ემოციურად და ფიზიკურად ჯანსაღები არიან. კითხვაზე, თუ როგორი აურა აქვს რუსეთის პრეზიდენტს, ვალიამ მყისვე უპასუხა: „ყვითელი ფერის, ძლიერი ბიოველი თანაბარ მჭიდრო ზოლად ერტყმის მთელ მის სხეულს და მისი თვალებიდან არავითარი შავი სინათლე არ მოედინება (ლენინის თვალებიდან ასეთი სინათლე მოედინებოდაძ. საერთოდ ის წმინდანს ჰგავს!“ ეს რომ თქვა, ვალიამ ხმამაღლა გაიცინა.

# ჟამი მათი „მეფობისანი“

**40 წლის წინათ, 1966 წლის 8 აპრილს, ცკ-ს პირველი მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი არჩეული იქნა სკკპ ცკ-ს გენერალურ მდივნად. ფორმალურად ბრეჟნევი მანამდეც ითვლებოდა პარტიის ხელმძღვანელად, მაგრამ იგი არამარტო „ორდენომანიით“, არამედ თანამდებობებისადმი ლტოლვითაც იყო შეპყრობილი. ინტერესმოკლებული არ იქნება, გადავხედოთ საბჭოეთის ისტორიას და კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, ვის რამდენ ხანს ეპყრა ხელთ ქვეყნის საჭე.**




**ვლადიმერ ლენინი**
საბჭოთა სახალხო კომიტეტის თავმჯდომარე (რსფსრ და სსრკძ 1917 წლის 9 ნოემბრიდან 1924 წლის 21 იანვრამდე (1922 წლიდან მძიმედ ავადმყოფობდაძ.

**იოსებ სტალინი**
სკკპ ცკ გენერალური მდივანი, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. 1922 წლის 3 აპრილიდან 1953 წლის 5 მარტამდე.

**გიორგი მალენკოვი**
სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1953 წლის 5 მარტიდან 1955 წლის 8 თებერვლამდე. (1953 წლის სექტემბერში რეალური მმართველობისთვის ბრძოლა ხრუშჩოვთან წააგოძ

**ნიკიტა ხრუშჩოვი**
სკკპ ცკ პირველი მდივანი, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. 1953 წლის 7 სექტემბრიდან 1964 წლის 14 ოქტომბრამდე.

**ლეონიდ ბრეჟნევი**
სკკპ ცკ პირველი მდივანი 1964 წლის 14 ოქტომბრიდან 1966 წლის 8 აპრილამდე.
სკკპ ცკ გენერალური მდივანი 1966 წლის 8 აპრილიდან 1982 წლის 10 ნოემბრამდე.

**იური ანდროპოვი**
სკკპ ცკ გენერალური მდივანი 1982 წლის 12 ნოემბრიდან 1984 წლის 9 თებერვლამდე.

**კონსტანტინე ჩერნენკო**
სკკპ ცკ გენერალური მდივანი 1984 წლის 13 თებერვლიდან 1985 წლის 10 მარტამდე.

**მიხეილ გორბაჩოვი**
სკკპ ცკ გენერალური მდივანი 1985 წლის 11 მარტიდან 1991 წლის 24 აგვისტომდე.
სსრკ პრეზიდენტი 1990 წლის 14 მარტიდან 1991 წლის 27 დეკემბრამდე.

## გილოცავთ!

# ალმზრდელი



**— ვინ არის-მეთქი — ვეკითხები ერთ-ერთ ძველ ფეხბურთელს, — ოოოო... ეგ დიდი კაცია, უამრავი ფეხბურთელის აღმზრდელი, დამსახურებული მწვრთნელი... მეგონა, იცნობდი ჯემალ გაბისონიას, იგი თავის დღედამოსწრება „ნორჩ დინამოელში“ მუშაობს. ნიჭიერი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ფეხის მძიმე ტრავმის გამო ველარ განაგრძო თამაში და, ძალაუნებურად, მწვრთნელობა არჩია, უკვე რახანია, ყმაწვილებს გადასცემს თავის გამოცდილებას... აგერ, ჩვენი გამომცემლობის დირექტორის ზაზა კახაძის მწვრთნელი ეგ იყო... გუცაევი, კეტაშვილი, დავით მუჯირი, გოჩა ტყებუჩავა და კიდევ რამდენი გინდა, მაგის მეთვალყურეობით გამოიწრთო, არ აკლია დამსახურება, რაც მთავარია, ღირსეული ქალაქელი კაცის სახელი...**

მერე და მერე დავუახლოვდით და დღეს, თავის კარიერაზე საუბრისას, ბატონი ჯემალი ყოველთვის დიდი სიყვარულით ახსენებს ხოლმე ქართული ფეხბურთის ლეგენდას გრიგოლ გაგუას, რომელმაც ბევრი რამ შეასწავლა, კარგ დღეებსაც იგონებს, მაგალითად, როგორ გახდა მისი ხელმძღვანელობით „ნორჩი დინამოელი“ თბილისის ჩემპიონი, როგორ ასახელა ბევრმა მისმა აღზრდილმა ქართული ფეხბურთი, საუბრობს დღევანდელი ჩვენი ფეხბურთის პრობლემებზე და სჯერა, რომ ქართული ნიჭი და შემართება კვლავაც გაიბრწყინებს საფეხბურთო მოედნებზე...

ამაგდარი კაცია ჯემალ გაბისონია, დღეს მას 65 წელი უსრულდება. ყველა თქვენი ოცნება ხომ ქართული ფეხბურთის წინსვლას უკავშირდება, ბატონ ჯემალ!... ჰოდა, მის აღმასვლას ერთად მოვსწრებოდეთ, დაბადების დღეს გილოცავთ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ფეხბურთი

# გერმანიას - იტალიის წინ

**კლაუს ტოპმიოლერის ფაქტორი და ნოდარ ახალკაცის გერმანული კავშირები საკმარისი აღმოჩნდა, რომ დადებითად გადაწყვეტილიყო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებთან საქართველოს ეროვნული ნაკრების ამხანაგური მატჩის გამართვის საკითხი. ბუნდესგუნდს „ჯვაროსნები“ 7 ოქტომბერს ყოფილ გდრ-ის ქალაქ როსტოკში შეხვდებიან, იმავე ღამეს სამშობლოში დაბრუნდებიან და 11 ოქტომბერს „ევრო-2008“-ის შესარჩევ ტურნირში იტალიელებს უმასპინძლებენ.**

რასაკვირველია, სახელოვანი მეტოქის წინააღმდეგ თუნდაც საწვრთნელი თამაში, სხვა გარემოებებზე რომ არაფერი ვთქვათ, პრესტიჟის საქმეა, მაგრამ საკითხავია, რამდენად მოესწრება ძალების აღდგენა არანაკლებ მრისხანე მოწინააღმდეგესთან ოფიციალური დუელის წინ. ვიმედოვნებთ, ქართული ფეხბურთის მამებს ყველაფერი განჭვრეტილი ექნებათ.

## უეფას თასი

# ამჯერად – „სევილია“

**როგორც ვივარაუდეთ, ლევან კობიაშვილის „შალკემ“ უპრობლემოდ გადალახა ბულგარული წინაღობა და უეფას თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე „სევილია“ იქნება.**

სოფიაში 3:1 გამარჯვების შემდეგ მირკო სლომკას გუნდს საკუთარ მოედანზე თავი არ მოუკლავს და „ლევსკის“ გულუხვად უმასპინძლა — 1:1. გოლები ლინკოლნმა და ანგელოვმა გაიტანეს.

რაც შეეხება ანდალუზიურ კლუბს, მას მორიგ ეტაპზე გასვლის საკითხი პირველი შეხვედრის შემდეგ ჰქონდა გადაჭრილი — 4:1, ამიტომ პეტერბურგის „პეტროვსკი პარკის“ ატალახებულ სარბიელზე „ზენიტს“ რეზერვისტებით ეწვია. ეს რომ გამართლებული ნაბიჯი იყო, შედეგმაც დაადასტურა — 1:1. მეტიც, ესპანელებს მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ ალვესმა პენალტი გაფლანგა.

სპორტულ გმირობას თუ უწოდებ კაცი იმას, რაც „მიდლსბრომ“ საკუთარ „რივერსაიდის“ სტადიონზე ჩაიდინა. მართლაც, როგორი საქმეა, შვეიცარიაში 0:2 წაგების შემდეგ სტუმრებს კვლავ დაწინაურების საშუალება მისცე, მაგრამ საბოლოოდ მაინც სასურველი ანგარიშით — 4:1 მოიგო და „ბაზელი“ ტურნირს გამოთიშო? გოლები: ვიდუკა (2ძ, ჰასელბანკი, მაკარონე. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელი და იტალიელი სნაიპერები მინდორზე შემცვლელებად შევიდნენ.

დაბოლოს, რუმინულმა დერბიმ გამარჯვებული ვერც ამჯერად გამოავლინა — 0:0 (პირველი მატჩი — 1:1ძ და „სტიაუას“ უპირატესობა „სტუმრად“ (ორივე ხომ ბუქარესტში ბინადრობსძ გატანილი გოლის გამო მიენიჭა. არადა, ბოლო წუთზე „რაპიდის“ ფორვარდმა დიკამ ბურთი სამი მეტრიდან ააცილა კარს.



## ჩოგბურთი

# საქართველო – სამხრეთ აფრიკა 1:1

**გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლეში გუშინ დაიწყო და ხვალ დამთავრდება დევისის თასის გათამაშება ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფის გუნდებს შორის. საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრები (ირაკლი ლაბაძე, ლადო ჩიხლაძე, გიორგი ჭანტურია, გიორგი ხრიკაძე, კაპიტანი გელა ელერდაშვილიძ სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს (ვესლი მუდი, იზაკ ფან დერ მერვე, ჯეფ კუცია, სტივენ მიჩელი, კაპიტანი ჯონლაფნი დე იაგერიძ მასპინძლობს.**



წილისყრით კორტზე პირველი ლაბაძე და მერვე გავიდნენ. ორთაბრძოლა მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა: ხან ერთი მეტოქე იყო წინ, ხან მეორე. საბოლოოდ ქართველმა ჩოგბურთელმა სძლია სამხრეთაფრიკელს 3:2 და თავის გუნდს პირველი ქულა მოუტანა.

წყვილებში უიმბლდონის შარშანდელი გამარჯვებულის — ვესლი მუდისა და ლადო ჩიხლაძის შეხვედრა მასპინძლის დამარცხებით დამთავრდა 2:3.

დღეს 14 საათზე წყვილთა პაექრობაში ლაბაძე და ჩიხლაძე მუდისა და კუციას წინააღმდეგ ითამაშებენ. ხვალ 13 საათიდან ლაბაძე — მუდი და ჩიხლაძე — მერვე გამოვლენ კორტზე.

**სურათზე: ირაკლი ლაბაძე**

## კალათბურთი

# სამი უცნობი



**ევროლიგის პირველი ნახევარფინალისტები მოსკოველი არმიელები გახდნენ. ცსკამ სტამბოლში საპასუხო მატჩიც მოუგო „ეფეს პილზენს“ — 75:71 და მეოთხედფინალურ სერიაში 2:0 გაიმარჯვა**. ოთხთა ფინალის სტარტზე, რომელსაც პრაღა უმასპინძლებს, რუსეთის ჩემპიონი „ბარსელონა“ — „რეალს“ შორის უძლიერესს შეხვდება. მას შემდეგ, რაც სამეფო კლუბმა შინ რევანში აიღო — 84:78, ესპანურ დუელში ანგარიში გათანაბრდა — 1:1. ანალოგიური ვითარებაა დანარჩენ წყვილებშიც: „მაქაბი“ — „ოლიმპიაკოსი“ და „პანათინაიკოსი“ — ტაუ. გადამწყვეტი შეხვედრები 12-13 აპრილს, II ჯგუფური რაუნდის შედეგების შესაბამისად, კატალონიაში, თელავივსა და ათენში გაიმართება.

## ჭადრაკი

# ქალებმა პოზიციები დათმეს



**ევროპის მოჭადრაკე ქალვაჟთა ინდივიდუალურ ჩემპიონატზე მესამე ტურის შედეგები ჩვენთვის მთლად სასარგებლო არ გამოდგა.** ლელა ჯავახიშვილმა თეთრი ფიგურებით წააგო პოლონელ იოანა დვორაკოვსკასთან, რომელმაც მეორე ტურში ნინო ხურციძე დაამარცხა. ასევე, თეთრებით დათმო პაექრობა სალომე მელიამ უკრაინელ მარია მეზიჩუკთან. სამი ტურის შემდეგ სწორედ პოლონელი და უკრაინელი უდგანან სათავეში გათამაშების ცხრილს უდანაკარგოდ.

ლიდერებს ქართველთაგან თითო ქულით ჩამორჩებიან ჯავახიშვილი, მელია, ქეთევან არახამია, ბელა ხოტენაშვილი (მესამე ტურში მან ფრანგ მარი სებაგს სძლიაძ, მაია ლომინეიშვილი და ანა გავაშელი.

ვაჟებში იყოჩაღა ბაადურ ჯობავამ, რომელმაც მესამე ტურში ფინელი დიდოსტატი ტომი ნიბაკი დაამარცხა და 2,5 ქულა მოაგროვა. წუხელ იგი 3 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურებულ ჰოლანდიელ ერვინ ლამის ხვდებოდა. 2,5:2,5 ქულა მოაგროვეს ზვიად იზორიამ და გიგა ყაჭეიშვილმა, რომლებიც, შესაბამისად, მოლდოველ დმიტრი სვეტუშკინსა და რუმინელ ალან ბერესკუს დაუზავდნენ.

## რაგბი

# ვენეცია მასპინძლობს

**საქართველოს 18 წლის მორაგბეთა ნაკრები ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე საასპარეზოდ იტალიას ესტუმრა.** ელიტური A ჯგუფის ბინადარი ბორჯღალოსნები პირველ ტურში შოტლანდიელებს შეხვდებიან. გამარჯვების შემთხვევაში ადგილს შეინარჩუნებენ უმაღლეს ეშელონში, საფრანგეთ-რუსეთის შორის უძლიერესთან 12 აპრილს ნახევარფინალურ პაექრობას გამართავენ. ფინალური ორთაბრძოლა 15 აპრილს არის დაგეგმილი.



## ხელბურთი

# ნახევარფინალში გავიდნენ

**ბოსნია-ჰერცეგოვინაში გრძელდება ხელბურთელ ქალთა ტურნირი („ჩელენჯ ტროფი“ძ. B ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა ინგლისის გუნდს მოუგო 33:14 და ნახევარფინალში გავიდა. მსგავს წარმატებას მიაღწიეს ფარერელმა გოგონებმა, რომლებმაც ალბანელებს 81:1 სძლიეს.**

მესამე ტურში ქართველებისა და კუნძულელების შეხვედრა გამოავლენს B ჯგუფის გამარჯვებულს, რომელიც ნახევარფინალში A ჯგუფის მეორეადგილოსანს შეხვდება.

## ორბიტაზეა

# კეთილი ნების ელჩი

**ჩვენი პლანეტის პირველი ჩოგბანოსანი, შვეიცარიელი როჯერ ფედერერი გახდა UNICEF-ის კეთილი ნების ელჩი, სახელოვანი ჩოგბურთელი დაადგა სპორტისა და კინოს ისეთი ვარსკვლავების გზას, როგორებიც არიან დევიდ ბექჰემი და ვანესა რედგრეივი, ისინი ხომ კარგა ხანია თავიანთ ყურადღებას და სახსრებს არ აკლებენ გაჭირვებულ ბავშვებს.**

„ეს ძალზე დიდი პატივია ჩემთვის, — განაცხადა შვეიცარიელმა, — მე ვამაყობ ამ ტრადიციის გაგრძელებით“.



# მეძავთა ომი

**ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი, ამ ზაფხულს გერმანიაში რომ უნდა გაიმართოს, ხელს შეუწყობს ქალებით ვაჭრობის გააქტიურებას, ამიტომაც შვედეთის ნაკრები არ შეიძლება, მონაწილეობდეს მსგავს ტურნირში, — ასე ფიქრობს არა ვიღაც, არამედ ამ ქვეყანაში თანასწორუფლებიანობის საკითხების რწმუნებული კლას ბორგსტრემი.**

როგორც ცნობილია, გერმანიაში კანონით ნებადართულია პროსტიტუცია და საროსკიპოები, ხოლო მომავალში ჩემპიონატი უფრო გაზრდის მათზე მოთხოვნილებას. და-



დის ხმები, რომ გერმანიაში სპეციალურად ჩემპიონატის დღეებისთვის „შემოიყვანენ“ 10-40 ათას ქალს. რამდენიმეც რომ შემოიყვანონ, მაინც დაუშვებელია, — წუხს ხსენებული ჩინოვნიკი.

შვედეთის სპორტული ჩინოვნიკები ენთუზიაზმით როდი შეხვდნენ თანასწორუფლებიანობის წარმომადგენლის წამოწყებას. ასე გამოვიდოდა მთელი ხალხის იმედის გაცრუება, თანაც, უეჭველია, ამის გამო ჩვენ აღარ დაგვიშვებენ შემდგომ შეჯიბრებებზე“, — განაცხადა შვედური ფეხბურთის თავკაცმა ლარს-ოკე ლაგრელმა.

მან იმის თქმაც კი გაბედა, რომ არც ერთი შვედი ფეხბურთელი საროსკიპოში არ წავაო, თუმც არ უთხოვია ცნობილ შვედი ფეხბურთელებითვის — ზლატან იბრაგიმოვიჩისა და ჰენრიკ ლარსონისთვის, საჯაროდ გაეკიცხათ პროსტიტუცია, როგორც სოციალური მოვლენა.

უძღვება გურამ ვაშაკიძე

გამოშვება მეთორმეტე



# დაფაზე – ულმობელი სიმართლე

## ყმაწვილთათვის და არა მარტო მათთვის

# ალიოხინი – პიროვნება და მოჭადრაკე

**ალიოხინის სატურნირო მიღწევების ცხრილი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს**

**კაპაბლანკა**

გაისად 80 წელი სრულდება ალიოხინისა და კაპაბლანკას მსოფლიო ჩემპიონობისთვის ისტორიული მატჩიდან. მათი ორთაბრძოლა დღემდე ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე თვალსაჩინო მოვლენად რჩება. ორი გიგანტი საკუთარი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ხანაში შეხვდა ერთმანეთს. უძლეველი ხოსე რაულ კაპაბლანკა – ფენომენალური ტექნიკით, რომელიც უფლებას აძლევდა მას გამოეთქვა ჰიპოთეზა ჭადრაკის „საყაიმო სიკვდილის" შესახებ და კომბინაციების დიდი ოსტატი ალექსანდრე ალიოხინი, თავისი უშრეტი ფანტაზიით რომ უარყოფდა ამ ჰიპოთეზას.

მატჩში აუცილებელი ექვსი მოგებით ალიოხინი გახდა ჭადრაკში არა მარტო მეოთხე მეფე, მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა ამ მეფური თამაშის ამოუწურავი შესაძლებლობებიც.

საინტერესოა, რომ ამ შეხვედრის პირველსავე ტურში მოხდა სენსაცია. ალიოხინმა, რომელმაც შავებით ფრანგულ დაცვას მიმართა, მეტოქის უზუსტობები გამოიყენა და 43-ე სვლაზე გაიმარჯვა (ეს ალიოხინის პირველი გამარჯვება იყო კაპაბლანკასთან). მართალია, კუბელი დიდოსტატი ათი პარტიის შემდეგ დაწინაურდა (+2,-1=7), მაგრამ ზედიზედ ორმა დამარცხებამ (პირველად საჭადრაკო არენაზე!) მე-11 და მე-12 პარტიებში, შემდეგ კი (რვა ყაიმის შემდეგ) კვლავ დამარცხებამ 21-ე შეხვედრაში, დააჩქარა კაპაბლანკას საბოლოო კრახი. 34-ე პარტია კი ბოლო აღმოჩნდა. ალიოხინმა გაიმარჯვა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა შედეგით +6,-3=25.

გთავაზობთ ამ ისტორიული მატჩის 21-ე შეხვედრის ცნობილ ფინალს.

კაპაბლანკა – ალიოხინი



26. ... კb2!

თავისებური და საოცარი კომბინაციის დასაწყისი. ირკვევა, რომ თეთრი ეტლი ამ უჯრაზე სრულებითაც ვერ გრძნობს თავს მოხერხებულად.

27. ეe1 ეd8 28. ab ab 29. h3 e5 30. ეb1 e4 31. მd4 კ:d4 32. ეd1 მ:e3!

ეფექტური საბოლოო დარტყმით. თეთრები დანებდნენ, რადგან 33. ლ:d5 ე:d5 34. ე:d4 ე:d4 35. fe ე:b4

* * *

1930 წელს იტალიის ქალაქ სან-რემოში გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონის ალექსანდრე ალიოხინის უმაღლესი სატურნირო მიღწევაა. თხუთმეტიდან მხოლოდ ორმა მეტოქემ, რომელთა შორის მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები იყვნენ, შეძლო მასთან ყაიმის გაკეთება. „ალიოხინი, როგორც ყვითელნისკარტა ბარტყებს, ისე მოგვექცა", – თქვა ტურნირის მეორე პრიზიორმა ნიმცოვიჩმა, რომელიც რუს დიდოსტატს მთელი სამნახევარი ქულით ჩამორჩა.

საერთოდ, მსოფლიო ჩემპიონი მეტოქე-კოლეგების მიმართ ყოველთვის ობიექტური და სამართლიანი იყო. იმავე სან-რემოს ტურნირზე ეიტსის გამარჯვებას ვიდმართან ალიოხინმა „ომისშემდგომ გათამაშებული ყველაზე მნიშვნელოვანი პარტია" უწოდა. ეს ის ვიდმარია, ვისთანაც ალიოხინმა 1923 წელს კარლსბადის ტურნირზე პარტია წააგო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, მეტოქის გამარჯვება მოენათლა ეპითეტით – „დიდებული".

როგორც ცნობილია, 1937 წელს ალიოხინმა მატჩ-რევანშში გაანადგურა ეივე, მაგრამ მათი მეცხრამეტე პარტიის ეივეს 35-ე სვლაზე, ალიოხინმა, როგორც მას სჩვეოდა, გულახდილად თქვა: „სვლა, რომელსაც ძალიან ცოტა ოსტატი თუ მოძებნიდა".

ალიოხინისა და კაპაბლანკას ურთიერთობა 1927 წლის ბუენოს-აირესის „საუკუნის მატჩის" შემდეგ, სამწუხაროდ, გაფუჭდა. იტყვიან ხოლმე: შავმა კატამ გაირბინაო (ასეთი რამ მარტო მოჭადრაკეებს შორის როდი ხდება). მაგრამ როდესაც კაპაბლანკა გარდაიცვალა, მის სიკვდილს ალიოხინი გულწრფელი მწუხარების სიტყვებით გამოეხმაურა: „.... და, მაინც, კაპაბლანკა ძალიან ადრე გამოაკლდა საჭადრაკო სამყაროს. მისი სიკვდილით დავკარგეთ უდიდესი საჭადრაკო გენია, რომლის ბადალსაც ჩვენ ვერასოდეს ვეღარ ვიხილავთ".

ალიოხინის საჭადრაკო ბიოგრაფიაში ხშირად შეხვდებით ასეთ შეფასებებს. მისთვის მოჭადრაკეთა რანგს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. იგი ყურადღებით, კეთილმოსურნედ ადევნებდა თვალს თავისი ევროპელი თუ ამერიკელი კოლეგების შემოქმედებით მიღწევებს. ამ რამდენიმე წლის წინ ერთ გერმანულ საჭადრაკო ჟურნალში მიაკვლიეს 1930 წელს გერმანიის მოჭადრაკეთა კავშირის კონგრესის არაძირითადი ტურნირის ორი ნაკლებად ცნობილი მოჭადრაკის პარტიას, რომელიც ალიოხინს ძლიერ მოსწონებია და წერილიც გამოუქვეყნებია ჟურნალში სათაურით – „კომბინაციური ხელოვნების მარგალიტი".

დიდი მოჭადრაკეებისგან ჩვენ მარტო ჭადრაკის თამაშს როდის ვსწავლობთ, – სამართლიანობასაც, კაცობასაც, ურთიერთპატივისცემასაც. უამთვისებებოდ ცხოვრებაში პიროვნებად ვერ ჩამოვყალიბდებით.

ნებისმიერი მოჭადრაკისთვის სასიამოვნოა ასეთი სიტყვების მოსმენა: „ალიოხინისებური კომბინაცია", „ალიოხინის სტილშია ნათამაშები"...

ეჭვგარეშეა, ალიოხინი ჭადრაკის ისტორიაში კომბინაციების უდიდესი ოსტატია. მის მემკვიდრეობაში შეგვიძლია ვიპოვოთ კომბინაცია ნებისმიერ საჭადრაკო თემაზე. აი, რამდენიმე მაგალითი ალიოხინის შემოქმედებიდან. თემა: „გამსვლელი პაიკი".

ეს პოზიცია ბოგოლიუბოვ-ალიოხინის პარტიიდანაა (ჰასტინგსი, 1922). მას, ისევე, როგორც ბადენ-ბადენში 1925 წელს რეტისთან ნათამაშებ პარტიას, ალიოხინი თავისი საჭადრაკო კარიერის საუკეთესო ნიმუშებად თვლიდა და მხოლოდ იმაზე სწყდებოდა გული, რომ ტურნირში, სადაც ეს პარტია გათამაშდა, არ იყო დაწესებული – „პრიზი სილამაზისთვის".



თეთრი ფიგურების უხეირო განლაგება საშუალებას აძლევს ალიოხინს, განახორციელოს განსაცვიფრებელი კომბინაცია.

1. ... b4 2. ე:a8 bc!

ხომ მოულოდნელი სვლაა? დაფაზე ასეთი უჩვეულო სვლებისთვის მიგნება დიდი ხელოვნებაა.

3. ე:e8 c2!! („კომბინაციის მარილი" ა. ალიოხინი).

აი, თურმე, რაშია საქმე! შავები ორივე ეტლს სწირავენ, მაგრამ მათი სუსტი და უღონო პაიკი არა მარტო დედოფალი ხდება, ვითარების ბატონ-პატრონიც.

4. ე:f8+ მფh7 5. მf2 c1ლ 6. მf1 მe1!

მატერიალური ძალები დაახლოებით თანაბარია, მაგრამ გამარჯვება მოაქვს შავი ფიგურების ჰარმონიულ განლაგებას.

7. ეh2 ლ:c4 8. ეb8 კb5 9. ე:b5 ლ:b5

და რამდენიმე სვლაში თეთრები დანებდნენ.

საინტერესოა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ალიოხინმა იმავე პარტნიორთან იმავე თემაზე კვლავ კომბინაცია განახორციელა.



ძნელად თუ დაიჯერებს ვინმე, რომ პაიკი f5 დედოფლად გამოგვეცხადება. არადა, სწორედ ასე მოხდა (ალიოხინი – ბოგოლიუბოვი, მატჩი მსოფლიო პირველობაზე, გერმანია, 1934).

1. ე:e7+ ე:e7 2. კb4 მფf7 3. კ:e7 მფ:e7 4. ეc7+ ეd7 5. f6+ მფe8 6. კg6+ მფd8 7. f7! მფ:c7 8. f8ლ f3 9. ლ:b4 ეd6 10. კd3

შავები დანებდნენ.

ეს პოზიცია უთუოდ დაგაინტერესებთ. თეთრების უპირატესობა აშკარაა. შავი მხედარი უმოძრაოდაა, კუ – დაბმულია. ეს საშუალებას აძლევს ალიოხინს, ათსვლიანი კომბინაცია წამოიწყოს.



1. c5! bc 2. b6! ეc8 3. ლc3! ეe8

ლაზიერის აყვანა არ შეიძლება, რადგან 4. ე:e7+ და 5. bc

4. კ:e5 de 5. ლ:e5!! ლ:e5 6. ე:e5 ე:e5 7. ე:c7+ ე:c7 8. bc ეe8 9. cbლ ე:b8

შავებმა შვებით ამოისუნთქეს. მათ მატერიალური უპირატესობაც კი აქვთ – ეტლი კუში. თუ ახლა c6 პაიკის შეჩერებაც შეძლეს, თეთრები კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. მაგრამ ალიოხინმა მოამზადა სიურპრიზი, რომელიც აგვირგვინებს თეთრების კომბინაციას.

10. კe6! თეთრებმა მოიგეს – c6 პაიკში შავები იძულებული არიან დათმონ ეტლი.

ყველაზე საოცარი ამ კომბინაციაში ის არის, რომ ალიოხინმა იგი განახორციელა ერთდროული თამაშის სეანსში ოც მოწინააღმდეგესთან. ასევე აუცილებელია იმისი თქმაც, რომ რუსი დიდოსტატი სეანსს დაფაზე დაუხედავად ატარებდა.

ალიოხინი – მინტენო

(სეანსიდან ჰოლანდიაში, 1933)

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 d6 4. d4 ed 5. ლ:d4 კd7 6. კ:c6 კ:c6 7. მc3 მf6 8. კg5 კe7 9. 0-0-0 0-0 10. h4 h6 11. მd5! hg?

შეწირვის მიღებას, როგორც ალიოხინმა ბრწყინვალედ დაამტკიცა, წაგებისკენ მივყავართ. უკეთესი იყო 11. ... მ:d5

12. მ:e7+ ! ლ:e7 13. hg მ:e4 14. ეh5 ლe6 15. ეh1 f5



16. მe5!!

საოცრად ლამაზი და ძლიერი სვლა.

16. ... de

შავებს არჩევანი არა აქვთ. 16. ... ლ:e5 მოჰყვებოდა 17. ლ:e5 de 18. g6

17. g6!

მხოლოდ ახლა გაცხადდა მსოფლიო ჩემპიონის გენიალური ჩანაფიქრი. მხედრის შეწირვით თეთრებმა d პაიკს a2-g8 დიაგონალის დაცვის საშუალება მოუსპეს. ახლა 17. ... ლ:g6 მოჰყვება 18. ლc4+ გამოუვალი შამათით.

ალიოხინი – ემ. ლასკერი

(ციურიხი, 1934)

1. d4 d5 2. c4 e6 3. მc3 მf6 4. მf3 კe7 5. კg5 მbd7 6. e3 0-0 7. ეc1 c6 8. კd3 dc 9. კ:c4 მd5 10. კ:e7 ლ:e7 11. მe4 მ5f6 12. მg3 e5 13. 0-0 ed 14. მf5 ლd8 15. მ3:d4 მe5 16. კb3 კ:f5 17. მ:f5 ლb6?

შეცდომა, რომლის შემდეგ შავები მძიმე მდგომარეობაში ვარდებიან.

18. ლd6! მed7

ცუდია 18. ... მg6 19. მh6+! gh 20. ლ:f6

19. ეfd1 ეad8 20. ლg3 g6 21. ლg5

მუქარაა 22. ეd6!

21. ... მფh8 22. მd6 მფg7 23. e4! მg8 24. ეd3!

ეტლის იერიშში ჩართვა პარტიის დასასრულს აახლოებს.

24. ... f6 25. მf5+ მფh8



26. ლ:g6!!

ბრწყინვალე ფინალია. ახლა თუ შავები ითამაშებენ 26. ..., hg მაშინ 27. ეh3+ შამათით.

შავები დანებდნენ.

გრიუნფელდი – ალიოხინი

კარლსბადი, 1923

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 d5 4. კg5 კe7 5. მf3 მbd7 6. e3 0-0 7. ეc1 c6 8. ლc2 a6! 9. a3 h6 10. კh4 ეe8 11. კd3 dc 12. კ:c4 b5 13. კa2 c5 14. ეd1 cd 15. მ:d4 ლb6 16. კb1 კb7! 17. 0-0 ეac8 18. ლd2 მe5 19. კ:f6 კ:f6 20. ლc2 g6 21. ლe2 მc4 22. კe4!

შავებისთვის მდგომარეობის გართულება თეთრების სტრატეგიული ამოცანაა.

22. ... კg7! 23. კ:b7 ლ:b7 24. ეc1 e5! 25. მb3 e4 26. მd4 ეed8 27. ეfd1 მe5 28. მa2

ეს სვლა წაგებას აჩქარებს.

28. ... მd3 29. ე:c8 ლ:c8 30. f3



30. ... ე:d4! 31. fe მf4 32. ef ლc4!! 33. ლ:c4 ე:d1+ ! 34. ლf1 კd4+ და შამათი მომდევნო სვლაზე.

პარტიამ სილამაზის პრიზი მიიღო.

ალიოხინი – რუბინშტეინი

კარლსბადი, 1923

1. d4 d5 2. c4 e6 3. მf3 მf6 4. მc3 კe7 5. კg5 მbd7 6. e3 0-0 7. ეc1 c6 8. ლc2 a6 9. a4 ეe8 10. კd3 dc 11. კ:c4 მd5 12. კf4! მ:f4 13. ef c5 14. dc ლc7 15. 0-0! ლ:f4 16. მe4! მ:c5 17. მ:c5 კ:c5 18. კd3 b6 19. კ:h7+ მფh8

ალიოხინის აზრით, ეს გადამწყვეტი შეცდომაა.

20. კe4 ეa7 21. b4! კf8 22. ლc6 ეd7 23. g3! ლb8 24. მg5 ე8d8



25. კg6!! ლe5 26. მ:f7+ ე:f7 27. კ:f7 ლf5 28. ეfd1! ე:d1+ 29. ე:d1 ლ:f7 30. ლ:c8 მფh7 31. ლ:a6 ლf3 32. ლd3+!

შავები დანებდნენ.

ეს პარტია, ისევე როგორც ალიოხინის სხვა შემოქმედებითი მიღწევები, სილამაზის პრიზით აღინიშნა.

ალიოხინი – დრიუტი

(პორტსმუტი, 1923)

1. მf3 d5 2. b4 e6 3. კb2 მf6 4. a3 c5 5. bc კ:c5 6. e3 0-0 7. c4 მc6 8. d4 კb6 9. მbd2 ლe7 10. კd3 ეd8 11. 0-0 კd7 12. მe5! კe8 13. f4 ეc8 14. ეc1 მd7

პასიური სვლაა. თუმცა უკვე ძნელია შავებმა რაიმე კონტრთამაში შექმნან.

15. მ:c6! ე:c6?

შეცდომაა. უფრო ძლიერია 15. ... bc 16. c5 კc7, თუმცა მაშინაც უპირატესობა თეთრების მხარეზე იქნებოდა.

16. c5 მ:c5

ბრძოლის გართულების მიზნით. ასევე უიმედოა 16. ... კc7 17. კb5 ან 16. ... კa5 17. მb3 b6 18. მ:a5 ba 19. კc3

17. dc კ:c5 18. ეf3 კ:a3 19. ე:c6 კ:c6

შავებმა თითქოს მატერიალური თანაფარდობა აღადგინეს, მაგრამ თეთრები კომბინაციას იწყებენ.



20. კ:h7+ მფ:h7 21. ეh3+ მფg8 22. კ:g7!!

შავები დანებდნენ. შამათისკენ მივყავართ 22. ... მფ:g7 23. ლg4+; 22. ... f6 კი მოჰყვებოდა 23. კh6! ლh7 24. ლh5! კf8 (24. ... +კe8 25. ეg3+ მფh8 26. კg7+ მფg8 27. კ:f6+ 25. ლg4+ და 26. კ:f8.

ალიოხინი – მარშალი

(ნიუ-იორკი, 1927)

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 მe4?

უხეირო სვლაა. სიძნელეებს უქმნის შავებს.

4. მfd2 კb4 5. ლc2 d5 6. მc3 f5 7. მd:e4 fe 8. კf4 0-0 9. e3 c6 10. კe2 მd7 11. a3 კe7 12. 0-0 კg5 13. g3! კ:f4 14. ef ე:f4 15. fe ე:f1+ 16. ე:f1 e5

ძნელ მდგომარეობაში მყოფი შავები ცდილობენ მაქსიმალურად გაამწვავონ ბრძოლა.

17. ლd2!

მრავალსვლიანი მოხდენილი კომბინაციის დასაწყისი ფიგურის შეწირვით.

17. ... c5 18. de d4 19. ლf4 dc 20. ლf7+ მფh8 21. bc!

მატერიალური უპირატესობის მიუხედავად შავებს არ ძალუძთ დაიცვან თავი მრავალრიცხოვანი მუქარებისგან. ამის მიზეზი მათი ფიგურების უაღრესად უხეირო განლაგებაა.

21. ... ლg8 22. ლe7 h6 23. კh5 a5

უცბად აგებდა 23. ... ლ:c4 რადგან 24. კf7

24. e6 g6

ან 24. ... მf6 25. კf7 ლh7 26. ე:f6

25, ed კ:d7 26. ეf7

შავები დანებდნენ.

**ითამაშეთ ჭადრაკი!**

**როცა ასეთი სიყვარულია**

# საოპერო სტუდიის მუსიკალური მარათონი

**ასე შეიძლება განვსაზღვროთ კონსერვატორიის საოპერო სტუდიის მართლაც რომ გასაკვირი შემოქმედებითი აღმაფრენა, რომლის მოწმენიც ახლახან გახდნენ ჩვენი მუსიკის მოყვარულები: ორი კვირის მანძილზე მათ მოისმინეს 7 „სრულმეტრაჟიანი“ საოპერო სპექტაკლი სტუდენტ-მომღერალთა რამდენიმე შემადგენლობით: მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა“ (ორგზის), ფალიაშვილის „დაისი“, ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“ (სამგზის), პერგოლეზის „მსახური-ქალბატონი“, მოცარტის „ბასტიენი და ბასტიენა“, ვერდის „რიგოლეტო“ (მე-4 მოქმედება), თანაც, ყველა — მაღალ საშემსრულებლო დონეზე!**

რომელი საოპერო თეატრი არ შენატრებს ასეთ შემოქმედებით ნაყოფიერებას?

თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდიის მორიგი ჩინებული წარმატება შედეგია იმ მაღალპროფესიული და ინტენსიური პედაგოგიური მუშაობისა, რომელსაც წლების მანძილზე დიდი სიყვარულით და საქმის ცოდნით ეწევიან სოლო სიმღერისა და საოპერო მომზადების კათედრები და მათი ხელმძღვანელები — გამოჩენილი მომღერალი, პროფესორი ნოდარ ანდღულაძე და ცნობილი დირიჟორი, პროფესორი რევაზ ტაკიძე.

ზემოთქმულთან, ცხადია, პირდაპირ კავშირშია უკვე მრავალგზის აღნიშნული, ჩვენთვის ფრიად სასიამოვნო და საგულისხმო ფაქტი: მსოფლიოს მრავალ საოპერო სცენაზე წარმატებით მოღვაწეობენ ახალგაზრდა ქართველი მომღერლები (რომელი ერთი დავასახელოთ: პ. ბურჭულაძე, ბ. მაისურაძე, ლ. ათანელიშვილი, ი. ალიბეგაშვილი, ნ. სურგულაძე, თ. ჯავახიშვილი და კიდევ ბევრი სხვა). გასული შემოდგომით ბაქოში ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსზე გამარჯვებულთა ხუთეულში ოთხი (!) ახალგაზრდა ქართველი მომღერალი მოხვდა...

ახლა კი საოპერო სტუდიის უკანასკნელი სპექტაკლების შესახებ.





მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“, რომელიც სტუდიის სცენაზე რამდენიმე წლის წინათ დაიდგა (დირიჟორი — რ. ტაკიძე, რეჟისორი — მაია გაჩეჩილაძე), ამჯერად სავსებით განახლებული — თანაც, ორმაგი სტუდენტური შემადგენლობით ვიხილეთ. გამოცდილმა რ. ტაკიძემ მუსიკალური სპექტაკლის ყველა კომპონენტი მწყობრ ერთიანობაში წარმოადგინა და გასაქანი მისცა ახალგაზრდებს თავიანთი საშემსრულებლო ოსტატობის გამოსავლენად. მათაც, როგორც იტყვიან, არ დააყოვნეს.

ღამის დედოფლის რთული პარტია წარმატებით შეასრულეს რუსუდან ბარბაქაძემ და სოფიო კაკულიამ. ნამდვილი აღმოჩენა იყო ბევრისთვის მეორეკურსელი, მრავალი საშური თვისებით გამორჩეული მარიამ ტურაშვილი (პამინა). ამავე როლს მშვენივრად ასრულებდა ჩვენი „ავსტრიელი რძალი“ — სიმპათიური ივონ მანფრედა. გამონაკლისს არც ტამინოს როლის შემსრულებლები შეადგენდნენ: კულტურული მომღერალი გარი საფარიანი და ლამაზი ხმის (ტენორი) მფლობელი მიხეილ შეშაბერიძე. იგივე ითქმის ბრძენი ზარასტროს პარტიის (ბანი) შემსრულებლებზე: დათო ჭყონიასა და დიმიტრი ფხალაძეზე, ვოკალური და სამსახიობო ნიჭითაა დაჯილდოებული გოჩა აბულაძე (პაპაგენო), აღვნიშნოთ აგრეთვე ქეთინო ხომერიკი და მზია ზღაპარაძე (პაპაგენა), ომარ ჯოხაძე (მონოსტატოსი)...

„საოპერო მარათონი“ დაამშვენა ზ. ფალიაშვილის „დაისმა“, რომელიც ასე სანატრელი გაუხდა ქართველ მსმენელს. სცენაზე ვიხილეთ მთავარი როლების შემსრულებლები, ჭეშმარიტად ბრწყინვალე სამეული: ზემოთ უკვე ნახსენები მეორეკურსელი (!) მარიამ ტურაშვილი (მარო), ძალზე ლამაზი, ძლიერი ხმის მფლობელი არმაზ დარაშვილი (მალხაზი) ბაქოს კონკურსის ლაურეატი მამუკა ლომიძე (კიაზო). სამივეს, დარწმუნებული ვარ, ჩინებული მომავალი ელის.

აღვნიშნავ სხვა როლების შემსრულებლებსაც: თინათინ ნებუნიშვილი (ნანო), ომარ ჯოხაძე (ტიტო), დათო ჭყონია (ცანგალა), რომლებიც გვერდს უმშვენებდნენ მთავარ გმირებს და მათთან ერთად ბუნებრივ და ცოცხალ ანსამბლს ქმნიდნენ.

როგორც მუდამ, ოსტატურად უძღვებოდა ორკესტრს რ. ტაკიძე, მშვენივრად ჟღერდა გუნდი (ქორმაისტერი მიხეილ ედიშერაშვილი).

მოკლედ, ეს იყო სპექტაკლი, რომელიც დაამშვენებდა ნებისმიერი თეატრის სცენას (რეჟისორი გ. გაჩეჩილაძე).

საპრემიერო სპექტაკლი გახლდათ ჩაიკოვსკის კლასიკური ქმნილება „ევგენი ონეგინი“, რომელიც აგრეთვე ძალიან მოგვანატრა ჩვენმა ოპერის თეატრმა.

სადირიჟორო პულტთან საკმაო პაუზის შემდეგ კვლავ ვიხილეთ ნიჭიერი მუსიკოსი ავთანდილ მამაცაშვილი, რამაც ძალიან გაგვახარა. იგი ტემპერამენტულად და პროფესიულად წაუძღვა სპექტაკლს, რითაც განაპირობა მისი წარმატება.

ახალგაზრდა ნიჭიერმა რეჟისორმა ზაზა აღლაძემ პატარა სცენის შეზღუდულ პირობებში დადგა ფრიად მრავალპლანიანი, დინამიკური, ლოგიკურად გააზრებული სპექტაკლი. კვლავ მწყობრად ჟღერდა მ. ედიშერაშვილის მიერ მომზადებული გუნდი. აღვნიშნოთ აგრეთვე სცენოგრაფის (შ. ცხოვრებაძე), ქორეოგრაფის (ვ. ბახტაძე), კონცერტმაისტერების (მ. გველესიანი, ე. კისელიოვა, ა. ჩოჩიევა) კარგი ნამუშევარი.

ამ სპექტაკლმაც გვასიამოვნა ახალგაზრდული ხმების სიმრავლით. პირველ რიგში, ეს ითქმის ტატიანას როლის შემსრულებლებზე. ნატალია ბოგდანოვა ძალზე კულტურული მომღერალია, სასიამოვნო ტემბრის ხმით. მეორეკურსელი მარიკა გულორდავას სახელს, დარწმუნებული ვარ, მომავალში ხშირად გავიგონებთ, რისი საწინდარიცაა მისი ჩინებული ვოკალური და მუსიკალური მონაცემები. ვფიქრობ, კარგი მომავალი ელის ლენსკის როლის შემსრულებელსაც — ასევე მეორეკურსელ უშანგ აბულაძეს. ამავე პარტიას კარგად ასრულებდა თეიმურაზ ფარულავაც.

ევგენი ონეგინის პარტიაში ვიხილეთ სტუდენტი გიორგი დარბაიძე და სტუდიის სოლისტი ზაზა ხელაია, რომლებმაც კარგად გაართვეს თავი რთულ ამოცანას. სასიამოვნო ტემბრის ხმასა და არტისტულ გარეგნობას ფლობს დ. ფხალაძე (გრემინი).

აღვნიშნოთ სხვა პარტიების შემსრულებლებიც: ეკა გაბიტაშვილი და თათია ჯიბლაძე (ოლგა), სოფიო გოგიჩაიშვილი და ანიტა რაჭველიშვილი (ლარინა), მაია ბებოშვილი და ნატალია კიკნაძე (ძიძა), გიორგი ალექსანდრია (ტრიკე), ზურაბ რობაქიძე (ზარეცკი), ლერი ჯაფარიძე (ასეულის მეთაური).

„საოპერო მარათონი“ ღირსეულად დააგვირგვინა ერთ საღამოს წარმოდგენილმა: პერგოლეზის „მსახურ-ქალბატონმა“ (ისტორიაში პირველი ოპერა-ბუფა. 1733), 12 წლის ვუნდერკინდის მოცარტის „ბასტიენ და ბასტიენამ“ და ვერდის „რიგოლეტომ“ (მე-4 აქტი) (სამივეს რეჟისორია მაია გაჩეჩილაძე).

პირველ ორს დირიჟორობდა გამოცდილი თამაზ ჯაფარიძე, მესამეს — რ. ტაკიძე. „მსახურ-ქალბატონში“ სულ სამი მოქმედი პირია: სერპინა (მ. ზღაპარაძე), უმბერტო (ზ. ხელაია) და ვესპონე (არჩილ გოგიტიძე). ყველანი ქების ღირსნი არიან, ისევე როგორც მოცარტის ოპერის შემსრულებლები: ნათია ჩოლოგაური (ბასტიენა), მ. შეშაბერიძე (ბასტიენი), ნიჭიერი მომღერალი და კომიკური მსახიობი ზ. ხელაია (კოლასი).

საოპერო სტუდიის „დეკადების“ ტრადიციული ეფექტური „გვირგვინია“ ვერდის „რიგოლეტოს“ გენიალური მე-4 აქტი, რომელიც, ისევე როგორც ზემოხსენებული ოპერებიც, მთლიანად განახლებული შემადგენლობით იქნა წარმოდგენილი. ერთი მეორეზე უკეთესები იყვნენ ძლიერი ელვარე ტემბრის ტენორი — ვეფხია წიკლაური, ირინა ბორისოვა (ჯილდა), მომხიბლავი ეკა გაბიტაშვილი (მადალენა), პირქუში გოჩა დათუსანი (სპარაფუჩილე). ნამდვილ აღმოჩენად კი მოგვევლინა დებიუტანტი ვახტანგ ჯაშიაშვილი (რიგოლეტო), რომლის ხავერდოვანმა ბარიტონმა მოხიბლა მსმენელები.

ასეთი იყო ეს შესანიშნავი საოპერო მარათონი, რომელმაც განცდილ ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ქართული ვოკალური ხელოვნების საიმედო მომავალში.

Vivat, ჩვენი კონსერვატორიის საოპერო სტუდიას!

**გულბათ ტორაძე**

**სურათებზე: სცენები ოპერებიდან „ჯადოსნური ფლეიტა“ და „ევგენი ონეგინი“.**


## განცხადება

სს „ქუთაისის საავიაციო-ტექნიკური ქარხანა“ აცხადებს ღია აუქციონს ორმოტორიანი ოთხადგილიანი ექსპერიმენტული თვითმფრინავის „მერკური 002“ რეალიზაციაზე

*თვითმფრინავის ტექნიკური მახასიათებლები:*

ძრავის ტიპ-M332-B (ჩეხეთი) ძრავების კალენდარული რესურსის ვადა — 2 წელი.

თვითმფრინავის საფრენოსნო გამოცდების დასრულებისა და მისი შემდგომი ექსპლუატაციის საკითხები წინასწარ შეთანხმებულია მის დამუშავებელთან — რუსეთის საავიაციო ფირმა „ავიატინთან“.

საწყისი ფასი — 140000 აშშ დოლარი, ბიჯი ფასის 5 პროცენტი.

აუქციონი გაიმართება 2006 წ. 25 აპრილს, დღის 12 საათზე სს „ქუთაისის საავიაციო ტექნიკურ ქარხანაში“. მისამართი: ჟიული შარტავას №2-ში. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2006 წ. 24 აპრილის 17 საათი.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ ადმინისტრაციას ტელ: 8231 7-52-54.

## შეტყობინება

სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებლის“ აქციონერთა საერთო კრების ჩატარებისათვის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2006 წლის 21 აპრილი.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:

— ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, რომლებიც რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2006 წლის 21 აპრილის მდგომარეობით და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაზე თავისი მონაწილეობის უფლება დამოუკიდებელ რეგისტრატორთან — „ეროვნული რეესტრი“, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №74, მე-9 სართული.

ტელ: 29-20-03, 29-91-30.

**ს ს „ბოლნისიგაზი“ გაცნობებთ, რომ 2006 წლის 5 მაისს, დღის 15 საათზე შედგება საზოგადოების აქციონერთა მორიგი კრება, დღის წესრიგით:**

1. 2005 წლის წლიური ანგარიში (მომხსენებელი — საზოგადოების დირექტორი);
2. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში 2005 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (მომხსენებელი — საბჭოს თავმჯდომარე);
3. 2006 წლის აუდიტის არჩევა.
4. სხვადასხვა.

საზოგადოების აქციონერთა კრება შედგება მისამართზე:

ქ. ბოლნისი, წმინდა ნინოს ქ. №36, ს ს „ბოლნისიგაზის“ ადმინისტრაციის შენობაში.

**სს „ბოლნისიგაზის“ ადმინისტრაცია.**

შპს „ჯესკო“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ყიფშიძის ქ. 7. ტელ: 914820/21.


**სიახლე**

## შვედური მაღაზიები გაიხსნება

ავეჯის მწარმოებელი ცნობილი შვედური კომპანია „იკეა“ თბილისში საფირმო მაღაზიების გახსნას აპირებს, რისთვისაც დედაქალაქის მთავრობას მიწის ნაკვეთების გამოყოფას სთხოვს.

შვედური პროდუქციის ქართულ ბაზარზე რეალიზებას „იკეას“ შვილობილი თურქული ფირმა განახორციელებს. სწორედ ამ ფირმის წარმომადგენლები აწარმოებენ მოლაპარაკებებს თბილისის მთავრობასთან.

თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ „იკეას“ თბილისის წარმომადგენლობა ერთადერთი იქნება სამხრეთ კავკასიაში. ამ დროისთვის მერია თურქულ ფირმას მაღაზიების განსათავსებლად ყოფილი სამხედრო ბაზების ტერიტორიებს სთავაზობს.

ჯი-ეიჩ-ენი


## განცხადება

სს „ფეიქარი-95“-ის აქციონერთა საყურადღებოდ:

2006 წლის 28 აპრილს 16 საათზე ტარდება სს „ფეიქარი-95“-ის აქციონერთა კრება.

დღის წესრიგი:

1. სააქციო საზოგადოება „ფეიქარი-95“-ის წლიური ანგარიშების და სამეურნეო საქმიანობის განხილვა.
2. საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანის შესახებ.
3. სხვადასხვა.

კრება ჩატარდება ქ. თბილისში, მიტ. ლაღიძის ქ. №21-ში.

სამეთვალყურეო საბჭო და ადმინისტრაცია.

# გვემრავლოს!

## ხარება დღეს დაიბადა მშობელთ გამხარებელი



**ხარების** ბრწყინვალე დღესასწაულმა ორმაგი სიხარული მოგვგვარა ქორიძეების ოჯახსა და ჩვენს რედაქციას: ჩვენს კოლეგას, კომპიუტერული ცენტრის ხელმძღვანელს კახა ქორიძესა და მის მშვენიერ მეუღლეს ლალი პეტრიდის ქალიშვილი შეეძინათ. ხარება დღეს ღვთისგან ბოძებული პაწაწინა ახალგაზრდა ოჯახში მეორე სიხარულია – დას სულმოუთქმელად ელის სახლში პატარა სანდრო.

ვულოცავთ კახასა და ლალის ამ დიდ სიხარულს. ხარების მადლი ჰფარავდეს მათ ოჯახს, პირადად ახალშობილს, რომლის პირველ ფოტოსაც დღეს გთავაზობთ!

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.**

## ⊙ ახალი ფოლკლორი

# დამესიზმრა პარლამენტი...

მე შაირი არ მინდოდა,
თქვენ ამტეხეთ მალადა,
მუქთა ბორშჩით ამოგივსეთ
სასურსათო კალათა.

* * *

მერე ისევ დავჯექი და
საშაირო ლექსი ვწერე,
დეპუტატებს კანონები
წავაკითხე ჭამის მერე.

* * *

დამესიზმრა პარლამენტი,
ზოგი ცისფერ, ზოგი — მწვანე,
და ხისთავა კაციც ვნახე,
კირკიტაძეს მივამგვანე.

* * *

ღმერთმა იცის, არ მინდოდა,
დიდი ცოდვა თავზე ვიდე,
დავითაშვილს ბოკერია
მამასისხლად გადავკიდე.

* * *

თავში ტვინი ამერია,
როგორ ამერია მერე.
ორბელიანის სიტყვები
სულმნათ შოთას მივაწერე.

* * *

ამიტომაც ნურვინ მიწყენთ,
თქვენთვის მოძღვნილ ბალადას...
მე შაირი არ მინდოდა,
თქვენ ამტეხეთ მალადა.

**ჭაბუკა ქილიკაური**

## ⊙ ანეკდოტები

ორი გოგო ძლივს სუნთქავს ხალხით გავსებულ ლიფტის კაბინაში.

— ჩემს უკან ვინ დგას? — ჩურჩულით ეკითხება ერთი მეორეს.



— ახალგაზრდა მამაკაცი.

— ახალგაზრდა რომ არის, მეც ვგრძნობ... შენ ის მითხარი, შესახედავად ვარგა?

* * *

კვდება ტიპი საავადმყოფოში.

— რას ისურვებდით სიკვდილის წინ? — ეკითხებიან.

— მინდა, რომ ჩემი მკურნალი ექიმი მოვიდეს და თავად დარწმუნდეს, რაოდენ ცდებოდა, როდესაც მეუბნებოდა, „ამით ჯერ არავინ მომკვდარაო“.

* * *

— ექიმო, დამეხმარეთ, სასწრაფოდ უნდა დავიკლო წონაში!

— მაშინ ახალ ეფექტურ დიეტას დაგინიშნავთ — დღეში სამჯერ — დილით, შუადღით და საღამოს უნდა ჩააბაროთ სისხლის ანალიზი.

— მაგრამ სისხლის ანალიზის ჩაბარების წინ ხომ არაფრის ჭამა არ შეიძლება!

— სწორედ ეს არის ამ ახალი დიეტის მთელი არსი!

* * *

სასამართლოში გაუპატიურების საქმეს განიხილავენ.

— ბრალდებულო, რად გააუპატიურეთ დაზარალებული?

— ზედმეტად აჩმახებდა და იმიტომ.

— მეორედ რად გამოიყენეთ ძალა?

— მეორედაც ზედმეტი გაჩმახების გამო გავაუპატიურე.

— კი მაგრამ მესამედ?

— თქვენო ღირსებავ, ჩემი აზრით, ახლა თქვენც ზედმეტს აჩმახებთ...

* * *

— რა აზრის გამომხატველია რუსეთის გერბი — ორთავიანი არწივი?

— მათგან ყოველი თავი ფიქრობს, რომ მის ნაცვლად მეორე ფიქრობს.

## ⊙ ლარის კურსი

### 8 აპრილიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2029 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8250 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2441 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0663 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 2,0086 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,6066 ლარი. |
| თურქული ლირა | 1 | 1,3676 ლარი. |
| ირანული რიალი | 1000 | 0,1998 ლარი. |
| ისრაელის შეკელი | 1 | 0,3974 ლარი. |
| უნგრული ფორინტი | 100 | 0,8956 ლარი. |
| რუმინული ლეი | 10000 | 0,6131 ლარი. |

თბილისის საქალაქო სასამართლო თანაუგრძნობს ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსს ზაზა ავალიანს მამის

რევაზ ავალიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ლამარა და ნუგზარ ნავაძეები მწუხარებით იუწყებიან და თანაგრძნობას უცხადებენ ანტონ ინგოროყვას და ოჯახს

ია ინგოროყვას

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის და საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ დავით ინგოროყვას

ბიძის

უდროოდ გარდაცვალებას, უცხადებენ სამძიმარს ნათესავებს და ახლობლებს.

---

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია მწუხარებით იუწყება და თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ომარ ქუცნაშვილს მამის

ვიქტორ ქუცნაშვილის

გარდაცვალების გამო.

# მკითხველთა და გამავრცელებელთა საყურადღებოდ

**აპრილიდან „საქართველოს რესპუბლიკაზე“ ხელმოწერა გაიაფდა**

2006 წლის მეორე კვარტალიდან (1 აპრილიდან) გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“ ხელმოწერის ფასი გაიაფდა. თუ აქამდე „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა ერთი თვით 13 ლარი ღირდა, აპრილიდან ეს თანხა 11 ლარს შეადგენს (შესაბამისად, სამი თვით – 33 ლარს, ექვსი თვით – 66 ლარს).

საცალო ქსელში გაზეთი კვლავ 50 თეთრი ეღირება.

შეგახსენებთ იმ უწყებებს, სადაც დაუბრკოლებლად შეგეძლებათ ჩვენი გაზეთის გამოწერა: „საქპრესა“ (ტელ: 35-51-40), „მაცნე“ (37-47-49), „უწყებანი“ (93-64-72), „პრეს-ექსპრესი“ (96-23-11), „პლანეტა-ფორტე (93-38-73), „ინფოსერვისი“ (34-09-35), „ელვასერვისი“ (36-35-75).

რაიონებსა და ქალაქებში მიმართეთ „საქპრესის“ ადგილობრივ განყოფილებებს.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც – კოსტავას ქ. № 14, ტელ: 98-96-32; 899- 797679.

**„სრ“ გამომცემელი შპს „თანადგომა-1“**

## ხსოვნა

### ვალიკო შარანგია



კიდევ ერთი ამაგდარი კაცი დააკლდა სოხუმს – **ვალიკო შარანგია;** ქალაქის კოლორიტი, ლხინში და ჭირში თანამდგომი, პატიოსნებითა და ღირსების გრძნობით გამორჩეული, ერთგული მეგობარი, დიდი ოჯახის მოსიყვარულე მამა, მრავალი თაობის აღმზრდელი, რაც მთავარია, პირადი მაგალითის მაჩვენებელი, სიკეთისა და წესიერების ტრიბუნი... მასზე ძალიან ბევრის თქმა შეიძლება.

ათეული წლების განმავლობაში სოხუმის I და XI საშუალო სკოლების დირექტორი გახლდათ.

1939 წელს ჯარში გაიწვიეს, მერე მეორე მსოფლიო ომმაც მოუსწრო და 1945 წლის ზაფხულამდე, მთელი 7 წლის განმავლობაში, არ უნახავს მშობლები, მოკეთეები, მშობლიური მუხური (გალის რაიონი). 900 დღე და ღამე ლენინგრადის ბლოკადაში გაატარა. იბრძოდა ფაშისტებისაგან ნოვგოროდის, რიგის, ფსკოვის გასანთავისუფლებლად, ასევე – რუმინეთში, უნგრეთში, ავტრიასა და ჩეხოსლოვაკიაშიც. ამ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით, 15 მედლით.

სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა გაგრის რაიკომში, აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, აფხაზეთის განათლების სამინისტროში, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში.

მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, იყო საქართველოს პერსონალური პენსიონერი.

განგებამ რთული ხვედრი გარგუნა, მამა, მაგრამ ღირსეულად განვლე მისი ლაბირინთები. რა თქმა უნდა, ბედნიერი დღეებიც გქონდა. ახლა ყველაზე მეტად კი იმაზე გვტკივა გული, რომ შენს სოხუმში, შენი და დედაჩვენის ხელით აგებულ სახლში არ გერგო აღსასრული. სიკვდილის წინაც სოხუმში დაბრუნებას ნატრობდი. იმედი გვაქვს, შენი ქალაქი იგრძნობს, რომ შენ აქ, თბილისში დააკლდი სოხუმს.

გვეამაყები. შენი გარდაცვალების შემდეგ კი უფრო მეტად ვიამაყებთ და, გვწამს, რომ მარადჟამს გვითანამგზავრებს შენი კეთილი სინათლე.

**შვილები**

ლილი, ნორა, ლიანა ჩარკვიანები, ალეკო, რუსლან, ზურაბ რუსიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ ჩარკვიანი

დაკრძალვა 11. IV, აბაშა, სოფელი მარანი.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამავე გაზეთის მთავარ რედაქტორს რუსლან რუსიას დეიდის

ეთერ ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო.

---

ვაჟა დანელია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ზაურ გოგუა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 8, IV, 14 სთ. დოლიძის ქ. კორ. 29. ბ. 58.

---

ძმა სიმონი, რძლები ლალი და ინა, ძმისწულები გია, მარინა, დევი და მაია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რეზო ხეჩინაშვილი

პანაშვიდი 7, 8 IV, 17 სთ. გამოსვენება 9 IV 14 სთ. მისამართი: იპოლიტე ხვიჩიას ქ. №15ა.

---

მეუღლე ტატიანა, შვილები რუსიკო, ცისანა, დათო, და ბუცა, სიძეები მურად ანჯაფარიძე, გურამ ოდიშარია, რძლები ინგა, ლიკა, შვილიშვილები სალომე, მალხაზი, მაია, ლევანი, მარი, შვილთაშვილი ნია, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალიკო შარანგია

პანაშვიდი 9, 10 IV. ვაჟა-ფშაველას მე-7 კვ. მე-16 კორპუსი. გამოსვენება 11 IV, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან, 15 სთ-ზე.

---

მარიზა, მონიკა, დათო, გიორგი ხეჩინაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბატონ

რევაზ ნიკოლოზის ძე ხეჩინაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს და ახლობლებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის ქ. №12, ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აკრეფილი 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.